

652/
1986/2

ISSN 0134 3459



ქრონიკა



6

1986



ქორონი

გამოცემის

28-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერჩეული
საპარტიზო მხარულთა კავშირისა და აპარის განყოფილების მიზანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მოძაველი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ამოსავლეთით და დასავლეთით.

ვ. ტაბიძე

6

1986

წიგნები
დუბლირები



ბ ა თ უ მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნარკვევი

ოთარ ფუტკარაძე — რვა ეპიზოდი
მერგოლურის ცხოვრებიდან
(დასასრული) 3

სარგო ორჯონიძის დაბადების 100 წლისთავი

იოსებ ბეჭინიშვილი — „აჭარა ავ-
ღორძინოთ კულტურულად,
ეკონომიკურად“ 11

აკოშია, პროზა

ჯემალ ჯაფელი — ლირიკული
რვეულიდან (ლექსები) 16

იაშა თანდილავა — მოგონებები ჰე-
ლიმიშზე (ლექსები) 18

ჯანგულ ჯიქიძე — წერტილი (მო-
თხრობა) 21

ლალი თოთაძე — ლექსები 23

ჯემალ სოფერია — გზები (რომანის
ფრაგმენტები. გაგრძელება) 26

ჯემალ ქათამაძე — ძმობის სიმები
(ლექსები) 36

ლადო მარღანიძე — ფერფლი და
ნეკერჩხლები (მოთხრობა) 39
ბაბო ხვედელიძე — პირველი ხელ-
ფასი (ნოველა) 45

ჯეჯილი

ლერი ესაძის, კუკური კვასტიანის,
ბონდო მუმლაძის, თემურ შიმ-
შილაშვილის ლექსები 48

ახალი თარგმანები

ტატიანა ტოლსტაია — მამონტზე
ნადირობა (მოთხრობა. თარგმნა
ქეთინო კვინტრაძემ) 49
ვლადიმერ გრინჩუკოვი — ლექსები
(თარგმნა ხუტა გაგუამ) 58

კვალნი ნათელი

დავით ნაცვალაძე — დიმიტრი
ერისთავი (დასასრული) 59

**ილია ჭავჭავაძის დაბადების
150 წლისთავისათვის**

ალექსანდრე გობრონიძე — დიდი
და მძიმე ვალი 65

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

იზოლდა ჭიჭინაძე-გვენცაძე — სხა-
ლთის ეკლესიის მოხატულობა 69
თეიმურაზ შორგოშია — ნათელა
ჭვონიას დებიუტი 77

წერილები

პავლე ჯორბენაძე — პოეზიის რო-
მანტიკული ვაგება (წერილი I) 79
გიორგი თავაშაიშვილი — ახალი
არქეოლოგიური აღმოჩენები
ბობოყვათის ზღვისპირა ქვიშა-
ზვინულებზე 85
ვასულ ორ თვეში 90
„ჭოროხის“ 1986 წლის ნომრების
შინაარსი 94

**მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონიძე**

სარედაქციო კოლეგია:
აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩიჩილაძე,
ჯურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),

ზოთა ჯოიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუქვაძე,
ჯემალ ძათაშაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუთაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.



გადაეცა წარმოებას 16.10.86, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 28.10.86, სავაჭომ-
ცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 3298,
ემ 01896, ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆
ტირაჟი 2.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, ლექსემბურგის, 20.
Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательства, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ოთარ ფუტკარაძე

რვა ეკიზოლი
 მერგოლურის ცხოვრებიდან

ეკიზოლი მახუთმა



გულმოკლული გამოვიდა ოსმან ბუქიძე კოლმეურნეობის კანტორიდან. მისი რგოლის ერთმა მეჩაიემ შრომის დისციპლინა დაარღვია და მერგოლურს საყვედურიც არ აკმარეს, რგოლის ხელმძღვანელობიდან დაითხოვეს.

ოსმანს განსაკუთრებით იმან დასწყვიტა გული, რომ წყალში ჩაუყარეს ამაგი, ერთი სიტყვაც კი არავის დასცდენია მის დამსახურებაზე. აკი, შარშანაც გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და რაიონის საუკეთესო მერგოლურის წოდება დაისაკუთრა. ეს უკვე შერამდენედ. იმავე წელს ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი მერგოლურის მეკრძღე კიდევ ერთი საპატიო ჭილღო — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შაღწევათა გამოფენის ოქროს მედალი აკაფდა, უფრო ადრე კი ამ ჭილღოსთან ერთად „მოსკვიჩიც“ აჩუქეს...

პლანტაციებისაკენ გაუწია გულმა. თითქოს პირი შეუყრავთო, არავინ დახვედრია ნაკვეთში...

რგოლის წევრებმა ადრევე გაიგეს თავიანთი ხელმძღვანელის დასჯის ამბავი. არაფერი უკითხავთ მათთვის. გაბრაზებულმა ქალებმა მიატოვეს ფოთლის კრეფა და მორიდებით შეადეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტის კარი.

ოცდასამივეს გაკვირვებით შეავლო მწერა ზურაბ კახიძემ და, დაბრძანდითო, — ანიშნა.

- დასაჯდომად სად გვევლია, თავმჯდომარე. — წინ წამოდგა გუგული ღუმბაძე,
- ჩვენი მერგოლური გაგითავისუფლებიათ და...
- შრომის დისციპლინის დარღვევას არავის ვაპატიებთ. სწორედ ღუმბაძეობა

* დასასრული. იხ. „ქორთხი“, № 5.

ჩამოგვარჩინა, აი, ნახეთ, მეხუთე ადგილზე გადავინაცვლეთ რაიონის კოლმეურნეობებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. — თქვა თავმჯდომარემ და რაღონულად გაზეთი გაშალა.

— ჭერ ერთი, მერგოლურს რომ ათავისუფლებდით, რგოლის წევრებისთვისაც უნდა გეკითხათ და, მეორეც, მე ვარ დამნაშავე, მე უნდა დაგესაჯეთ პირველ რიგში. — თქვა გუგულიმ.

— შენთვისაც მოვიცლით... თუმცა, ამით თქვენს მერგოლურს აღარაფერი ეშველება, უკვე შევარჩიეთ ახალი კანდიდატურა...

— სხვა ხელმძღვანელს ჩვენ არ მივიღებთ და შენი შენ იცოდე! — კარსმიღმიდან მიაძახეს ქალებმა.

„დიდაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ველარ შეაკავებსო“, — გაახუნდა ხალხური სიბრძნე ზურაბ კანძიძეს და ოსმან ბუქიძის მერგოლურად ხელახალი დანიშვნის დასტური დააწია გაგულისებულ მეჩაიებებს.

მას შემდეგ ყველაზე გამორჩეულად გუგული ღუმბაძე შრომობსო, — მითხრეს ქალებმა.

— ასე გიყვართ თქვენი მერგოლური? — ვკითხე გუგულის.

— დიდი ხანია ამ კოლმეურნეობაში ვმუშაობ, ბრიგადირიც ბევრი გამოვიცვალე და მერგოლურიც, მაგრამ ასეთი მამაშვილური ხელმძღვანელი ჭერ არ გვეყოლია. ლხინშიც ჩვენს გვერდიტაა და ჭირშიც, მხარში გვიდგას, დარშიც და ავღარშიც...

— ვინმეს თავი რომ წამოსტკივდეს, პლანტაციისთვის მოუყვანს ექიმს. ძალიან კარგი კაცია, კეთილი. — სიტყვას ართმევს ნათელა ბერიძე.

— დიახ, მეგობრული კაცია, საავადმყოფოში ვიწეკი ამასწინათ, ექვსჯერ მინახულა, — საუბარში გვერევა მერი ფუტკარაძე.

არც სხვები იშურებენ საქებას სიტყვებს:

— ჩვენი გულისხმავის ოსმანი პირად საქმეს გვერდზე გადადებს და მხარში ამოგვიდგება;

— როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისე ვართო, — ერთმანეთს არ აცლიდნენ ქალები.

შეგვატყო, ჩემზე საუბრობენო და, აქაოდა, ცუდის თქმას არ მოერიდოთო, გაგვერიდა ოსმანი.

ვერავის წამოვაცდევინე აუგი მერგოლურზე.

თუმცა, მაინც მიამბეს ერთი საინტერესო ამბავი, მაგრამ ამაზე მომდევნო ეპიზოდში..

ახლა მერგოლურთან მაქვს რამდენიმე შეკითხვა:

პირველად რგოლის წევრებზე:

— ერთნაირი მონდომებით შრომობს ოცდასამივე, ვერ გამოვარჩევ ვერცერთს. პირველ რიგში, მათი დამსახურებაა რგოლის მიღწევები, ჩემი ჭილოებიც. არც მათ აკლიათ დაფასება...

— მართო შრომათი მიღწევები არ მაინტერესებს.

— გვეყვს „რევიზორი“ — გუგული ღუმბაძე, არავის აპატიებს სიზარმაცეს, უგულისხმობობას, ხოლო ეთერ ფუტკარაძე ჩვენი „მოსამართლეა“, უმისოდ არ გადაწყდება არც ერთი სადავო საკითხი, არიან „არტიტებიც“, შრომასთან ერთად ცნეკვა-სიმღერასაც ასწრებენ.

— ოჯახებში როგორები არიან?

— ეს რომ გაიგოთ, ზამთარში უნდა გვეწვიოთ. გრაფიკი გვაქვს შედგენილი და რიგრიგობით ვიკრიბებით ერთმანეთთან, ვამოწმებთ, ვინ როგორი დიასახლისია.

— თქვენს სოფელში თითქმის ყველას ჰყავს ავტომანქანა, ქალაქიც ახლოსაა, ერთი საათიც არ დასჭირდება ბაზარში მისვლა-მოსვლას, არ გაუჭირდებათ გამასპინძლეობა...

— ჩვენი რგოლის არც ერთი წევრი დიდი ხანია აღარაა ბაზარზე დამოკიდებული, ძროხა ჰყავთ და ფრინველი, ყანა აქვთ და ბოსტანი...

სასურსათო პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების საკითხი რომ დადგა დღის წესრიგში, ახალსოფლის კოლმეურნეობის მშრომლებიც ერთსულსოფნად გამოეხმადურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და გადაწყვიტეს, მათაც შეიტანონ წვლილი ამ საერთო-სახალხო საქმეში.

ბევრ ოჯახში მინახავს თვალსაჩინო ადგილას გამოკრული, ციფრებით აჭრელებული ფურცლები. ეს სასურსათო პროგრამაა. მასში წინასწარაა გაანგარიშებული, მავანმა და მავანმა ოჯახმა რამდენი და რა სახის პროდუქცია უნდა აწარმოოს საკარმიდამო ნაკვეთებზე, რამდენი უნდა მოიხმაროს თავად და რამდენი უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს. ცხადია, ბაზარზეც გააქვთ ნაშენი პროდუქტები. ცალკე გრაფაში ჩამოწერილი ციფრები მოგვითხრობს ამა თუ იმ ოჯახის წვლილზე საკოლმეურნეო შრომაში, სოფლის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

— ჩვენი მერგოლური გვაძლევს კარგ მაგალითს. ახლანან საკარმიდამოდან ტონა ნახევარი მსხალი და ასი კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს — ამბობს პენსიონერი ფადიმე დავითაძე.

— ამას, ალბათ, 5-6 ტონა ციტრუსიც დაემატება. — სიტყვა ჩამოართვა ეთერ ფუტყარაძემ.

მეტ ნაკლებად ამდენივეს აბარებს რგოლის თითოეული წევრი.

სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე ვიტყვი, მართო საკარმიდამო ნაკვეთებიდან 6-7 ათასი მანეთით ივსება თითოეული პირველგოლელის საოჯახო ბიუჯეტი.

პ ა რ ო ლ ი მ ე მ ა მ ს ე

მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ოსმან ბუქიძე ტურისტული მოგზაურობიდან. ერთი კვირა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაატარა, — ერთიც ჩეხოსლოვაკიაში. მეორე დღეს რგოლის წევრებს მიაკითხა, უცხოეთში ნახულსა და განცდილზე უამბო, შემდეგ საგანგებოდ წამოღებული სუვენირები ამოალაგა და ყველას არგუნა თითო. ერთი ცალი მორჩა. ახლად შეამჩნია, ნარგისი რომ აკლდა, რგოლის ვარსკვლავი.

სად არისო? — იკითხა.

წაუყრუეს ქალებმა, ერთმანეთს გადახედეს.

— შენ რომ წახვედი, ქორწილი გვქონდა მომდევნო კვირას. — დაიწყო გაუბედავად ციალა ქიძინიძემ.

ახლა უნდა ვიამბოთ იმ აწმავზე, წინა ეპიზოდში რომ შეგპირდით.

აჰ, ადრეც ვთქვი, ოსმან ბუქიძის რგოლი პირველი ბრიგადის პირველ რგოლს ეგობრება-მეტყი. აი, გურამ ბერიძე რომ სელმძღვანელობს, იმას. რვა წლის ისტორია აქვს ამ შრომით პაექრობას და ბუქიძის რგოლი პირველობს სულ. ის კი არა, ამ პერიოდში ექვსჯერ მოიპოვა ოსმანმა რაიონის საუკეთესო მერგოლურის საპატიო წოდება და თავისი რგოლის წევრთა ჯილდოებს „ხუთწლიელის დამკვირდების“, „სოციალისტურ შეგებრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნებიც მიუმატა.

რა თქმა უნდა, გულთხე ხარობდა გურამ ბერიძე მეტოქის მიდევნებით, მაგრამ ისიც უპატიოა, რომ ახლა კიდევ მეორე საუკეთესო მეჩაიე „წაართვა“ ოსმან ბუქიძეს.

წართვა კი არა, თვითონ გაჰყვა ის გოგო გულისსწორს. თურმე, მერგოლულისა
ერიდებოდა, თორემ აღრეც გადაიხდიდნენ ქორწილს. ჰოდა, ტურისტულ მოგზაურთა
ბაში რომ დაიგულა, მაშინ მოაწერეს ხელი. — დამთავრა თხოვობა ცილამ.

— ქორწილი მაინც არ გამოეპარებინა... — ყრულ თქვა ოსმანმა და ობლად ღარ-
ჩენილი საჩუქარი ცილას ჩააბარა, რომ შეგხვდეს; გადარცო.

— ჩვენს უბანში ვერ გამოვუძებნეთ საქმრო და, აბა, გაუთხოვარი ხომ არ ღარ-
ჩებოდა ის გოგო, — შეაპარა მერგოლულის ფატი უტარიძემ.

— ნუ ბრახობ, კაცო, სჯობს, სამაგიეროს გადახაჯე იფიქრო. — შეაპარა ესმა
ქამადაძემ. — ჭეშაღას ბიჭს, ტრაქტორისტი რომაა, არჩილი, იმ უბნელი გოგო ჰყვარ-
ებოდა, იამზე. ლამაზიაო, ხომ ამბობენ, მაგრამ ბევრი ვერც ჩაის კრეფაში სჯობსო...
გოგოც თანაუგრძნობს, თურმე...

კვირის თავზე გადაიხადეს ქორწილი.

ოსმანი თამადობდა, სულ გურამ ბერიძესთან გადადიოდაო ალავერდებს.

ე კ ი ზ ო ლ ი ე ე შ ი დ ი დ ე

როგორი კაცია ოსმან ბუქიძე?

რადა საკითხავია, კარგი. გამრჩე მშრომელი და კარგი მეოჯახეა... ისიც ვნახოთ,
მეწოზლებთან ურთიერთობაში როგორია.

აგერ რომ მოდიან, ოსმანის მეწოზლები არიან — შიბან თედორაძე, ქაზიმ ბერიძე
და... ისიც, მგონი, ოსმან ეთემაძე.

ვკითხოთ, როგორი მეწოზლობა აქვთ ოსმან ბუქიძესთან.

— როგორი მეწოზელია? — ჩაფიქრდა ოსმან ეთემაძე, — კარგია, რა თქმა უნდა,
ბევრმა ინატროს ასეთი მეწოზელი. ჭირია თუ ლხინი, მხარში ამოვადგება, არ სჭირდებ-
ოა დამახნება.

მაგალითები? გავისხენებ ერთს: სახლს ვაშენებდი, ამ საქმეს კი უმეწოზლოდ მად-
ლი არ უწერია, ყველაზე მძიმე სამუშაო რომ მქონდა, ოსმან ბუქიძე მეხმარებოდა სამ
დღეს თავისი ბიჭებით.

— ეს გზა, ჩვენს უბანში რომ შემოდის, ნახევარი წლის წინ თუ გამოვივლია აქეთ,
შეამჩმევდი, ორმოვით იყო სავსე. ავტომანქანებს ხომ უჭირდათ და უჭირდათ მოძ-
რაობა, ჩვენც მტვერში ვისრჩობოდით, ვერც სტუმარი მოგვყავდა უბანში სირცხვილით,
ოსმანმა დარაზმა ხალხი, ღორღი მოვზიდეთ და ორმოვები ამოვავსეთ, მერე შემდგომ
ორგანოებში დასვა საკითხი და შავი საფარიც დაგვივს.

— ნეტავი ასეთი იქნებოდეს ყველა დეპუტატი. ოსმანი ხომ ჩვენი წარმომადგენე-
ლია სასოფლო საბჭოში. — დაამატა ქაზიმ ბერიძემ.

— რა გასაკვირია, მეწოზლებისათვის, სოფლისათვის გული შეგტვიოდეს კაცს, —
საუბარს აგრძელებს შაღბან თედორაძე, — ოსმანი ისეთი კაცია, უცნობსაც რომ უჭირ-
დეს, თავის საქმეს გვერდზე გადადებს და დაეხმარება... ქალაქში წაიყვანე ერთხელ,
გადაუდებელი საქმე მქონდა. რაკი, ავტომანქანის მართვის უფლება ამიკრძალეს, ოსმანი
დავსვი საუხესთან. საქმეს რომ მოვრჩი, ბარემ ავადმყოფ ნათესავს ვინახულვებ-მეთქი და
რესპუბლიკურ საავადმყოფოში შევიარე.

მოკეთებულები ჩემი ნათესავი და კარგა ხანს შევყვევი საუბარში. რომ გამოვედი,
აღარც ოსმანი დამხვდა და აღარც ჩემი ავტომანქანა. ტროლეიბუსის გაჩერებასთან
შუახანს გადაცილებული ქალი შევნიშნე, გაფაციცებით ათვალიერებდა ქუჩებს. ლოდო-
ხით რომ გული გადამელია, ტაქსს დავუწყე ძებნა...

ის იყო, ცარიელ ავტომანქანას ხელი ავუქნიე, რომ ოსმანიც გამოჩნდა.



— ახლავე დავბრუნდებო. — მომძახხა და გზაჯვარედინზე შეუხვია.

ის ქალი ჩაესვა „უიგულში“ ხუთიოდე წლის ბავშვთან ერთად.

მერე გავიგე, თურმე შვილიშვილი გაბნეოდა საცოდავს.

ხომ იცით, ქალების ამბავი, ნაცნობი შეხვედრია ტროლეიბუსის გაჩერებასთან და სულ გადავიწყებია ბავშვი.

ოსმანი რომ მოსულა, მოთქმით იკლებდა იქაურობას, თურმე...

ამბავი გამოუკითხავს, დაუმშვიდებია. — შენ აქ დაელოდე, იქნებ გამოიხდეს ბავშვი, მე კი მესობელ ქუჩებს მოვათვალიერებო. — უთქვამს და ტროლეიბუსს გამოსდევნებია, იქ თუ ავიღაო შეუმჩნევლად, უაზრია.

არც უმტყუნია გუმანს.

— ჩაისუბანში ავიყვანე ბებია და შვილიშვილიო. — ახალსოფლისაკენ რომ გამოვსწიეთ, მაშინ მიამბო ოსმანმა.

— აი, ასეთი კაცია ჩემი მეზობელი. — დაასრულა თხრობა შაღბან თედორაძემ და თუთუნი შეახვია.

ეპიზოდები

პარტია მოგვიწოდებს: აუცილებელია შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულების ისეთი ფორმების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ერთ-ერთ კონკრეტულ და მოქმედ ფორმას, რომლის მეშვეობითაც უნდა განვახორციელოთ ეს ამოცანა, უზრუნველყოთ პროდუქციის წარმოების მაღალი დონე და რესურსების მაქსიმალური, ეკონომიკური გამოყენება, წარმოადგენს კოლექტიური ოჯარა.

სოფლის მეურნეობაში უგანრიგო ბრიგადების საქმიანობის ეკონომიკური არის ის არის, რომ შრომით კოლექტივებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა რეპულირდება წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომითი კოლექტივი კისრულობს გაპიროვნებულ ფართობზე მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობა ვალდებულია იჯარით მომუშავენი უზრუნველყოს აუცილებელი საშუალებებით (ინვენტარი, სასუქები, ტრანსპორტი და სხვა) და შეუქმნას გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით რეალიზაციის ყველა პირობა, ხოლო შრომა აუნაზღაუროს წარმოებული პროდუქციისათვის წინასწარ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ამდენად, კოლექტიური იჯარა არის სამეურნეოანგარიშობის ურთიერთობის გაცემებით სრულყოფილი ფორმა, რომელიც ემყარება შემკვეთისა და მოიჯარის, ესე იგი, საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელისა და შრომითი კოლექტივის ურთიერთ ეკონომიკურ დაინტერესებას მეტი და მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის.

ოსმან ბუქიძის რგოლი ერთ-ერთი პირველი ეზიარა ამ სიკეთეს. უკვე შესამე წელია ამ მეთოდით მუშაობს.

რა მისცა კოლექტივს შრომის ორგანიზაციის ამ ახალ მეთოდზე, იჯარით მუშაობაზე გადასვლაში?

მოვუსმინოთ ოსმან ბუქიძეს:

— რაც კოლექტიურ იჯარაზე გადავედი, ჩვენს ნამუშევარს უფრო მეტი მადლი დაეძურა. თავად განსაჯეთ, 1988 წელს ჩვენი რგოლის კუთვნილ ჩანის პლანტაციაში 60

ტონა ნედლეული დავამზადეთ, ანუ ჰექტარზე 21,5 ტონა, შარშან კი ეს მაჩვენებელი შესაბამისად 65 და 23 ტონამდე გაიზარდა. ამ პერიოდში ორი პროცენტით გაუმჯობესდა ხარისხი. უგანრიგო მეთოდით მუშაობის პირველი წელიწადი აღვნიშნეთ იმით, რომ ვაღამდე და დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ მეთერთმეტე ხუთწლედის პროგრამა. ამ პერიოდში სახელმწიფოს მიეყიდეთ 252 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ ხუთი წლის დავალების 103 პროცენტი.

— ხელშეკრულების შესაბამისად კოლმეურნეობის ხელმძღვანელებიც თუ ასრულებდნენ პირობას?

— ცხადია, ასრულებდნენ. უამისოდ, აღბათ, გაგვიჭირდებოდა მაღალი მაჩვენებლების მოპოვება. გვამარაგებდნენ ინვენტარით, სპეცტანსაცმლით, გვაწვდიდნენ სასუქებს, გამოყოფილი იყო ტრანსპორტი. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გავაძლიერა საქმიანობა, ხელი შეგვიწყო მოსავლის უღანაკარგოდ აღებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში. ბრიგადული იჯარის უპირატესობა ისიცაა, რომ მან უფრო შეაძვიროვა კოლექტივი, განამტკიცა მათ შორის მეგობრული დამოკიდებულება, გაუმჯობესდა საშემსრულებლო დისციპლინა.

კოლმეურნეთა დანტერესება შრომის ანაზღაურებაშიც პოულობს გამოხატულებას. რაც მუშაობის უგანრიგო სისტემაზე გადავდით, შრომის ანაზღაურება ყოველ კილოგრამ ნედლეულზე კაპიტანხევრით გაიზარდა, რამაც საბოლოო ჯამში ას მანეთზე მეტა შეადგინა თითოეულ წევრზე. 800 მანეთით შემცირდა ნედლეულის წარმოებაზე გავწეული დანახარჯები, აქედანაც 50 პროცენტი რგოლის წევრებს გაუნაწილდათ, თითოეულს დაახლოებით ოც-ოცი მანეთი ერგო. ამას დაამატეთ ყოველ ნამუშევარ დღეზე 5 მანეთი და 67 კაპიკი, პლუს პრემიაც წლის ბოლოს და, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოვა, დაახლოებით 180-200 მანეთი თვეზე გაანგარიშებით. ეს მართო მეჩაიეობიდან, ახლა მეციტრუსეებს, საკვებმომპოვებლებსა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებს რომ ეხმარებიან? სულ ცოტა, 240 მანეთი მაინც გამოუვა თითოეულს ყოველთვიურად.

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, შარშან წლის დასაწყისში რომ გაიმართა ახალსოფელში, საფუძვლიანად განიხილეს ოსმან ბუქიძის უგანრიგო რგოლის საქმიანობა და მისი გამოცდილება ფართოდაც განაზოგადეს.

ამჯერად აღარავის დაუწყია ყრუმანი — წელს მეჩაიეობის უმეტესი ბრიგადა და რგოლი ახალსოფლის კოლმეურნეობაში უგანრიგო მეთოდით შრომობს. სოფლის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს მშრომელთა თხოვნა და, აღბათ, მალე ამ სიახლეს მეცენტრუსეობაში, მეცხოველეობაში, მებოსტნეობასა და სხვა დარგებში დანერგავენ.

მეთორმეტე ხუთწლედმა აიღო სტარტი, თუმცა, ოსმან ბუქიძის რგოლის წევრებმა იგი შარშან დაიწყეს — მათი იმ წლის მონაგარი მთლიანად 1986 წლის ანგარიშზე ჩაბარდა სახელმწიფოს.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები მეტად პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს სოფლის მშრომელებს და ბუქიძის თანამოსაქმეებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეული მიაწოდონ მრეწველობას.

მ ა კ ი ზ რ დ ი მ ე მ ს რ ე

აკი, რვა ეპიზოდს შეგვიპირდი, მეცხრე საიდანა გაჩნდა? — გიკვირს არა, მეითხველო?

ეს ეპიზოდი გამოქვეყნების წინ დაემატა ნარკვევს.



როცა ნაწარმოები უკვე დაბეჭდილია, აღარ ხერხდება მასში მკითხველთა შენიშვნების გათვალისწინება, ამიტომაც გადაწყდა ნარკვევი აღრევე გაგვეცნო მისი გამიზნების სათვის, შრომითი კოლექტივისათვის.

და აი, ისევ ახალსოფელს ვეწვიეთ.

წინასწარ არ დაგვიგეგმავს ეს შეხვედრა. მაინც ბევრი კოლმეურნე შეიკრიბა სოფლის კლუბში.

ახალსოფელელებმა ინტერესით მოისმინეს მოთხრობა თანასოფელელ მოწინავე მერ-გოლურზე და კრიტიკულადაც გაანალიზეს.

— ნარკვევში თითქმის არაფერი თქმულა ოსმან ბუქიძის საზოგადოებრივ საქმიანობაზე. იგი არის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი. სხდომებზე ყოველთვის საქმიანი წინადადებით გამოდის.. ყველა რომ მისნაირი ერთგულებითა და სიბეჯითით უდგებოდეს საქმეს, ბევრი მტიკონეული საკითხი დადებითად გადაიჭრებოდა სოფელში და მიღწევებიც უფრო შთამბეჭდავი გვექნებოდა.— თავის მოსაზრებას გვიზიარებს კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი თემურ ზაქარაძე.

— ოსმან ბუქიძე ყველაზე აქტიური სახალხო რაზმელია. პარტიულ ორგანიზაციას კმედით დახმარებას უწევს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში;

— ნარკვევში ოსმან ბუქიძის დადებით თვისებებზეა მხოლოდ საუბარი. ნუთუ ნაკლი არაფერი აქვს? — ექვს გამოთქვამს მოწინავე კოლმეურნე, გამგეობის წევრი შუთუნა ძნელაძე.

— როგორ არა. აქვს ნაკლი. ზოგჯერ ზედმეტად ჯიუტია. არის კიდევ ამის მაგალითები ნარკვევში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საერთო საქმეს არგია მისი სრული და პრინციპულობა.— გვეკომპავება კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი ავთანდილ კახიძე.

— არც ისაა ნაკლი, ახალგაზრდებს რომ არ იღებს თავის რგოლში? — არ ინდობს ოსმანს ძმისშვილი, კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ტარიელ ბუქიძე. რაც ამ რგოლს ჩაუდგა სათავეში, 22-23 მეჩაიე იყო მისი წევრი. კაცმა რომ თქვას, ამდენი ზედმეტიცაა ერთ ციქვან პლანტაციასში.

მაგრამ, რა ვუყოთ, რომ ბევრია რაიონის საუკეთესო რგოლის წევრობის მსურველი?

გავა ვინმე პენსიაზე და ვაკანტური ადგილიც გამოჩნდება...

სხვა რა გზაა, უნდა ველოდოთ...

* * *

აღმაიანებით ჩანს სოფელი.

ქეშმარიტად.

განა ახალსოფელიც გამაჩრჭე, გონიერმა და ღონიერმა მშრომელებმა არ გამოაჩინეს, შორს რომ გაიტანეს მისი დიდება.

ჩვენ ოსმან ბუქიძეზე ვიამბეთ მხოლოდ. ასეთები კი აქ ბევრნი არიან, ძალზე ბევრნი...

ასე რომ არ იყოს, განა ეს არც თუ ისე დიდი კოლმეურნეობა შესძლებდა 1.500 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, თითქმის ამდენივე ციტრუსოვანთა ნაყოფი, 300 ტონამდე რძე და ასევე დიდძალი სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები ეწარმოებინა ყოველწლიურად?



წელგამართული სოფელია ახალსოფელი — ორმილიონნახევარი მანეთის შემოსავლით წელიწადში.

სოფელს ემსახურება ჩაის ფაბრიკა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების ობიექტები, ფართო მოკირწყლულ შარავზაზე ლაღად დაჰქრიან კომფორტული ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები, შენდება კლუბ-კანტორის თანამედროვე შენობა, წლეულს რომ ჩადგება მშრომელთა სამსახურში.

კოლმეურნეობა კაცდღეზე 9 მანეთსა და 36 კაპიკს ანაწილებს.

და რა გასაკვირია, რომ ყოველწლიურად ათამდე კოლმეურნე იშენებს დღევანდელი ცხოვრების შესაფერის საცხოვრებელ სახლს, იძენს ავტომანქანას, ავეჯს...

პრობლემებიცაა ახალსოფელში:

გამოსაყვანია წყალსადენი, არ მუშაობს რადიო, ტელეფონი...

მისი გონიერი და დონიერი ადამიანების გარჯა-მეცადინეობით არც ენ და სხვა საჭირობოროტო საკითხები დარჩება მოუგვარებელი.

ახალსოფელი.

1985-1986.



იოსებ ბეჰიროზვილი

«აჭარა ავალორძინოთ კულტურულად, ეკონომიკურად»

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე პარტიის დავალებით პირველად 1905 წლის მარტში ეწვია აჭარას. აქ იმყოფებოდა ამავე წლის აგვისტოშიც.

1908 წელს გ. ორჯონიკიძე ისევ ბათუმში იყო, ოღონდ ამჯერად როგორც პატიმარი, არსებობს ფოტოსურათი, რომელიც გ. ორჯონიკიძისათვის აქ გადაუღიათ.

1911 წელს იგი ევროპაში იმყოფებოდა. ვ. ი. ლენინის დავალებით რუსეთში ბათუმის გამოვლით დაბრუნდა და აქ შეხვდა გადასახლებიდან გამოქცეულ ს. ბუაჩიძეს.

საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში აჭარის მშრომელები იძულებული იყვნენ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. 1920 წლის 2 მაისს გ. ორჯონიკიძე წერდა ვ. ი. ლენინს: ბათუმში მოსალოდნელია გადატრიალება... მოსახლეობის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეაო.

1920 წლის 7 მაისს გ. ორჯონიკიძემ და რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ს. კიროვმა ვ. ი. ლენინს აცნობეს, რომ იქმნება პირობები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ამით ინგლისელებსაც განვდევნით აჭარიდანო.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას მოჰყვა ის, რომ იმავე წლის ივლისში ინგლისელები იძულებული იყვნენ აქაურობა დაეტოვებინათ. მაგრამ ევროპელთა წაქეზებით თავი ისევ ოსმალებმა წამოყვეს. ამ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება გ. ორჯონიკიძემ და დახმარება ითხოვა. ამიტომ იყო, რომ 1920 წლის დეკემბრის დამდეგს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გ. ჩიჩერინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისწერა: „მტერს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუეთმოთ ბათუმი“. მეორე დღეს კი გ. ორჯონიკიძეს დაავალა

ანგარიში ჩვენი წარმომადგენლისათვის ეცნობებინა, რომ „არ დავუშვებთ ბათუმის ოკუპაციას, ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ მისი დაკარგვას“.

მღვთმარეობა მაინც დაიმაბა. ამიტომაც 4 დეკემბერს გ. ორჯონიკიძემ პირდაპირი ზახით ვ. ი. ლენინს აცნობა: ჩემთვის ნათელია, რომ თურქები შემოესევნიან ბათუმს.

ბელადის დავალებით გ. ჩინერიძე 8 დეკემბერს მას შეატყობინა: საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ხელი შევეშალოთ თურქეთის გეგმების განხორციელებას, თავიდან ავიცილოთ შეიარაღებული კონფლიქტი თურქეთსა და საქართველოს შორის, ვინაიდან ეს გამოიწვევს ბათუმის დაკავებას მტრის მიერ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ამ გონივრული პოლიტიკის შედეგად დამპყრობლებმა აჭარაში შემოიჭრა ვერ გაბედეს. მომზადდა პირობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. 1921 წლის 2 იანვარს ს. კიროვთან ერთად გ. ორჯონიკიძემ კვლავ გაუგზავნა წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ბათუმის განთავისუფლებით ანტანტას ხელიდან გამოჰაყვალეთ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელ პლაცდარმს, ამასთან ხელს შევეშალოთ ვრანგელის არმიასო, — წერდნენ ისინი.

მართალია, საბჭოთა სახელმწიფომ მიიღო დამატებითი ზომები, მაგრამ მენშევიკებთან საერთო ენის გამონახვა არ მოხერხდა. მათი ხელშეწყობით იმპერიალისტები შეეცადნენ თურქეთისა და რუსეთის შეჯახებას.

საბჭოთა მთავრობის დავალებით 11 მარტს გ. ორჯონიკიძე შეხვდა თურქეთისა და მენშევიკთა წარმომადგენლებს და განუმარტა საბჭოთა პოზიცია აჭარის საკითხში, მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგები, რომლის საფუძველზე ჩვენი მხარე დედამამშობლოს უბრუნდებოდა. მაგრამ ოსმალთა ნაწილები იმავე დღეს მაინც შემოიჭრნენ აჭარაში, გ. ორჯონიკიძე მოსკოვს დაუკავშირდა და გ. ჩინერიძისაგან მიიღო ნებართვა მე-18 ცხენოსანთა დივიზია გოდერძის უღელტეხილის გადმოვლით და რამდენიმე პოლკი აგრეთვე ბათუმი-საკენ დაეძრათ. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა პირადად ურჩია არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ უმცირესი უთანხმოება მოსახლეობასთან.

მე-18 დივიზია დ. ყლობას სარდლობით 16 მარტს მოადგა აჭარას. გ. ორჯონიკიძემ მას განუმარტა, რომ საჭიროა ვუშველოთ ბათუმს, შევექმნათ იქ რეგოში, მაგრამ მტერთან ბრძოლის გარეშე. დირექტივები მისცა აგრეთვე ბათუმში მომავალი პოლკებისა და 99-ე რაზმის მეთაურებს ნ. კეიბიშევსა და ბ. გაგიევს (გაბალაევს), შტაბის უფროსს ა. რემიზოვს, ხოლო მათ შემოსვლაზე ბათუმში მოახსენა ვ. ი. ლენინს.

ასრულდა გ. ორჯონიკიძის სიტყვები, რომლებიც მან 1921 წლის 27



თებერვალს ბაქოში თქვა: რევოლუციის აღმა მოიცვა მთელი საქართველო. მალე წითელი დროშა აფრიალდება ბათუმშიც და შავი ზღვა მიიღებს გაცემულ მენშევიკებს. 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

უკვე 25 მარტს გ. ორჯონიკიძე ბათუმში იყო. გაეცნო ვითარებას, ხელმძღვანელ მუშაკებს, დარიგება და მითითებანი მისცა მათ. გ. ორჯონიკიძე ამბობდა: პარტიის წინაშე დადგა ამოცანა, ამოსწვას ნაციონალისტური გაბრუნება და გადასწყვიტოს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები, ჩვენ იმ თვალსაზრისზე დავდებით, რომ მიენიჭოს იმ მხარეებს უაღრესად ფართო თავისთავადობა, თვით დამოუკიდებლობამდე... ამის ვამო კ. შელია წერს: საქართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა ბათუმი არ შესულიყო აჭარის შემადგენლობაში, რაც 11 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წინააღმდეგობის მიუხედავად, 14 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა გ. ორჯონიკიძე, მიიღო გადაწყვეტილება, რასაც მოჰყვა 16 ივლისის ცნობილი დეკრეტით აჭარის ასსრ-ს შექმნა.

თქვენ მიეცით აჭარას ავტონომია და მთელი ხალხი თქვენთან არის. და იქ, სადაც მენშევიკების დროს ურთიერთ სიძულვილი მეფობდა, ახლა მშვიდობისა და სოლიდარობის წითელი დროშა ფრიალებსო, — თქვა გ. ორჯონიკიძემ საქართველოს კომპარტიის I ყრილობაზე 1922 წლის 30 იანვარს.

გ. ორჯონიკიძემ ასევე აღკვეთა ნაციონალ-უკლონისტთა სხვა გადახვევები აჭარაში, კერძოდ, ბათუმის საწარმოთა დენაციონალიზაციისა და „სტანდარტ ოილის“ საზოგადოებისათვის ბათუმის გადაცემის მცდელობა, ბათუმის ე. წ. „ქართულ“ ნავსადგურად გამოცხადება და აქედან მხოლოდ საქართველოსათვის უცხოური საქონლის შემოტანა და ა. შ.

დიდი ინტერნაციონალისტი განმარტავდა: მართალია, უცხოეთთან ბათუმის საშუალებით ვაჭრობს აზერბაიჯანი, მაგრამ ეს აყვავებს ბათუმსაც, ამიტომაც იგი არამარტო საქართველოს ნავსადგურია, არამედ მთელი საბჭოეთისაო. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქალაქიდან ექსპორტისა და იმპორტის საკითხებზე მას ზშირად საუბარი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, გ. ჩიჩერინთან, ლ. კრასინთან და სხვა ხელმძღვანელებთან.

1923 წლის იანვარში აჭარის საბჭოების III ყრილობაზე გ. ორჯონიკიძემ ყურადღება მიაპყრო ბათუმის მუშებს შორის ადგილობრივ მცხოვრებთა სიმცირეს, მათ შორის პარტიის წევრთა ნაკლებობას, გზების გაყვანის, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობას, აგრეთვე დანშაღების დაბალ ტემპს, სხვა ნაკლოვანება-შეუსაბამობას, ამ კუთხეში საბჭოთა პოლიტიკის სწორად განხორციელებას, კერძოდ, აღნიშნავდა: „აჭარა

საზღვარი აოსმალეთისა, აქ უნდა შეექმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ რუსმაგალითად მეზობლები მოისურვებენ ცნობისმოყვარეობით გამოსეირნებან, რათა ვაივონ აჭარის ყოფა-ცხოვრების ამბები, დაინახონ, რომ აჭარელი შექმნილი მდგომარეობით კმაყოფილია... საბჭოთა ხელისუფლებას ვინც სულითა და გულით ემსახურება, ვისაც სურს, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ, ის უნდა ცდილობდეს აჭარის ავტონომიიდან შექმნას საიდეალო კუთხე... ჩვენი უდიდესი ამოცანაა, რომ აჭარა ავალორძინოთ კულტურულად, ეკონომიკურად, მივცეთ მას პოლიტიკური შენების გაქანება...

ასევე საყურადღებოა გ. ორჯონიკიძის გამოსვლა აჭარის საბჭოების IV ყრილობაზე 1923 წლის 30 ნოემბერს: ჩვენთვის ამ პატარა აჭარას, სადაც ეროვნული, კლასობრივი და სარწმუნოებრივი ინტერესები ერთიმეორეში გადახლართულია, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენ მას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ერთი შეცდომა, ერთი ცუდად ფეხის გადადგმა საშინელ შედეგებს იძლევა, ამიტომ ჩვენ ნათლად და გარკვეულად ვეუბნებით ჩვენს არჩეულებს: რაც შეიძლება ფრთხილად, რაც შეიძლება წინდახედულად იმუშავეთ აჭარაში, კომპარტიის რისხვა იმას, ვინც ამ გზას გადაუხვევს...

მომდევნო წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გ. ორჯონიკიძემ შესაძლებლად მიიჩნია პარტიაში მიეღოთ 300 კაცი ბათუმიდან, ამას გარდა სოფლად — 30 ღარიბი აჭარელი გლეხი.

გ. ორჯონიკიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აჭარის მთელ რიგ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებთან, მშრომელებთან. გ. ორჯონიკიძე აქტიურად მონაწილეობდა არამარტო ადგილობრივი კადრების აღზრდაში, შერჩევასა და წარმოჩენაში, არამედ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. ოფიციალურ დონისძიებებში მონაწილეობის გარდა, სხვა დროსაც ხშირად ჩამოდიოდა. მაგალითად, 1922 წელს იყო ივნისისა და ნოემბერში. მასინ მოინახულა საზღვაო ნავსადგური, ახალშენისა და სალიბაურის მეურნეობები, საზღვაოსნო სასწავლებელი, რომელიც მისი ხელშეწყობით გაიხსნა. ერთხანს მწვანე კონცხზეც დაისვენა. გვეწვია აგრეთვე 1924 წლის დასაწყისში. უკანასკნელად კი ამავე წლის სექტემბერში, რათა დაეჩქარებინათ ძვირფასი კულტურების—ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს გაშენება, განევიტარებინათ ადგილობრივი მრეწველობა, კულტურა.

გ. ორჯონიკიძემ დიდი შეფასება მისცა აჭარის მშრომელთა დამსახურებას 1924 წლის აგვისტოში მენშევიკური ავანტიურის ჩახშობაში: აჭარაში არა თუ მხარი არ დაუჭირეს ავანტიურისტებს, არამედ უმაღლეს ბრძოლაში ჩაებნენ და პირველი დახმარება ოზურგეთის მაზრას გაუწიეს.

გ. ორჯონიკიძეს შემდეგაც მტკიცე ურთიერთობა ჰქონდა აჭარასთან.

1925 წლის ივნისში მხურვალედ მიულოცა მშრომელებს ქედის ხიდისა და ლევას გზის გახსნა, 1926 წლის მარტში მიესალმა აჭარის საბჭოების VI ყრილობას, ხოლო 1930 წლის თებერვალში მენავთობეებს — ნავოსადენ ბაქო-ბათუმის ამოქმედების გამო. მისი ზელშეწყობით 1933 წელს ბარცხანაში აიგო ბუნებრივი საღებავების ქარხანა, რომლის ბაზაზე 1936 წელს კოფეინის ანუ ახლანდელი ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა ამუშავდა.

1936 წლის 20 მარტს გ. ორჯონიკიძე მიესალმა აჭარის ასსრ შექმნის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესიის მონაწილეებს, ოქტომბერში კი მოსკოვში მიიღო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ორდენოსანი ოპერატორი მ. ფაღავა, ბუჟანის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, ახლა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ა. კონცელიძე, ცოცხალია აგრეთვე უხუცესი მძღოლი ტ. ქონიაძე, რომელსაც ძვირფასი სტუმარი არაერთხელ უტარებია მაღალმთიან რაიონებში.

აჭარის, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, მშრომელები სათუთად ინახავენ გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მოღვაწის ხსოვნას. მის სახელს ატარებს კოლმეურნეობები, ქუჩები, საწარმო, საბჭოთა ხალხი პატივს მიაგებს მგზნებარე ლენინელს, ინტერნაციონალისტს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე პარტიის, ხალხის სამშობლოს სამსახურს შეაღია.



ღირიკული რვეულიდან

* * *

ფიქრთა უდაბნოს ანახდევლად
მოაწყდებიან ოაზისები
და მე, შაენილი ქარში ეულად,
მოულოდნელად შენით ვივსები.
კეთილი იფოს ეს ზურმუხტები,
ღვთის საოცრებად შენათვისები.
იისფერ თაღებს ისე უხდები,
როგორც უდაბნოს — ოაზისები.

* * *

თოვს გაზაფხულის თეთრი
ფიფქები
გამთბარი მიწის მოსაფერებლად.
ფრთებს მთავაზობენ შენზე
ფიქრები,
ალეწილები შინდისფერებად.
მე კი ირემი, ნაიარები,
თვალში ატეხილ მწვანე
კორდებით,
ამ თბილ მიწაზე დავაარები,
დავიარები და გელოდები.

* * *

შენი მწვერვალი ქარში ირწევა
და ჩემი ვნების ნებას ნებდება.
მზე ფილანციისკენ გადაიწევა
და ბაგეს ღიმი შეათენდება,
გაფერმკრთალდება ოქროს
ნათელი,

პეროვნებით რაიც ფასდება
შენი სულით და შენი სახელით
ნაზი პირიმზე აკისკისდება.

* * *

ზარ გაზაფხულის ჩუმი ძახილი,
ჩუმი ზეფირის ნაზი ცთუნება,
ანქამებული თეთრი აპრილი,
ყვავილთა ფერის აბუბუნება.
ოცნება — შენსკენ მთრთოლარე
ლანდი

გაბლანდულია ვნების ფაცერად.
ვაი თუ შენ ზარ ის ნაზი დარდი,
განგებამ ბედად რომ დამაწერა.
იქნებ მიტომაც ვერსად თავსდება
სელი, ამსკლარი მიწიდან ვალად.
ცხოვრება კაცთა იმით ფასდება,
თუ რა სიკეთე დარჩება კვალად.

* * *

ცაზე ბიბინებს ფერი ქლიავის,
თვალად რომ შევინით ცისფერ
ასულებს.

სიზმარს მითრთოლებს ღამის
ნიავი,

ასე ნაზსა და ასე სასურველს.

სიწმინდის იგავს ყვება სანთელი,
თვალს იმშვენებენ ლურჯი იანი.

სიზმარს მიცხადებს ცისკრის
ნათელი,
ასე სუფთა და ვაზის ცვრიანი.



ეს გაცხადება ახლეს კეთილად,
 მზის ოქროლილზე დანაკვესები.
 სულში ხატება ამოკვეთილა
 შენზე ფიქრებით ნააღერსები

* * *

აპრილი შიშველ ტოტებზე
 ზრუნავს.
 ტოტები ხელეებს ითბობენ მზეზე.
 ფიქრები შენზე ნისლივით
 ბრუნავს —
 დაუწერელი ჩურჩული შენზე.
 სიცოცხლე ჩემი ცისფერია რტოა
 და თუ დაქანცვს იგი ქარებმა.
 შენგან იმედის სურნელი მოვა.
 როგორც ლანქერი და აჩქამება

18-93

* * *

ქარი შმაგობს და კელაპტარს
 სცივს
 და შეცოდება შენი ლოტოსი.
 გვიანია და ფოთლები მცვივა
 და ეფარება ყინვას ლოდოსი.
 სული შეგწირავს იისფერს
 მცირედს
 და ათინათის შემობრუნებას.
 დღესაც მოგიტან ლოტოსის
 იმედს
 და სიყვარულის პირველ
 ცოუნებას.

* * *

წვიმის წკირები ტყდება მინაზე,
 ქარი ჭკორაობს ახლა ჭალაში,
 გაუფერულდა მთვარის სინაზე
 მოხეტიალე ღრუბლის ფარაში.
 და მომენატრა ნაზი სურნელი
 წამაქცეველი შენი ვარდების

და მჭირს სურვილი განუკურნელი
 შენს იმედებში განავარდების.

* * *

წუხელი ტბაში დავტოვე მთვარე,
 ვით ნარჩენილი ქარი მინაში.
 ვერ მოვიფერე, ვერ დავიფარე,
 ვერ მოვიყვანე მე შენს ბინაში.
 წუხელი ტბაში დავტოვე მთვარე,
 ოქროვან მთებზე ესხა იანი.
 ზეცამ ინება და ისევ მალე
 მობრძანდა დილა თავაზიანი.
 ადარ ნანაობს მთვარე ჭავლებზე,
 ვით გახსენება ჩუმი ვალისა.
 დვას ცისარტყელა ცისფერ
 ჭალაზე,
 ნება ყოვლისა აღმავალისა.

* * *

ფიფქებს მიჰყავდათ ცისფერი
 დილა
 შენი მადალი სულის ნათელის.
 ორი ტირიფი დამდგარი წყვილად
 კელაპტარობდა, როგორც
 სანთელი.
 ქარი ქროლავდა, — ვინმე ავსული
 და ვერ აქრობდა ბედის
 მარაზით. —
 ფიფქებს მიჰყავდათ თეთრი
 ასული, —
 თვალდაზატული დილა ლამაზა.

* * *

შეხი მილივით მოქროდა ქარი,
 თოვლი დნებოდა როგორც
 დუმილი
 და სიყვარულის ცისფერი ქნარი

ჩუმად ფეთქავდა მთების
სულივით.

შენი ბილიკი ქარში ეკიდა,
როგორაც შენი თმების ზონარი.
მოქროდა ქარი შენი მთებიდან,
მოჰქონდა სითბო გაუგონარი.

* * *

თავს ვიტყუებდი, რომ დაგივიწყე
და სხვა სავანის კეძებდი ჩეროს.
მიბინდულიყო წნორებში ის დღე
და ჩუმად თვლემდა საბრალთ
წერო.
სხვიით ნაკემსი ქრებოდა ნისლი,

ჩასძინებოდათ მთვარის
მყეფარებს.
დავიწყებათა არ არის ღირსი
ჩანჩქერი, მუდამ სულში
მჩქეფარე.

* * *

ძე მზრებზე მესხა შენი ტყეების
მწვანე ტოტები დანათოვარი.
უნარნარესი ცისარტყელების
ფერები სულში დანატოვარი.
და მოლოდინი იღო ნებაზე
ლოდივით მძიმე, თან აქროლადი.
მზეზე ეკიდა გულის ემბაზი,
როგორაც ზღვაზე — თეთრი
ხომალდი.

ი ა შ ა თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი კ ე ლ ი მ ი ო ზ ე

როცა მთებში თოვლი დნება, წყალი ნაპირს ვერ იტევს,
ველად გიხმობს სპა ველური და ბუნაგებს ვერ ითმენს,
ეს ის დროა, როცა მუზა ფანტელივით გაცვივა,
რალაც გინდა, ვიღაცა გსურს, არ გწყურია, არ გცივა.
სწორედ მაშინ შეეადარებ შენს ტილოებს დამის ზღვას
და მსვავსების აღტაცება ოლამპოზე ამიყვანს.
მთვარე ზღვაში, ნავი ზღვაში, ხალხი ზღვაში, მზე ზღვაში,
და ზედ მკრთალად შენი სული ფერთა მიმოღვლევაში.
გწამდა, თესლი შენგან რგული ერთ დღეს აღმოხდებოდა,

სად არ ქუხდი, სად არ დუღდი, ოხვრა სად არ გზღებოდა.
 ხოფა, სარფი, ვასიუგანი, ლენინგრადი, თბილისი —
 ამ ქალაქებს მოეზნია შუქი შენი დილის მზის.
 ზოლოს თბილისს შეეთვისე, დედა მაინც დედაა,
 ვით ნიკალას; იეთიმის, შენი ზედიც სევდაა.
 დრო მაღია, თითქოს გუშინ გქონდეს დღენი ყრმობისა.
 ვფლობდე ძალას ვარსკვლავიდან სულის გამოხმობისას,
 ამიტომაც საუბარი შენთან დღესაც ისე მსურს,
 როგორც მაშინ სტუდენტობაში დღეებს ვთვლიდით თბილისურს,
 ორიოდე სიტყვა მინდა გითხრა, ღმერთით თუ შევძლებ
 და დაგიწვობ ძველკოლხურად ხელებს დაღლილ მუხლებზე...
 ვაცო სწორედ ფიქრის ზღვაა და სადაც დულს იქ დელავს,
 ვის სიმღერა ლექსად უყვარს, ვის კი ლექსი სიმღერად.
 ნურც ჩვენს ბიჭებს დავივიწყებთ, საამაყო ვაჟკაცებს,
 ეს მე ვიცო, რა გზებით და ხერხით გამოგიტაცეს...
 საანდერძოდ ვითქვამს: მეც ხომ თქვენი ძველი სისხლი ვარ,
 სადმე ისეთ ალავს დამფლეთ, რომ შემეძლოს ზღვის ზილვა
 ჩვენც კაცური ვალის მოხდა სწორედ იქ მოგიხერხეთ —
 შარფში, სადაც ერთ დროს გვედგა ძველთა-ძველი მუხის ხე,
 ვით ჩვენ წმინდა ძვალთშესალავს შენი ძვლებიც შეგმატეთ,
 ისე შენმა ნაღვაწევმა აღტაცება შეგმატა.
 მოგონების ზღვას მივყვები, იქნებ ნაპირს გამყაროს
 და ვიხილო საოცნებო ძველკოლხური სამყარო,
 ამბებს ჩემზე უფრო უკეთ ხვალ სხვა გეტყვის გვერდებად,
 ხალხი, შენი წარმომშობი, არასდროს დაბერდება.
 სხვაფრივ აზლა ვინღა დავრჩით — რაღაც ერთი სოფელი.
 მაგრამ დედა საქართველოს შვილი განუყოფელი.
 თქვეთ კიდევ რაღამღენი... სჯობს ვიყო და ვიყურო,
 რაც რომ გრძნობა გამიჩნდება, ისევე ჩემში მიექვფრო.
 ჩრდილი ნათლის გადაშკვეთი შოლობილში მინამ დევს,
 სანამ თვითონ ჩრდილის მფენი მზისგან იღებს სინათლეს.
 დრო სივრცეში რაც არ ზომო უზუსტესი ნივთებით
 რაისგანაც წარმოვიშვით, ბოლოს იგივე ვიქნებით.
 მაგრამ რჩება შენი ზღვების ჯადოქრული ფერები.
 მაგრამ რჩება შენი ლექსის აღმამფრენი ბგერები,
 ჩვეულებრივ, როცა მზისით მიუყვები ნაბიჯებს,
 რაც არ უნდა შეეცადო, ჩრდილს ვერაფრით დაიჭერ,
 შენ არასდროს მიგიცია ჩრდილი — სული სატანას,
 წუთისოფლის შენებურად მეც ვინაჭრი გატავას.
 აზრი — აზრთა მეუფე და შენი სულის მპყრობელი,

გაიგე, რომ „შვიდ ქვეყანას“ გვყავდა „დიდი მშობელი“
და შეაგდე ღამის ზღვაში „მარჩენალი ფელუკა“;
ზურგის ქარმა გიშველა და ნიჩბის მოსმამ ხელუკან.
მთვარე გრილი, მსუბუქ სხივით ტალღებს ეთამაშება
და ის დროა, როცა სძინავს დიდებსა და ბავშვებსაც.
გმირად იშვი იმის შემდეგ, მითად და საარაკოდ,
როცა სთხოვე ქვა კურთხეულს „წუთი სალაპარაკოდ“.
ო, ის დამე მერე შენმა უკვდავ ზელმა ასახა
და ბოლომდე დარჩი იმად, რაც ხალხისთვის ახლა ხარ.

* * *

თბილის ქაღალქს შერი ფაცხა, ჩვენთვის კერა ლაზური,
ახლა თუა ურდულებით ჩაკეტილ-ჩარაზული,
იქნებ არა, ცხოვრობს, ალბათ, ვინმე ლაზი სტუდენტი.
შენ ხომ კარებს, ისე ვით გულს, ყველას ფართოდ უღებდი.
ეჰ იმ დღეებს... ჩემში მუდამ სანთლებს ვუნთებ მალი-მალ,
შენს ღამეულ ზღვათა ფერებს ვგრძნობ, რომ დაეუმთვრალივარ.
გიკითხივარ, ერთხელ ვითქვამს, არ ჩანს ზამთრის მზესავით,
ისიც ჩემებრ, ქარებს დასდევს სივრცეებზე მკვნესარი.
თვით კი იცი, ჩვენნაირი ვინ რაღამდენს მოესწრო.
„ამეებით“ ბედნიერი მაინც იყავ „მაესტრო“.
ვინ რა ნლომით ეწაფება წყაროს „სოფლით მონადენს“;
ზოგიერთში ელვა ბუდობს, ზოგში კიდევ მონა დევს,
ირიბ მზერას ამჯობინე კალამი და შოლბერტი.
ამ მოლბერტით დაიბადე, ამ მოლბერტით მობერდი,
ამიტომაც დაგრჩა ქვეყნად ზღვები ზღაპრულ ფერებით.
დრო მოვა და აწი უფრო ღირსად მოგეფერებით.
ეგებ ვინმემ მიგამსგავსოს, შეიღს ერისა გუშინდელს, —
ძველკოლხური შენი გენი ამირანის სულში ჯევეს.



წ ე რ ტ ი ლ ი

როგორც კი წერილს წაიკითხავს, შეიშლება ჭკუიდან... მართლა არ შეიშლება, მაგრამ არც ბევრი დააკლდება.

დახვეს. უფრო სწორად, ჯერ დახვეას დააპირებს, მაგრამ მაინც გადაიკითხავს მეორედ წერილის ბოლო აბზაცს. შემდეგ ნამდვილად დახვეს ბარათის ფურცელს ორად, ოთხად, მერე — რვად, მერე — თექვსმეტად... სანამ ქაღალდის წვრილი ნაფლეთები არ შერჩება თითებში. ნაკუწებს იატაკზე მიმოაბნევს, აღრიალდება, გაგორდება ტახტზე და მუთაქას წიწკნას დაუწყებს კბილებით. იტირებს ერთხანს... მერე სიგარეტს მოძებნის და ზედი-ზედ მოსწევს ორ ღერს: პირველს — ბოლოთი ცემით, მეორეს — ჯლომაში. ვითომ დამშვიდდება...

გადაწყვეტს პასუხის შეთხზვას და მაგიდას მიუჯდება. საწერკალამს დაუწყებს ძებნას. დიდხანს მოუნდება ძებნას...

იპოვის წვერწატეხილ ფანქარს „მშრალ“ საყვავილეში. იბულებული გახდება, სამზარეულოს ბლაგვი დანით წათალოს ნაპოვნის. დაჭმუჭვნილი რვეულის შუაგულიდან ამოხვეს „ტყუპ“ ფურცელს. დაიწყებს წერას შეეცდება იყოს შეუბრალებელი. დაწერს ორ სტრიქონს... ორ სტრიქონს ისევ. როგორადაც დაამახსოვრდა ის ბოლო აბზაცი, (ჭკუიდან რომ კინაღამ შეშალა)...

შეთხზავს იმ ორ სტრიქონს და შეყოყმანდება. წერას თვს დაანუბებს, წამოღვება, ტახტიდან მაგიდაზე გადმოაწყობს საფერფლეს, სიგარეტს, ასანთს. დაუბრუნდება საკუთარი ტანის სითბოთი შემობარსკამს.

მოუკიდებს, გააბოლებს და ჩაფიქრდება. იფიქრებს ერთხანს. გაიხსენებს ყველაფერს (უფრო სწორად — თითქმის ყველაფერს). მერე იმ ორ სტრიქონიან „ტყუპ“ ფურცელს დახვეს ორად, ოთხად, რვად და ნაკუწებს გადადებს გვერდზე. რვეულიდან ამოხვეს ცალ ფურცელს და დაიწყებს წერილის თხზვას ხელახლა. შეეცდება იყოს უფრო გულახდილი და თბილი. დაწერს ორ ან სამ სტრიქონს. გადაიკითხავს. არ მოეწონება (იფიქრებს, რომ სათანადო სითბო ვერ ჩააქსოვა წერილის დასაწყისს) და დაჭმუჭვნიის... დაჭმუჭვნილი ქაღალდის გორგალს დადებს საფერფლეზე და სიგარეტის ანთებული ბოლოთი „გაზვრეტს“ ერთხელ, ორჯერ (ფიქრობს)...



ფანქრის ბოლოს ცერის ფრჩხილებზე დაიკაკუნებს. ჩაახველებს ისე, თითქოს იმის თქმას აპირებდეს, რისი დაწერაც უნდა. ჩაახველებს მეორედ და დაიწყებს მესამედ ბარათის შეთხზვას. დაწერს ორ სიტყვას, დასვამს ძახილის ნიშანს, გაშრება... მერე ფანქარი ხელიდან მაგიდაზე დაუვარდება (თუმცა არა — დადებს. ფანქარს დადებს წვერით ძახილის ნიშნისაკენ.) „ჩააქრობს“ ჩამქრალ სივარეტს და სახეს ხელისგულებში ჩარგავს. აწურავს მხრებს, მოუნდება ტირილი, მაგრამ ვერ იტირებს...

ისევ გაიხსენებს ყველაფერს (თითქმის ყველაფერს) და მიხვდება, რომ არ არის მართალი... მერე თავს დაიმშვიდებს — იფიქრებს, რომ მის ადგილზე არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო მართალი... რომ ისაა მართალი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. გაახსენდება საკუთარი ფეხები — დახედავს და თვალიერებას დაუწყებს. წვივზე კოლოს ნაკბენს აღმოაჩენს, ჩინქნას დაუწყებს ფრჩხილით და იმ ჩინქნაში გაახსენდება, რომ ადამიანიც იკბინება. ადამიანის ნაკბენის დასათვალიერებლად სარკესთან მისვლა მოუწევს. შეიხსნის ბოლომდე შეკრულ საკინძებს, თმებს აიკრეფს, ცალი ხელით ყურს უკან გადაიწევს, თავს გვერდზე მიაბრუნებს და დაინახავს ლავიწს ზემოთ კისერზე მოლურჯო-მოვარდისფერო სამკაპიკიანისოდენა ლაქას, რომელიც დღე-ღღეზე უნდა გაყვითლდეს.

თმებს ჩამოუშვებს, თავს გააქან-გამოაქანებს — ნაკბენი ჩანს. გაახსენდება, რომ კბენისას სულაც არ ტკენია და ჩაიციინებს (კი არ ჩაიციინებს ჩაითრქილებს). დონჯს შემოირტყამს სარკის წინ დამდგარი და მხრებს აათამაშებს (შეეცდება, ხსენიათი გამოისწოროს)... ვერ შეძლებს... მხრების თამაში დაღლილობა მოეძალება. შეხედავს ტელევიზორზე წამოსკუპებულ მაჯვიძარას და დაამთქნარებს...

დაიწყებს ლოგინის ვაშლას. ბალიშს ააფუმფულებს. გაიხდის და დაწვება (თუმცა დაღამებამდე დროა) გულაღმა. ჭაღს გაუშტერებს მხერას. ჭაღზე ბუზი იქნება ჩამომჯდარი (დილის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ სასწაულად გადარჩენილი).

თვალეები წიენახება.

გადაბრუნდება კედლისკენ. საბანქევმ „მოიკეცება“ რვიანივით. ჩაიფიქრებს მეორე დღისთვის — შეუკვეთოს სამწუთიანი საუბარი სატელეფონო სადგურიდან. უნდა დაიჯეროს, რომ ვერ გაუბედავენ იმის გამეორებას, რაც წერილის ბოლო აბზაცში ეწერა. თვალედახუჭული დაამთქნარებს და საბანს ამოიგებს ნიკაპქევმ.

დაძინებამდე ნახავს სიზმარს...





ბორძიკით დადის

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იდგა მზესავითა“.

ხალხური

არის ჯავახეთს უხვი მთა-ველი,
მწყერის გოგმანი, მწყერის თამაში
და ჩემი გვარის მამამთავარი
ბორძიკით დადის ქერის ყანაში.
ნეკნებში უჩქეფს ჩუნჩხის ფშანები,
ფილტვის მაგივრად ორი კალმახი,
ქარაფის თავზე ძოვენ ხარები
და რქებით თხრიან სისხლის სამარხებს.
უცბად ირღვევა ნისლი ცრიატი,
ორი ტბა ზეგანს ნათელს მიაფენს,
როგორც ფირუზის და ბრილიანტის
ბებერ და ნაჯაფ ხელზე კიაფი.
სხვა ისვამს ახლა ხელზე კალიებს,
ნამგალსაც უკვე სხვები ლესავენ,
მთვარე კი უცდის ისევ ალიონს
და ტაბაწყურთან დგება მზესავით.
მაგრამ სხვა ვინმე, უკვე თამამი,
გამრავლებულა თამაშ-თამაშით
და ჩემი გვარის მამამთავარი
ბორძიკით დადის ქერის ყანაში.

თვალეები მწველი და გამომწვევი,
თვალეები შენი და შენზე მეტი,
შებინდებისას ქარაგმებს წერენ
ჩემი ხელების ცხელ პერგამენტზე.

ძირს, როგორც ძველად, ტანჯვით ვეშვება
და ახლა ვპარგავ იმედს მაშინდელს,
ბანგი — ტრფობა და ბანგი — ლექსები
სიკვილის წამში რომ ვერ მამშვიდებს.
შუაღამისას სევდით ყმუიან
ჩემი თვალები და ჩემი ძვლები;
მე, რა თქმა უნდა, თავს არ ვიტყუებ,
რომ მოგეყრდნობი და შევიცვლები.
მაგრამ ცა მღერის მწუხრის სიმღერებს,
უწინდებურად თვალი აქვს სველი
და სიყვარული ისე მიხსენებს
დროდადრო, როგორც მტანჯველი სენი.
ვიღაცა მოდის და მაჯას მითვლის
და ბინდში შენი თვალები მზვერავს,
როგორც მსხლის ხეზე ლამაზი ფითრი,
ისე ყვავილობს ეგ შენი მზერა,
რომელიც არ გგავს. მე კი ტყუილად
ვღელავ და კვლავ არ ვიცი რა მინდა
და ჩემი ძვლები როცა ყმუიან,
მოსაკვეთი ვარ ჩემი თავიდან.



მე ის ვარ, თქვენნი ძველი მხევალი,
ალტაცებული შლეგი და მწირი,
მზის ჩასავალთან მკვდარი ხელები
წავიდე ჩუმად და ზღვას შეეწირე.
მე ის ვარ, ყელზე მიწა რომ მენტო,
შავ თილისმაზე ცა რომ მეკიდა
და მთვარე თავის უკვლავი ფერით
გადმომდიოდა მოჭრილ ნეკიდან.
მარადიული სიმღერის გედი
თრთოდა და ძრწოდა ყველა ავსული
და მოღალატე მაცდური ბედი
ზურმუხტის თვალად მყავდა ჩასმული.
ახლა ფორთოხლის ყვითელ ბალებში
გადმოხვეწილი ვუსმენ სატირებს
და მზის ქურუმი მიცქერს სახეში,

გალიმებული მიქნევს სატევარს.
მე მზესთან ერთად სიკვდილში ჩავალ,
ჩავალ ზღვაში და მღელვარე ლელში,
რომ მოვალანდო თივას და ჩალას
ამწვანებული ველების ეშმა:
მე ის ვარ, თქვენი ძველი მხევალი,
შავ თილისმაზე ცა რომ მეკიდა
და მთვარის ძველი, ყვითელი სისხლი
გადმომდიოდა მოჭრილ ნეკიდან.



ახლოს სიყვარულია, შორს კი ინდოეთია,
შორს კი არაბეთია, კიდევ მხარე ქაჯთა,
გაღებულა კარიბჭე, ყველა ზეცა ერთია,
გადიფრინა შურთხმა და გულანშაროს დაჯდა.
ჰოი, ჩვენო ასმათო, დაო ღვთიურ ტანჯვის,
ერთგულების ფასად გულმა რა ისურვა:
სამფლობელო დიდი და ღვევების განძი,
თუ დავიწყებული ნაღველი და ურვა.
შორეული წინაპრის საოცარი სევდა,
შორს, არაბეთს იქით, მიფრინავ და მიჰქრი,
აღზევებულ მამულის სხვანაირი მზე და
სხვანაირი სიცოცხლე, სხვანაირი ფიქრი.
მიუძღვება ოქრო დიდვაჭართა ამქარს,
გაუმხელენ მეფეს ზრახვებს გულში ნადებს,
ლალი წინაპარი წიგნს დიდსა და ახალს,
როგორც ნანადირევს, ტანტის ახლოს
დაღებს.

ცაში შვიდი ფერია, კიდევ ერთი ღმერთია,
კლდეზე გრძნეულებით ფეთქავს მხარე
ქაჯთა,

შორს კი ინდოეთია, კიდევ არაბეთია,
გადიფრინა შურთხმა და გულანშაროს დაჯდა.



ბ ზ ე ბ ი

— არ უნდა გაგეშვა ფოთში! — შეაწყვეტინა გიორგიმ და ხარებს შეუძახა. მაროია ნიშნისმოგებითა და მღურვით მიაჩერდა: — რავა ლაპარაკობ შენ? მე გოვუშვი თუ? ეიჩემა ერთ დღეს მიწეზიან ბაღანასავით, ფოთში უნდა წავიდე, ფოთში უნდა წავიდეო, ვერ იქნა და ვერ გადავაფიქრებინეთ ვერასდღებოთ. რა გინდა იმ დანაქცევ და დასანაცრებელ ფოთში-მეთქი, რომ ვკითხე, გაბნაზდა და იმფერი სიტყვა ამოუშვა პირიდან, იმფერი რამე-რუმეები მაკადრა, ყურიდან-ყურში არ გოუშობდა კაცი. შენ რა იცი გამოხებენტერებულმა დედაკაცმაო, ვინაც კი ფოთში წვეოდა, სული მეიქვა და მე, აბა, რავა წავხლები, სხვებს რომ ჩამოვრჩე და ორი კაპეიკი ვერ გავაკეთოო... ჩვენც წავიყვანეთ-მეთქი, რომ ვუთხარი, ააგლო ქვაი და შეუშვირა თავი — თქვენე წაყვანა რაფერ შეიძლება, ჯერ ღამის გასათევი უნდა ვნახო საღმე, მერე ჩამოგაითხავთ და თქვენც წავიყვანთო. რაღა მექნა? დევეთანხმე ბოლოს, კაი, აბა, რავარც შეხ იტყვი-მეთქი. ადგა, დაკრა ფეხი, გაშვა ფოთში და ქე მიგვატია ღვთის ანაბარად. ვართ მე და ჩემი გოგო და ვუცდით, თვალები სულ ქიშკარზე გვაქ მიბჯენილი — აბა ხსლა გამოჩნდება და აბა ახლაო, მარა სადა? გვიღია ასე კვირები და თვეები, მერე წელიწადიც ჩაგველია ხელში მის ცდაში. ვის არ ვეკითხებოდით, იქნებ ფოთში იყავით რომელიმე და იქნება მადლიოა იმ ჩემს კახანს მოკრათ საღმე თვალი-მეთქი. აბა, არ შეგჭამოს ჭირმა, არ იცის არაკაცმა მისი ასავალ-დასავალი, კაციშვილმა არ იცის, ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ. მაშინ კი ვიფიქრე, რაცხა ფარცავი არაა მის თავს-მეთქი და ამიტანა მარა რა ამიტანა შიშმა. დღე და ღამე სულ იმაზე ვფიქრობ და ვტირი. დავწაფრე აგერ ყაზილარი და იგია, მერე, მეტი ვერაფერი რომ ვერ გავაკვლიე, დევისესხე მეწობლებში რაცხა ორი კაპეიკი და გადავწვიტე წავსულიყავი ფოთში. წასვლა ქე გადავწვიტე, მარა ქე ამიტანა შიშმა, კი მივად, მარა, ხად მივად, გზაი ვიცი თუ კვალი? ფოთი კი გამეგონა, მარა ხად იყო, ხად ჭანდაბაში, შავი ნამდვილად არ ვიცოდი. ფოთში დიდი სახლებიაო, ბევრი ხალხიაო, დროგებითა და ფაიტონებითაა ავსებული იქაურობა, აგიც ქე გამეგონა. გავბედე, გავრისკე და წავედი შინც. ფეხით გავიარე იმხელა გზა და ჩვეელი მატარებლის გაჩერებაზე, ვიდაც მადლიანმა მასწავლა — ბილეთი აიდგო. მატარებელი მოვა, ახვალ და ორი-სამი საათის მერე ფოთში ამოყოფ თავსო... შენ გინახავს მატარებელი, ნენა? — შეეკითხა მოულოდნელად გიორგის.

— არა! — უარის ნიშნად თავი გადააქნია გიორგიმ.

— ნეტაი განახა, ერთი, რაფერია! — ბრიყული აღტაცება გამოეხატა სახეზე მაროიას, — მეც პირველად ვნახე იმ დღეს მატარებელი. კინაღამ ფირფიშაი გამისკდა და ადგილზე კინაღამ გავჩხიყინე ფეხები, რომ დევისანზე გევისედე და რას ხედავს ძას ჩემი დასახლები თვალები — მოდის მარა რა მოდის, გაცოფებული კამეჩივით რომ ქშინავს პირდაპირ? ცხვირიდან სულ ფუტხა და ნაკვერჩხლებს ყრის გველშეპივით!

და მიჰქ ხეი და მიწა, მე პირველად გველენაში მეგონა და არიქა, ახლა გადამელაპავს-
მეთქი, რომ ვიფიქრე, შატარბელი მევიდაო, თქვა ვინცხა აშენებულმა და ქე დევე
ნარდი პაწა. იმ ასაშენებელმა, ბილეთი რომ ამადებია, ძალით ამსვა ბორბლებზე შემდ-
გარ ოთახში და ძალით დამსვა სკამზე. ვჯდანვარ, მარა ვაი მასეთ დაჯდომას, აწურუ-
ლი ვარ და სულ იმაზე ვფიქრობ, ახლა რა იქნება-მეთქი. ხალხი ჯდანა და ქე ლაპარა-
კობს არხინად, მე კი ინდაურს რომ ჯოხს დაკრავ და დებენვეა ტარაბუა, სულ მთლად
ისე ვარ გაბურსაღებული. რავა ვიღებ ხმას, სულ ციცი-ცივი ოფლი მასხამს და სულ
ამას ვნატრობ გუნებაში — დმერთო, მწყალობელი, ერთი აქედან ცოცხალი ჩასვლა
მადირსე, ჩემს მეწობლებთან დატოვებული ჩემი ბაღანას ნახვა მადირსე და ჩემი მოლა-
ლატე კაძახი თუგინდა წყალს წაუღია-მეთქი... რავარც იქნა, ასე შიშსა და ჯახირ-
ჯახირში ჩევედი იმ დასაქურმუნეთებელ ფოთში... ვხედავ, მარა რას ვხედავ — სულ
ერთმანეთშია არეული ურმები, დროგები, ფაიტონები, ხალხი ხომ სულ ქიანჭველების
ბუდესავით ისვრება. არის ერთი ყვირილი, ხორხორცი, ჩოჩქილი, ზრიალი და ერთი
ვაიუშველბელი. მივალ ამდენ ხალხში, კაციშვილი არაა ნაცნობი და მეც არ ვიცი, სად
ჯანდაბაში მივდივარ. ერთ ადგილზე კინადამ გამჭყაპა დროგმა. მედროგემ კინადამ
ძცემა, მერე იშფერი სიტყვები მაკადრა, ერთხელ ჩემმა ქმარმა რომ მითხრა, შეცდომით
ღვინის მაგიერ ძმარი რომ დავუხსნი და დალია... რა უნდა მექნა? მევითმინე... მივალ და
მივალ, გვაჩერებ ერთს, მეორეს, მესამეს... ვეკითხები, ამა და ამ კაცს თუ იცნობ-მეთ-
ქი. ზოგი საერთოდ არ მეკითხება აფერს, ზოგი რაცხას მეუბნება, მარა ვერ ვგებულობ,
რას მეუბნება, ზოგი კიდევ, რომელ ქუჩაზე ცხოვრობსო, მეკითხება, რომელ ნომერ-
შიო. რა ვიცი მე ქუჩა და ნომერი-მეთქი, ვეუბნები. აბა, აქ სოფელი ხომ არაა მაგის
გარეშე კაცი რავა მოიძებნებაო, უკვირან. რავა, ჩემს სოფელში მე ყველას ვიცნობ-
მეთქი, ვეუბნები. აქ კიდევ, ქალაქიაო, მეუბნებიან და გაკვირვებულები მათვლიერებენ,
ვითომდაც რაცხა აბდრული რამე ვკითხე.. ზოდა, ამ ძებნა-ძებნაში რომ ვარ, უცებ არ
გადავწყვიდი იმ ჩემს გათახსირებულ ქმარს? გევიხედე შემთხვევით და არ მუა მუა გზა-
ზე? ისეთ გამოკობტაებულა, ისეთ გამოცვლილა, ქე გამიჭირდა პირველად მისი ცნობა.
გვერდზე ვინცხა ქალი მოყვება — მაღალი, აწოწვილი, განჩორიკებული, ცარიელი ძვა-
ლი და ტყავი, დრუნწი წითლად შეუღებია, ლოყები რაცხაით მოუტურტლავს და ბატის
ქოხმა რომ იცის, რომ წეისვამ და დეიწყებს ბწინვას, ისეთ უბზინავს სწორედ. მომკრა
თვალი და ეს ჩემი კაცი რომ დეიქო ერთ ადგილზე, ვეღარ მიეცვალა ფეხი. დგანა,
დოუყლიპავს თვალები გომბიასავით, მიყურებს გაშტერებული და პირდაფრინილი,
ხომ არ მომეჩვენაო, ფიქრობს, ალბათ, გულში...

— შე მოლალატე დიმიტრიავ-მეთქი, რომ დოუყვირე და ვებდღვენი ერთი ჩემებუ-
რად, მეიკუშა მატლივით, მეიკუშა და ძლივს დაძრა ენა პირში — შენ აქ რა გინდაო,
მეკითხა ბლუკუნ-ბლუკუნით. შენი გაცოფება, შენი ფხეების გაქიშვა და შენი არ გა-
დარჩენა-მეთქი, ვუთხარი მე — რომ დაკარი ფეხი, რომ მოშვი და გამიქეცი, ქალი და
ბაღანა რომ მიატე, აბა, რაფერ ფიქრობ შენ, ვითომ არ მოგძებნიდი-მეთქი?! ვერაფე-
რი მითხრა, აბლუკუნდა გლახახავით, მოყვა რაცხა უთავბოლო და უაზრო ბოდილის:
მუშაობა დევიწყე, ფულს ვავროვებდი და სახლში მომქონდაო... მატყუებს, ვატყობ ეს
გასაციებელი; არც ერთი სიტყვა არაა მართალი და სწორი მის ნათქვამში, აგი ქალი
ვისაა-მეთქი, რომ ვკითხე, და იმ განჩორიკებულ ქალზე ვანიშნე, სულ დეიბნა და დეიბნა
ბრინჯით. ჯერ, მეწობელიაო, მითხრა, მერე ამხანაგაო, მერე კი ნამეტარი რომ შე-
ვუჩნდი და შევეუჩნდი, ქე მითხრა სიმართლე და, ცოლიაო, გამომიტყდა. ცოლიაო, რომ
მითხრა და ქე გადამეფარა თვალებზე ბინდი, ისეთ გადამეფარა, დაღამდა-მეთქი, ვი-
ფიქრე. მერე, შოგეცა სიკეთე, ვიკივლე მარა რა ვიკივლე, სულ ცაი ჩამევიდე კვილით
დაბლა, ვებდღვენი მერე თმაში იმ ქალს, დავითარი, გაუფლვართე მიწაზე, წამოვაკეცი



ზეიდან დასაკლავი ღორივით და ვუუაუუნე და ვუუაუუნე ცხვირ-პირში. მოგროვდა მასში, ხათვე ხალხი, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ვერ გეიგებ, ვინ რას ჩივა, არის ერთი დუღავა, ზოგი გვაშველებს, ზოგი გვამწნეებს და გვაქეზებს — მიდით, მიდითო, ზოგი გვამტყუნებს და არის ერთი ამბავი. ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან, თვარა ქე შემომაკვდებოდა ის ჭიამკვდარა ქალი და ქე ვნახავდი შაირს. ამასობაში ჩემმა ქმარმა, რავარც კი ნახა მომენტი, დაავლო ხელი თავის გაჩხორიკებულ ქალბატონს და არ მიეფარა თვალს! აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, მარა რას ნახავ აშდენ ხალხში? ამ უცხო ქალაქში? მისი ნახვის იმედი რომ გადამიწყდა, ქე გამოვბრუნდი ისევლე სახლში ტირილ-ტირილით... ო, ღმერთო, ჩემი გამწარებშია დიმიტრიე მანახე ერთი მოწყურებული და ეგერ რომ ყრახტალებს, იმ ჭაჩიასავით გამწარებული.. ქმრის გაქცევა არ მაკმარა ღმერთმა და გასულ თვეში სახლიც ქე დამიწვა. დავჩნით ასე ცარიელ-ტარიელი მე და ჩემი გოგო...

— სახლი რამ დაწვა? — შეაწყვეტინა გიორგიმ.

— მისით დეიწვა, თუ ვინმემ შეუბიძლია ცხელი, არ ვიცი. რავარც იყო, ქე დეიწვა და... კიდოდ კაი, დღეი რომ იყო, თვარა დამე რომ გაჩენილიყო, ნომ გამევიბრა. წებოლით ვირთხებოვით შით?

— კი, აბა! — დეთანხმა გიორგი და მერე დასძინა, — ნუ გეშინიათ, ცოცხალ კაცს ყველაფერი ეშველება.

— რა ვიცი, არ ვარ დარდით და ფიქრით და...

...მაროას ქაქან-ქაქანში სარდიონის კარ-მიდამოსაც მიაღგენ.

გიორგიმ ხარები შეაჩერა, ურმიდან ჩამოხტა, ვეება ხის ჭიშკარი შეაღო და წინ წაუძღვა ხარებს.

თვალუწვდენელ ეზოში კოინდარი ბიზინებდა. ვეება, ორსართულიანი, ხსირიკულე-ბიანი, განიერაივნიანი ოდის წინ ვეებერთელა ცაცხვის ხეები ჩამორიგებულიყვნენ. ცაცხვებს მაროასავით გაეშალათ მძლავრი ტოტები და იქაურობას ქოლგასავით აჩრდილებდნენ... ოდის უკან დიდი, კრამიტით დახურული სამშადი და სხვადასხვა სათავსები შოსჩანდა — ერთმანეთის მიყოლებით ჩამორიგებულიყვნენ ბელღები, სასიმინდეები, თავლები და ვინ იცის რა არა კიდევ.

უკველივე ამის დამნახავმა მაროამ კიდევ უფრო მიბრიც-მობრიცა ისედაც ელამი თვალეები, გაცებულმა და პირდადებულმა მოავლო მჭერა ყველაფერს და მოწონებით, მოწინებითა და შიშით ჰკითხა გიორგის: — რავა, შენ ცხოვრობ აქანე?

გიორგიმ უხმოდ, გაურკვეველად დაქნია თავი და ხარებს შეუძახა.

— ხელავ შენ, გოვ, რავა კრიალებს აქაურობა? — მიუბრუნდა მაროა იულიას, — ხელავ შენ, სად მევედით, გოვ?

— ვხელავ! — მოკლედ და მკვეთრად მოუჭრა იქაურობის თვალთვალში გართულმა იულიამ, რომელსაც დედამისისა არ იყო, რაღაცნაირი შიში და მოკრძალება დაეუფლა ასეთი კარ-მიდამოს დანახვაზე, კიდევ უფრო დაზავრა და დაადუმა ამ მოულოდნელობამ და იმისმა წინასწარმა ანგარიშმა, თუ რა იქნებოდა, როგორ იქნებოდა მომავალში, როგორ შეეგუებოდა აქაურობას და როგორ წარმართებოდა მისი შემდგომი ცხოვრება.

— კაი ადგილია, გოვ, კაი! — აღარ ცხრებოდა მაროა, — აბა ქე შევითქვამთ ხულს პაწას მე და შენ, არა?

იულიამ რაღაცნაირი მღურვით შეხედა და აღარ უთქვამს აღარაფერი.

გიორგიმ ურემი სამშადის გვერდით გააჩერა, მიუბრუნდა დედა-შვილს და თქვა: — აბა, ჩამოდი ანლა დაბლა!

მაროა იულიას დახმარებით კრუსუნითა და ოხვრით ჩამოხობდა დაბლა, ერთხელ კიდევ მიათვალ-მოათვალღერა იქაურობა და აკვიატებულივით გაიშვირა: — კაი ადგილია, ნამდვილად, კაი!

გიორგიმ ჭერ ფაქიზად დაკეცილი ტომრები ჩამოიღო და ლაფაროში დააწყობა, მერე ფუთა დაითრია, ტომრებთან დადო, ხარები გამოხსნა, გამურში შედენა, წყალი დააღვინა, საკვები დაუყარა და გამობრუნდა.

— წავიდეთ, აბა, სარდიონთან! — თქვა, როცა მაროიას მიუახლოვდა.

— საოჯიოხი ვინაა, ნენა? — იკითხა მაროიას, — შამაა შენი?

— შამა კი არა... — ჩაიციხა გიორგიმ.

— ააა! თავა, შეხი არაა აქაურობა?

— ჰმ! — მწარედ ჩაიციხა გიორგიმ, — ჩემი კი არა... მე ვინ მომაშავებს ასეთ სახლ-კარს!

— აბა, შენ რა ხარ? — სულ დაიბნა მაროია...

— მოჭამაგირე!

მაროიამ მოულოდნელად მოიწყინა, სადღაც გაქრა მისი აღტაცება და სიხარული. ჩაფიქრდა და ორჭოფულად იკითხა: — რას იზამს ვითომ, შიგვილებს თუ არა სარდიონია თუ ვინცხა?

— რა ვიცი მე! — მხრები აიჩეჩა გიორგიმ.

— თუ არ შიგვილო, რა გვეშველება? — არ ცხრებოდა მაროია.

— აღგებით და ქე წახვალთ თქვენს გზაზე! — მიუგო გაღიზიანებულმა გიორგიმ, — წამოდით, წამოდით, დავილაღე, დავისვენო, უნდა!

— ჩვენც ქე გვინდოდა დასვენება, მარა... — ლაპარაკ-ლაპარაკით მიყვა მაროია უკან.

ოდის წინ, ცაცხვის ძირას გაფენილ ჭრელ ფარდაზე კაცი იჭდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო, დინჯად ახრჩოლებდა ყალიონს და, ცოტა არ იყოს, გაოცებულ გაკვირვებული მწერით გასცქეროდა მისკენ მიმავალ ამ უცნაურ დედუგაციას.

გიორგი სარდიონთან მივიდა, დედა-შვილი კი მოშორებით შეჩერდნენ.

სარდიონმა თვალები მოჭურთა, ყალიონი მოქაჩა, ააცქერდა გიორგის და დაღლილად იკითხა: — როგორაა, ბიჭო, საქმე?

— კარგად! — უბიდან რაღაც შეკვრა ამოიღო და გაუწოდა: — აი, ეს გამოშატანა და დაითვალოსო, შემოგითვისა.

სარდიონმა შეკვრა ჩამოართვა და იქვე მიაგდო ფარდაზე. — არ უნდა ამას დათვლა! ისიც არ შეცდებოდა და შენაც გენდობი! ჰო, მეტი რაო?

— კიდევ დამჭირდება და შემოგითვისო!

— შემოშითვისის და ქე მივცემ, სიმინდის მეტი რა გვაქვს ბიჭო!.. დაილაღე გზაზე?

— დავილაღე... სიცხეა...

— კი, ნანეტარი ჩამოხუთულია დღეს... დაისვენე ახლა, თავისუფალი სარ დღეს, არაფერს არ გათხოვ მეტს! — სარდიონმა ისევ მოქაჩა ყალიონი, გახედა ერთ ადგილზე უხერხულად აწურულ დედა-შვილს და თითქოსდა ახლა შეამჩნიაო ისინი, სახსვათაშორისოდ იკითხა: — ესენი ვინ მოგიყვანია, ბიჭო?

— ესენი... გზაზე შემხვდნენ... სახლი დაეწვათ... სამუშაოს ეძებენ რამეს... ვინმე რომ შეგვიფარებდესო...

— ვინმეო, ხომ?! — სარდიონი ჩაფიქრდა, მერე მოულოდნელად და მჭახედ გადაიხარხარა: — მკვდარი მკვდარს გადაეკიდაო, ბუზს არ ჰქონდა და ყვავს გაჰქონდაო, ისეა შენი საქმე, გოგია!.. მარა სამადლო საქმეა და... მაინც რისი გაკეთება შეუძლიათ, ნეტა?

— ყველაფერს გავაკეთებთო, მარტო ჭამისა და შესაყურებელისათვის ვიმუშავებთო, ასე თქვენს.

— მარტო ჭამისა და შესაყურებელისათვისო, არა! — დამცინავად იკითხა სარდი-

ონმა, — ჩვენც ჭამისა და შესაყურებელისათვის ვმუშაობთ და ცეცხვობთ, გოგია! ყველა მაგისთვის მუშაობს.

— შენ რომ ბევრს მუშაობ, კი ვეთქმის რაღა! — გაიფიქრა გიორგიმ.

სარდიონმა გამოცდილად გახედა დედა-შვილს, მერე მწერა იულიას მიაბჯინა. თვალები ნელ-ნელა სულ სხვანაირად აემღვრა და კარგახანს ვეღარ მოაშორა.

იულიამ იგრძნო კაცის ვენბიანი, მოწყურებული მწერა და მთელი სხეული ჭინჭრით დასუსხულივით აეწვა. დაბნეულს, უმწეროს, საბოლოოდ დამორცხვებულსა და საქციელ-წაშლარს საით გაეხედა და რომელ მიწაში ჩამძვრალიყო, ვეღარ გაეცვლია. მაროია, ცხადია, ვერაფერს გრძნობდა და სვდებოდა, თუ რა სდებოდა ახლა მისი შვილის გულში, იღვა არხინად და ხან ცაცხვებს მიაპყრობდა მწერას, ხანაც კიდევ ოდას.

უხერხული, დაძაბული დუმილი ისევ სარდიონმა დაარღვია. მან მწერა მოსწყვიტა იულიას და თითის დაქნევით მოიხმო თავისთან დედა-შვილი. მაროია მაშინვე გაეშურა მისკენ და წინ აესვებო, იულია კი ფეხათრევით, ზოზინით წავიდა და ზურგსუკან ამოეფარა დედას.

რაკი მაროია იღვა მის წინ, სარდიონმა უშუალოდ მას მიმართა:

— ვინ ხარ, ქალო, შენ?

— ჩვენ, ბატონო... — მღელვარებით იწყებს მაროია, ცალი თვალი რომ მისთვის მიუბჯენია, შეროვითი საღდაც, აღმართში ისეღებდა და ცხენის ჩიჩვირით გადმოფლავულ ტურებს უშნოდ ბრიცავს, — ჩვენ, ბატონო, ერთი გაჭირვებული, წყალწაღებული ხალხი ვართ, არც სახლია ჩვენს ბარობაზე და არც არაფერი. გაჭირვებამ აგვადლოდა აგერ და სხვის-სამოწყლოდ დაგვაგდო... — სალაპარაკო რაკი ნახა, ნიყვა-მოყვა და ამჯერად სარდიონის წინაშე გადმოალაგა ყველაფერი.

სარდიონი ერთხანს გაოცებულ-შეცბუნებული უცქეროდა, ტურებს კუმავდა და ქმუხხიდა შუბლს, ბოლოს ვეღარ გაუძლო ამდენი აბდა-უბდის მოსმენას და ხელის შეკვეთი აქნევით გააჩერა:

— კაი, კაი ახლა, ნუ გამომიჭედე ყურები! რა ამბავია, კაქკაქი ხომ არ გადაგიყლაპავს, ქალო?!

მაროია შეცბა, გაჩუმდა და მწერა მიაპყრო — ვერ მისვდა, რა მოხდა, რისთვის შეაჩერა ამ კაცმა.

— ეს გოგო შენია, არა? — როდის-როდის იკითხა სარდიონმა და ისევ მიაპყრო იულიას სარბი მწერა.

— ჩემია, აბა, რა?! — ცოტა არ იყო, თავმოწმონედ მიუგო მაროიამ.

— ჩემთან რისთვის მოდით ახლა?

მაროია დააბნია ამ შეკითხვამ, მერე მოახერხა და ყველაფერი გიორგის მოახვია თავზე: — მე რა ვიცი, ბატონო! ამ ბიჭმა წამოგვიყვანა აგერ, ამისი მეგონა მე აგო ოჯახი.

— კი, კი, მაგისია, მამა გიცხონდათ იმდენი! — გაეცინა სარდიონს, — ზარმაცები ხომ არა ხართ? საქმის ვაკეთება თუ შეგიძლიათ?

— ზარმაცებია?! — თვალები ააპარპალა მაროიამ, — რას ჩივი, ბატონო, შენ? ზარმაცები რავა ვართ? გასაკეთებელი იყო სჯამე და ყოლიფერს გვაკეთებთ ჩვენ, ყოფილერს! ძროხის მოვლაო, ჰაღის გამოცხობაო, ბაღის ყურადღებო, ქათმისო, ბატისო, ინვისო...

— კაი ახლა, ქალო, კაი! — ძმარდაღუღივით დაიჭყანა სარდიონი, — რაა, რომ გადაბი და ვეღარ გვაჩერებს ადამიანი? არ მიყვარს მე ბევრი ლაქლაქი! დარჩით, თუ გინდათ, საქმელი გექნებათ და ღამის გასათევი, მეტი რაღა გინდათ, აბა?



ამის გამგონე მაროია ცას ეწია სიხარულით: — აგაშენებს ღმერთი! საქმელი და ღმერთის გასათევი თუ გვექნება, მეტი, აბა რა შავი ქვა გვინდა, ბატონო?!

სარდიონი ჩაფიქრდა, მერე მიუბრუნდა გიორგის და უთხრა: — მიიყვანე ერთი ენენი სამწაღში და უთხარი ქალებს, გამოიყენონ რამეში. მერე კი ვნახოთ... ჰო, მართლა, ღმერთის გასათევი ხად გამოვუნახო მაგენს?.. შენს გვერდით, ახორთან ხომავა ერთი სათავსი? რაღაც-რაღაცები, ხარახურა რომ გვიყრია, ჰოდა იქა...

— ახორში რაფერ ვიცხვროთ, ბატონო? — გაიოცა მაროიამ, — მაგი რაფერ იქნება?

ამის გამგონე სარდიონს მოულოდნელად ხარხარი აუტყდა, დიღხანს იცინოდა ხმამაღლა, შადიანად და მალმალ იწმენდა თვალზე მომდგარ ცრემლს ვეება, ნიჩბისებური ხელისგულებით, — არა, არა, მინც როდის გამობრძანდით სასახლიდან, დედოფალო? — აკითხა მერე მაროიას სიცილი რომ შეიკავა, — ენე, ქალო, ქალო! ვერაფერს იტყვი, კი გვარიანად გქონებია კული ყვარზე გადებული, მაგრამ მოსაქნევი რომ არ ვაგანია, ამას არ უნდა დაუფიქრდე შენ?.. მიდით. მიდით, თუ გინდათ, და ქალები გეტყვიან რა უნდა გააკეთოთ!

გიორგი გაბრუნდა, დედა-შვილი უსიტყვოდ გაჰყვა.

...მაროიას სამწაღში უყრეს თავი, იულიას კი, ქალბატონის ბრძანებით, ოდისა და ეზოს შოვლა-დასუფთავება დააკისრეს. დედა-შვილს ის ჩაბინძურებული, აბლაბუდით გავსებული სათავსი დაუთმეს, დაუდგეს ერთი მორყეული ხის ტახტი, მიუგდეს ძველი, დაკონილი ქვეშაგებელი და მიუჩინეს იქ ღმერთის გასათევი.

შოლოდ თხელი, სიფრიფანა ლამფის კედელიდა ყოფდა გიორგის იულიასაგან და რაც იქ ღამ-ღამობით ხდებოდა, სულ უბრალო ჩქამი და გაფაჩუნებაც კი სულ გარკვევით, მისხალ-მისხალ აღწევდა მის ყურამდე...

მას შემდეგ, რაც დედა-შვილი დაუშეშობლდა, ძილი გაუტყდა გიორგის, თუკი აქამდე მთელი ღღის საჭმითა და ჯაფით გადაქანცული, როგორც კი ბალიშზე მისდებდა თავს, მაშინვე მკვლარეობით იძინებდა და მერე დილაზე გვერდშეუცვლელად ეძინა, ამჯერად ჯერაც გაურკვეველ-შეუცნობელი და ბუნდოვანი, უცნაური და უჩვეულო აწუხებდა, აფორიაქებდა და არ აძლევდა ძველებურად ძილისა და მოსვენების საშუალებას.

გიორგიმ არ იცოდა, თუ რა იყო ეს „რაღაც“, რას წარმოადგენდა კონკრეტულად იგი — ეს ბუნდოვანი, და ასე იღუმალი, ასე ტკბილ, ნეტარ სატანჯველში რომ აგდებდა და ქანცმიღვეულს აიძულებდა, არ დაეძინა და ეფხიზლა. ხანდახან ცოტათი ჩასთვლემდა, მაგრამ უმალვე იღვიძებდა, ფხიზლდებოდა და მერე დიღხანს ტრიალებდა ხის მაგარ, მოჭრატუნე ტახტზე. მისი ფიქრები დროთა განმავლობაში თანდათანობით, ნელ-ნელა და დაჟინებით კონკრეტდებოდა და ერთ პრიზმაში გადაჭრილი, უკვე დაკონკრეტებულ-ჩამოყალიბებული და ხორცშესხმული, იულიასთან იყრიდა თანდათანობით თავს. ძილგატეხილი და მოთენთილი შესცქეროდა გიორგი ჭერს და მისდაუნებურად უგდებდა ყურს იმ თხელი, სიფრიფანა კედლის მიღმა ყოველგვარ ჩქასსა და ხმაურს. იქედან კი მაროიას ხროტინის, ბუტბუტის, ბურტყუნის ხმა მოისმოდა შოლოდ და დროდადრო, როცა მაროია წამიერად ჩაცხრებ-მიჩუმდებოდა, იულიას მშვიდი, თანაბარი სუნთქვაც ესმოდა. ხანდახან მაროიას, ალბათ, კომპარული სიწმინდები არ აძლევდნენ გასაქანს და მამინ იყო სწორედ, რომ ასტებდა კბილების ღრჭიალს, ბუტბუტს, ოხვრას, დასაკლავ საქონელივით შმუთოს და გაუთავებელ ბლუკუნს — ვინ იცის, იქნებ სიწმინდის თავის შოლალატე ქმარს ებრძოდა მაროია?

ვიწრო, პატარა ფიცრულში თონესავით ცხელოდა. ერთადერთი, ერთი ციდა ფანჯარა მინც და მინც ვერაფერ შეღავათს იძლეოდა. ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა და იღვა

ფუნის, შარდისა და წუნწუნის გაუსაძლისი სუნი. როდის-როდის, დიდი წრიალ-ტრიალის შემდეგ, მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინებოდა გიორგის, ძინებდა ჯანმრთელი, ახალგაზრდული, უშფოთველი ძილით. ალიონზე კი მაინც ეღვიძებოდა და ყველაზე ადრე დაგებოდა თანდაყოლილი, დაუოკებელ-დაუძლეველი ინსტინქტის წყალობით...

ამასობაში მაროია და იულია თანდათანობით შეეჩვივნენ თავიანთ ხვედრს. იულიას, — სიტყვაპირისა და ჩაფიქრებულს, კაციშვილი ვერ მიუხვდებოდა, კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა თუ არა, მაგრამ მაროია კი ნამდვილად გაზაოებული რომ იყო და უზომოდ კმაყოფილი, ამაში არც შეიძლებოდა რაიმე ეჭვის შეტანა. მაროია სამზადს შეეკედლა და მწედა და მშველელად მოეგვინა გამოჩურჩულებულ, გადაყრუებულ და კარგახანია ყავლგასულ თებრონიას, რომელსაც ყველაფერი ავიწყდებოდა ამ ქვეყანაზე, საკუთარი არსებობაც კი.

უცნაური, ახირებული ქალი იყო თებრონია — გადაყრუებულსა და წელში კითხვის-ნიშანივით მოწილ-მოკაკულს, გაძვალტყავებულსა და ჩამომხმარს, შავი, კოჭებამდე ჩაფართხნებული კაბა ნათხოვარივით ადგა ტანზე, შიშველი ფეხები ჯღარკებში წაეყარა, ქალბატონის ბოძებული ჭრელი თავსაფარი წაეკრა. მთელი დღე — ადრე დილიდან გვიან საღამომდე — სამზადში დაბაჩუნობდა და რაც კი შეეძლო, ევალებოდა თუ არ ევალებოდა, ყველაფერს აკეთებდა. მესხიერება კარგახანია დაკარგული ჰქონდა. ხშირად საღ რას დადებდა, არ ახსოვდა და მერე საათობით ეძებდა იმ „გადასკვარამებულ“ ჭურჭელსა თუ საგანს. ცხვირწინ კი ეღო და მაინც ვერ პოულობდა, ეძებდა, ბუტბუტებდა, ბურტყუნებდა თავისთვის რაღაც გაუგებარ, განცალკევებულ, აზრჩაუტანებელ ბგერებს და საკუთარ თავზე გაბრაზებული, გამეტებით იკვნიტდა ჩაშავებულ ტუჩებს. სანახევროდ ყრუ იყო და სიტყვაძუნწი თებრონია. ლაპარაკი თუ არა, მოსმენა უყვარდა ძალიან, ალბათ, ამის გამოც იყო, მაროიას რომ ჩინებულად შეეთვისა. მაროია ყველაფერს ასწრებდა — საქმესაც და ლაპარაკსაც. არც ხელს აჩერებდა და არც ენას. თებრონია უსმენდა, მაგრამ ხანდახან სანახევროდ აღწევდა მის სმენამდე მაროიას პირიდან გასროლილი, საფანტოვით გადმოყრილი უსწრაფესი სიტყვები, არადა, ძალიან აინტერესებდა მოსმენა და მაშინ იყო, რომ საყვედურობდა: — რავა ჩურჩულებ, გოგო? არ შეიძლება ხმაშაფლი თქვა ზაჭა?

მაროიას, აბა, რა შენიშვნა და გაფრთხილება სჭირდებოდა. თებრონიას შენიშვნაზე უმაღლეს აუწყევდა ხმას და სწორედ მაშინ იყო, მისი რატრატით შეწუხებული სარდიონი რომ დაავალებდა ახლო-მახლო მყოფს: — ერთი ის აშარი დედაკაცი ჩააჩუმეთ რამენაირად, თორემ აღარ შემომლია მეტი და გადავირევი ნამდვილად!

მაროია, სარდიონის შიშით, მცირე ხანს კი დაუწყევდა ხმას, მაგრამ მერე ისევ ჩართავდა. ასე გრძელდებოდა ყოველდღიურად და გაუთავებლად. სამზადში მთელი დღის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულს. ერთო ცეცხლი, მზადდებოდა საუშმე, სადილი და ვახშაძი. სარდიონი ჭამის მოყვარული კაცი იყო და პირის გემოც გვარიანი ჰქონდა, წუწკი და წუწურაკი ნამდვილად არ იყო, ლუქმას არავის უთვლიდა და მეტი, აბა, რაღა უნდოდა მაროიას? საქმელ-სასმელი თავზე საყრელად ჰქონდა, ღამის გასათევი გაჩნდა და რაღას უნდა შეეწუხებინა ამის მეტი! საქმიანობდა მაროია — რეცხავდა, ხვეტავდა, ზელავდა, აცხობდა, არაკუნებდა ქვასანაყსა და ენას — უყვებოდა თებრონიას ცის, ბარის, განავონს, გადატანილს, მოსმენილს, მართალსა თუ ბრუნდს, ყვებოდა თავის მოლაღატე ქმარზე, გადაბუგულ სახლზე და ვინ იცის, რაზე არა კიდევ.

თებრონია უზომოდ მადლობელი იყო მაროიასი, რადგანაც მისმა გამოჩენამ რაღაც სიახლე შეიტანა მის ერთფეროვან, მონოტონურ ცხოვრებაში, აქამდე თუ აღარავის ეცა-



ლა მასთან სალაპარაკოდ და საქორაოდ და მთელი დღეები დამუნჯებულივით დუმდა, ახლა უკვე დამლაპარაკებელი ჰყავდა, გამართობი, სევდისა და წუხელის დამავიწყებელი თებრონია დიდხანია შეგუებული იყო თავის სავალალო ხვედრს და ყველაფერზე ხელჩანებული, ყველაფერისა და ყოველივეს მიმართ გულგრილი, მისდაუნებურად, მაშინაღურად მიუყვებოდა ცხოვრების ამ მონოტონურ, უინტერესო, ნელ და უღრტინველ დინებას. ახლა მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო და ოდნავადაც კი არ აინტერესებდა, თუ რა იქნებოდა მომავალში, შეიცვლებოდა რაიმე თუ არა მის ცხოვრებაში. იგი იმდენად იყო შეგუებული თავის სავალალო ხვედრს, ალბათ, ყოველგვარი ცვლილება, სულ მცირედი და მისთვის სასიკეთოც კი, შეაშფოთებდა და შეაშინებდა. ახლა იგი უკვე აღარ ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ იყო ამ ოჯახში შეკედლებული, რატომ არ იყო დაფასებული მისი სიყვითე, მაღლი, გარჯა, შრომა, რატომ იყო შეუმჩნეველი არარსებულებით. ამაზე იგი მხოლოდ პირველ ხანებში, დიდხნის წინათ ფიქრობდა. მერე კი, ცხადია, არც ცდილობდა როგორმე თავი დაედწია ამ ყოველდღიური, თავმომაბეჭრებელი ერთფეროვნებისათვის და ეშველა საყოთარი თავისათვის. მაგრამ, კიდევაც რომ მოენდომებინა, ვინ იყო მშველელი, წაქცეულის წამომყენებელი და შემკედლებელი? ვინ დას სჭირდებოდა, ვინ დას უნდოდა ახლა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისული, ორიოდე პარასკევდარჩენილი დედაბერი? აღარავის, ცხადია! ანდა რაღა შეკედლებაზე შეიძლება ლაპარაკი. ერთხელ სამადლოდ შეკედლებულს ხელშეორედ შეკედლება რაღას უშველიდა?

მაგრამ, ცხადია, აღარც თებრონიასათვის იყო უცხო და ახალი ის ადამიანური სევდა — ყოვლისმომცველი და ყოვლისდამთრგუნველი, რომელიც დროთა განმავლობაში ყველას მოესტუმრება ხოლმე.

ერთ დროს ყველაფერი გააჩნდა თებრონიას, სხვებივით კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა, კმაყოფილი იყო მთელი არსებით და არა ისე, მოჩვენებით, ნაძალადევად, როგორც ახლა, სარდიონთან შეკედლებული. მაშინ პირიქით, კმაყოფილიც კი იყო, მაგრამ არა ბედსშერიგებული, რადგანაც ბედს მხოლოდ მაშინ ურიგდება კაცი, როცა საერთოდ ყველაფერს კარგავს და აღარც მომავალი გააჩნია, როცა საბოლოოდ იქნევს ხელს უიმედობის ნიშნად და როცა ხვდება უკვე, რომ ყველა გზა, ყველა ბილიკი მოჭრილი აქვს და აღარსადაა ხსნა და შველა. ვინ იცის, აბა, თუ რა იქნებოდა მაშინ, ადამიანს სწორედ ეს შეგუების, შეთვისების უნარი რომ არ ჰქონებოდა? მაშინ ხომ თებრონიაც ვერ შეეგუებოდა და გადაიტანდა იმას, ერთ დროს ოჯახი რომ ჰქონდა, სახლკარი, ქმარი ჰყავდა, შვილებიც, ახლა კი აღარაფერი...

იმ ბედნიერი წარსულიდან მხოლოდ ხსოვნა, გახსენება იყო შემორჩენილი და ეს ხსოვნაც, ეს გახსენებაც კი, დროთა განმავლობაში, თანდათანობით კარგავდა სიმძაფრეს, სიცხვედრეს, პირველყოფილ განცდასა და სიმძაფრეს, ნელ-ნელა, მოხუცის გონებასავით ჩლუნგდებოდა, იცრიცებოდა და ინთქმებოდა წარსულში.

სახადის სახით გამოცხადებულმა სიკვდილმა ქმარიც გამოაცალა ხელიდან, შვილებიცა და ოჯახიც. მხოლოდ თებრონია დაინდო სიკვდილმა. მხოლოდ იმითომ, ეცოცხლა, ძალღუმაღურად გაეთრია დარჩენილი დღეები, ეტანჯა და ეღარდა. როცა იფიქრებდა, გადაიტანე, და გამოვიგლოვეო, სწორედ მაშინ გამოცხადებოდნენ სიზმარში ხან ქმარი, ხანაც შვილები და იმ სიზმრებში უსაშველოდ, სინამდვილეზე უფრო მძაფრად და შემპრწუნებლად მეორდებოდა ყოველი.



თებრონია და მაროია, ასე რომ შეეთვისნენ ერთმანეთს, შეიძლება ეს იყო გამოწვეული, რომ შათი ხასიათები ასე მკვეთრად რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

თებრონიასთან ასე რომ იყო შეგუებული, სამაგეროდ პელაგიას ვერ შეეთვისა მაროია. პელაგია ერთადერთი ქალი იყო ამ ოჯახში, რომელთანაც ხმის ამოდებას ვერ ნდევდა მაროია. მის დანახვაზე ისე გაციმცამდებოდა, ისე ჩაიგდებდა ენას მუცელში და ისე დამუნჯდებოდა, ამ ქალს ცხოვრებაში არ დაულაპარაკია ალბათო, იფიქრებდით მისი შემხედვარე.

პელაგიას გარკვეული, მყარი და მტკიცე ადგილი ეჭირა ამ ოჯახში. იგი სარდიონის ძიძა იყო, მისი აღზრდელი, სარდიონის მამის შორეული ნათესავი. ამ ოჯახში რომ მოიყვახეს, სრულიად ნორჩი იყო, ბავშვი. აქ გაიზარდა, აქ დაქალდა, ამ ოჯახს შეეთვისა და აქ ჩაბერდა კიდევ. პელაგიას მოხანსახურების ზედამხედველობა ევალა. კი არ ევალა, თავად ივალდებულა ეს საქმე. საოცრად სისულთავის მოყვარულს, თავად სულთას, ბეწინიკსა და აკურატულს, იშვიათად თუ მოსწონდა სხვისი ნასაქმობ-გაკეთებული. იგი განსაკუთრებით მაროიას უყურებდა ეჭვიან, ათვალწუნებით და ზიზღითაც კი. ვინ იცის, რამდენჯერ უფეთა მაროიას ანეგლოზები და პანიკური შიშით შეპყრობილი მაროია, როგორც კი მოკრავდა თვალს სამზადისაკენ ჯოხის რიტმული კაკუნით მომავალ პელაგიას, მაშინვე გასწყვეტდა ხმას, მონღომებით შეუღლებოდა საქმეს და თანაც თებრონიას გაფრთხილებასაც ასწრებდა:

- გაჩერდი, გოვ, ხომ ხედავ მოდის მაგი სამიწე!
- რომელი სამიწე, გოგო? — დინჯად იკითხავდა თებრონია.
- სამიწე და გადასახკვარამებელი ვინაა, არ იცი შენ?.. პელაგია გოვ, პელაგია!
- შერე რა, რომ მოვა?
- გაჩერდი, ნუ ლაპარაკობ!
- მე გაჩერებული არ ვარ? შენ გაჩერდი, შენ!

პელაგია შევიდოდა სამზადში, უსიტყვოდ, დაკვირვებული მწერივით მიავლ-მოავლედბდა ყველაფერს თვალს და რაიმე თუ არ მოეწონებოდა, მაშინვე მისცემდა შენიშვნას მაროიას.

სანამ პელაგია სამზადში იყო, მაროია ეკალზე მჯდომივით გრძნობდა თავს და ერთო სული მქონდა, როდის წაშვადებოდა იგი.

მაროიას თუ ათვალწუნებით უყურებდა, სამაგიეროდ იუღია უყვარდა პელაგიას, ძალიან ემადლიერებოდა მას და ძალიან მოსწონდა მისი ნამოქმედარი.

ამასობაში დრო თავისი გზით მიიკლაკნებოდა წინ, ერთმანეთს მისდევდნენ დღეები, კვირეები და თვეები, ერთმანეთს ენაცვლებოდა გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, დარი თუ ავდარი, სიცხე თუ სიცივე, მზე თუ წვიმა, ჩვეულებრივ ტრალელებდა, ბრუნავდა დედამიწა, ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ ადამიანები, იბადებოდნენ, კვდებოდნენ, იყო ქორწილი და ქელები, სიმღერა და ტირილი...

გიორგი და იულია მხოლოდ საღამოობით თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ, როცა მთელი დღის ნამუშევარი, ოფლით გაუღენთილი და გადაქანცული გიორგი სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა და ყველანი — სარდიონის მოხანსახურე თუ მოჯამაგირე, — სამზადში იყრიდა სავანშივით თავს. როცა იულიას ხედავდა მის გვერდით, მხოლოდ მაშინ იყო სულიერად მოსვენებულ-დამშვიდებული გიორგი. მაშინ აღარც დაღლას გრძნობდა და

არც არაფერს, ბოლო ხანებში, ეტყობოდა, აღარც იულია იყო გულგრილი გიორგის
ძმართ. ხანდახან, შეფარვითა და სხვების უჩუმიად ისე გააპარებდა მისკენ მწერას, ეტ
ყობოდა, მასაც მოსწონდა იგი. ხანდახან, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდა
ნებს, სწორედ მაშინ იყო, აღშურვით რომ მოედებოდა იულიას სახეზე სიწითლე, მაშინ-
ვე აარიდებდა მწერას, დამორცხვებული, დასრიდა თავს და ჩააჩრდებოდა მიწას. ლაპა-
რაკით კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთავარ სალაპარაკოზე, იმ მთავარ სათ-
ქმელზე არცერთი არ იღებდა ხმას. ცხადია, როგორც მამაკაცს, ამ მხრივ გიორგის უნდა
ეჩატურა და უნდა ეცადა, მაგრამ ჭერ-ჭერობით ვერ ახერხებდა ამას. არც გაბედუ-
ლებმა შეოფინდა და არც ამისი გამოცდილება გააჩნდა, თორემ ის კარგად მოეხსენებოდა,
უთქმელად, მუნჯურად რომ ვერ გააგებინებდა და აუხსნიდა სიყვარულს. თავისი მთავარი
სათქმელის თქმას ყოველთვის აპირებდა გიორგი, წინა დღით რომ გადაწყვეტდა — რაც
იქნება-იქნება, ხვალ აუცილებლად ვეტყვი და გავუმხელო, ეს ხვალეც რომ დადგებოდა,
ხუხულასავით ეფუშებოდა მთელი გეგმები და მერე ისევ მეორე დღისათვის სდებოდა
ყოველივეს გადავადება. და ასე გრძელდებოდა კარგახანს...

იულია უკვე აღარ იყო ისეთი, როგორც პირველად იწილა გიორგიმ — ჩაბნძურე-
ბულ-ჩაზანგული, ჩამოკონკილი, ფეხშიშველი, ახლა მას უკვე ფეხსედაც ეცვა და ტანზე-
დაც. მართალია, ქალბატონის ბოძებული კაბა ნათხოვარივით ადგა ტანზე და მასში ბარე
ორი იულიასნაირი ჩაეტეოდა, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს ვნებდა იულიას გარეგნო-
ბას...

სარდიონის შეუღლეს, მინადორას, არ უყვარდა იულია, ათვალწუნებული ჰყავდა
და აღმაცერად უცქეროდა. იულია პირველ ხანებში ვერ ხვდებოდა ამ ათვალწუნების
ძიწეზს, ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა...

ბოლო ხანებში იულია ამჩნევდა, რომ სარდიონი სულ რაღაც, სხვანაირი ორანჯო-
ვანი მწერით შესცქეროდა, ამ მწერაში ვნებაც იყო, ნდომაც, დაუფლებების პირუტყვული
თინიცა და ყველაფერი ცოტ-ცოტა — ამაზრუნენად ბინძური და პირუტყვული. მისი მწე-
რა ნუსხავდა, ბოჭავდა იულიას, საქციელს უკარგავდა და არ აძლევდა გასაქანს.

რაც დრო გადიოდა, გიორგის უფრო და უფრო მეტ საფიქრალსა და სადარდელს
უჩენდა იულია, უფრო და უფრო ეწრდებოდა მისდამი ლტოლვა, უფრო და უფრო
იპყრობდა და ითავისთავადებდა ეს გოგო მთელს მის არსებას, მისდაუნებურად აიძუ-
ლებდა ეფიქრა მასზე, ეოცნება, გაურკვევლობის ბურანში გახვეულიყო.

ხანდახან, მუშაობაში გართულს, ისე მოენატრებოდა იულია, ძლივს იკავებდა ცდუ-
ნებისაგან თავს. — მიეტოვებინა საქმე, გაქცეულიყო, იქ, სადაც იულია ეგულმბოდა, მხო-
ლოდ ერთხელ შეეველო თავალი, ერთხელ შეეხედა მხოლოდ, მერე ისევ უკან გამობრუ-
ნებულიყო და განეგრძო თავისი საქმე. და იმდენად ძლიერი, იმდენად მძაფრი და ყოვ-
ლისმომცველი იყო ეს სურვილი, რომ ძლივს იკავებდა თავს ამ ცდუნებისაგან და რჩე-
ბოდა ადგილზე.

(დასასრული იქნება)



ძმობის სიმები

საქართველოს
სამხედრო გზა

ხევებს შორის ნისლი გაქრა,
შორით გზა ჩანს როგორც ბეწვი
და აწყდება თერგი კლდეებს —
ბრძოლაში მკერდჩამოღეწილს.

მთები, მთები — ვით ქალ-ვაჟი
ერთმანეთზე მოხვეული.
თეთრი ნისლი, თეთრი ფაჭა —
მიხეული, მოხეული.

ბალახს ნამის წვეთი წყდება,
ესხურება მიწას ნაზად.
ნაკადულად გადიქცევა
და კლდეებში სავალს ხაზავს.

ემატება ტალღას ტალღა
კისრისტეხით, ქვებზე ხტომით
და იწყება საშინელი
მდინარის და მთების ომი.

ბრძოლის ჟინით იბადება.
არაგვის და თერგის ძალა,
კლდეები რომ გაუბურღავს,
სიცოცხლის გზა გაუკვალავს.

როცა გაზვალ ყაზბეგს იქით,
როცა ოღნავ დამშვიდდები.

სად იყავი,
სად ჩამოხველ?..
გენატრება მაინც მთები.

და რამხელა ვიხარია,
პატრონი ხარ შენ ამ მთების,
ამ ვზების და ამ ზღაპრების,
ამ ხმების და წინაპრების...

გსურს აქედან მიეფერო
იმ დიდებულ თერგს და არავგს,
საქართველოს ცას და მიწას
ასე დიდს და თან პატარას.

ნაღწიკი

რომ არ ვიმღერო, არ შემიძლია,
ისე კარგი ხარ და დიდებული.
ამ მშვენიებისთვის მთა შეგიძვრია —
ცას იალბუზი დაკიდებული.

ღმერთმა მოგირთო მიწა ეგების?
არა! — მშრომელი კაცის ხელი ჩანს.
რა ლამაზია შენი ჩეგემი,
ბაქსანის ტალღა შენიც, ჩემიცა.

არსად მინახავს მთვარე ამხელა
და მზე ბრდღვიალა, როგორც კოცონი,
არ მწამს ტრფიალის უცბად გამხელა,
მაგრამ რა ვუყო გრძნობებს მოწოლილს.

ყველა გზა შენსკენ მქონდეს, ნეტავი ,
გული შეხვედრით მადლობელია,
შენი ვარდების სუნთქვა ნეტარი,
სიყვარულივით მათრობელია.

დაე, სულ ჟღერდეს ძმობის სიმები,
ტკბილი სიმღერა შენი ალალი.
ეს მთები ცოცხლობს შენი იმედით,
მთების იმედით შენ ხარ მაღალი!

ჩაგვემის სპოვა

გადმოვარდნილი მთებიდან ქარი,
 როგორც ყაჩაღი, ბარში ნაეარდობს,
 ცა ისეთია ლურჯი და წყნარი,
 თითქოს სარკეში მოჩანს ყაბარდო.
 მადლა მყინვარი და იალბუზი —
 ვით კუზიანი თეთრი აქლემი.
 მთვარე ბავშვივით კისერზე უზის,
 ძირს შრიალებენ ძველი კაკლები.
 ამქვეყნიური ვნახე სამოთხე,
 დაძუნძულელებნ ხევში დევები.
 ცივი მდინარე კლდეებს გამოტეხს
 და შენც მდინარეს აედევნები.
 მთებს რომ აივლი, ისევ მთებია,
 ცას შეეხები ხელით, თუ გინდა...
 ეს ბობოქარი ჩანჩქერებია
 თუ რძე იღვრება შავი თუნგიდან.
 მორბის ჩვევში ქვებზე თამაშით
 და მოაცილებს მთები ხმაურით.
 ცა ფარშავანგის ფრთაა ლამაზი,
 უფრო წარმტაცია და უცნაური.

საიათნოვა

მუხლს მოვიყრი შენს წინ, დიდო საიათნოვა,
 რა დროს ტკივილია, რა დროს მწარე გლოვა.
 ჩამოჰკარი ხელი სიმებს, საიათნოვა,
 სიყვარული გინდა? — თავისთავად მოვა.
 აატირე საზი, ღზინი მომხსარე,
 ერთხელ კიდევ დამწვი, ფერფლი მომხსარე.
 ჩაგიშვია ძმობის ჩვენს გულელებში ღუზა,
 სამი ერის სულით დაატყვევე მუზა.
 ეს საწუთრო, შენ ხომ გაგივლია ლექსით,
 დაგიცლია თასი მუხამაზის კენესით.
 ჩამოჰკარი ხელი სიმებს, საიათნოვა,
 რა დროს ტკივილია, რა დროს მწარე გლოვა!

ფერფლი და ნაკერჩხლები

ამოთხრილ მიწაში იწვნენ. წინ კი ასაღები ქალაქი იყო.

ამ ქალაქში დაიბადა და დაეუკაცდა სერგეი პავლოვი. მეგობრებს კარგად ესმოდათ, რას ნიშნავს ბრძოლით დაიბრუნო ქალაქი, რომელიც შენთვის ოდესღაც მთელი სამყარო იყო.

სერგეის არავინ ელოდა ამ ქალაქში. არც დედა ჰყავდა, არც მამა. მეგობრები ფრონტზე წავიდნენ. მაგრამ ეს ხომ მისი ქალაქი იყო და მასზე ფიქრობდა, როგორც ცოცხალზე, რომელსაც შეუძლია ადამიანივით იტანჯებოდეს და გაიხაროს მისი დაბრუნებით.

ხშირად ესაუბრებოდა მეგობრებს მშობლიურ ქალაქზე, როცა ის ძალიან შორს იყო, მაგრამ ახლა, როცა ისე ახლოა, რომ სახანძრო კოშკს ადვილად გაარჩევ საპარაშუტო კოშკისაგან, გაიფიქრა: „ყველაფერი არ მითქვამს და მშობლიური ქალაქი, ალბათ, კარგად ვერ შევაცვარე მეგობრებს. მათ კი აუცილებლად უნდა შევცარებოდათ ქვეყნად ყველაზე მშვენიერი ჩემი ქალაქი!.

ასე ფიქრობდა სერგეი და ასევე ფიქრობდნენ მისი მეგობრებიც, ოღონდ თითოეული თავის ქალაქზე. სერგეის კი ბევრი მეგობარი ჰყავდა, ზოლო ჩვენს ქვეყანაში რამდენი საყვარელი ქალაქია და ბევრ მათგანში მტერი თარეშობს და საჭიროა მათი დაბრუნება. სერგეის უნდოდა თავისი მეგობრებისათვის ეთქვა ისეთი რამ, ძლიერ რომ შეაცვარებდა მშობლიურ ქალაქს, მაგრამ სათქმელი იმდენი ჰქონდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და თქვა სულ სხვა რამ — ნათლად და მოულოდნელად.

— ეგერ, ხედავთ საპარაშუტო კოშკს?.. რამდენჯერ გადმოვმხტარვარ იქედან, რათა გოგონა. სახელად ვალია დარწმუნებულიყო, რომ სხვებს ვჯობდი. ჯერ კი შევმინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. თვალი დავხუჭე და გადმოვხტი, უფსკრულში ვეშვებოდი, ის კი იდგა და იცინოდა, თან მეუბნებოდა, რა სასაცილოდ გამოიყურებოდი ჰაერში ფეხებგაფანჯულიო.

მეგობრებს გაეცინათ და ყოველმა მათგანმა გაიფიქრა, რომ ეს ქალაქი საოცრად ჰგავს მის ქალაქს, მათაც ასეთივე მოგონება აფორიაქებდათ.

— ჩვენთან, იაროსლავშიც, ასეთივე კოშკია და ჩემი გოგონაც იქ მეგულება. — ეს კია, ჩვენი კოშკი უფრო მაღალია და გოგონებიც — აქაურებზე უფრო ლამაზი.



კლიმი სერგეის ყველაზე ახლობელი მეგობარი იყო და, როგორც მეგობრებს სჩვევიათ, ხშირად კამათობდნენ.

მაგრამ ამჯერად სერგეი არ შეკამათებია. ის კი არა, ალბათ, არც გაუგონია, რა თქვა კლიმმა — თავისი საფიქრალი ჰქონდა და სულ იმაზე ლაპარაკობდა.

— აი, იქ, — თქვა მან, — მე რომ ვმუშაობდი, ის ქარხანა, ხოლო მხარმარცხნივ — ჩემი სახლია. ზენ ერთად შემოვივლით ქალაქს და თქვენ ნახავთ აქაურ სახლებსა და ბალებს და, ომი რომ დამთავრდება, სტუმრად მეწვევით.

— არა, — თქვა გივი დოლიძემ, — ომი რომ დამთავრდება, მშობლიურ ქალაქში დავბრუნდები და სიკვდილამდე იქ ვიცხოვრებ, რადგან მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ძვირფასია მთებსა და ზღვას შუა წამომართული ჩემი ქალაქი.

— ჩვენს სოფელში, — თქვა ოსიპ კრიუკოვმა, — დიდი სახლებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ თუ მესტუმრებით, გიჩვენებთ მწვანე მდელოებს და ლურჯ ცას და თქვენ იგრძნობთ, რარიგ ბედნიერი შეიძლება იყოს ადამიანი.

ივონებდნენ მშობლიურ მხარეებს და ეჩვენებოდნენ, რომ მათი კარმიდამო და ქუჩები, რომლებზედაც ასე უყვარდათ სიარული, და სახლები, სადაც მათ მოეღიან, სულ ახლო იყო.

დამით შეტევაზე გადავიდნენ.

— აბა, ბიჭებო, ჩემი ქალაქისათვის! — თქვა სერგეიმ. ხმა უთრთოდა და ყველაზე წინ წავიდა.

გერმანელები გააფთრებით იცავდნენ თავს, თუმცა მათს წინააღმდეგობას არავითარი აზრი არ ჰქონდა. უკვე ბევრი ქალაქი დატოვეს და უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ყველა ცდა ამაო იყო. მაგრამ სასოწარკვეთილი სიბრაზის გამო განაგრძობდნენ წინააღმდეგობას, რათა კიდევ მოეკლათ თუნდაც ერთი კაციც, ჩაედინათ თუნდაც კიდევ ერთი ბოროტება.

სერგეი თავდავიწყებით იბრძოდა. ველარაფერს ხედავდა, გარდა ბორცვისა, რომელსაც ცეცხლს უშენდა. ხელმარცხნივ რომ გაეხედა, დაინახავდა, თუ როგორ ზედიზედ ინგროვდა მისი საყვარელი ქალაქის სახლები. უკან დახვეისას გერმანელებმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს. მალე აღიბორცვსაც მისწვდა და სერგეიმ იგრძნო, როგორ მოედო ცეცხლი გულზე.

— ძაღლისშვილებო! — იყვირა მან. — დამიდუპეს ქალაქი... — და ჩურჩულით თქვა:

— აბა, დამაცადეთ, მე თქვენ გიჩვენებთ!

ხედავდა, როგორ იწვოდა სკოლა, რომელშიაც სწავლობდა, როგორ დაინგრა პარაშუტის კოშკი, ესმოდა როგორ წიოდა და ბობოქრობდა ხა-

ნძარი. სერგეის არაადამიანური ვმინვა აღმოხდა და გაიქცა ხანძრისაკენ, რათა ცეცხლი გაეთელა, სულის შებერვით ჩაექრო, ზიზღით აელაგმა... მებრძოლებმა განთიადისას, როგორც იქნა, ჩააქრეს ხანძარი.

მზე რომ ამოვიდა, დანახეს ქალაქი, რომლისთვისაც ბევრი დღე და ღამე იბრძოლეს. იხილეს დანახშირებული ნანგრევები და სარზე მიჭედელი ფიცარი წარწერით: „ქალაქი ორლიკი“...

დასაჯდომი ადგილიც არსად იყო, ცოტა ხნით რომ მაინც დაესვენათ და ჩამოსხდნენ დანგრეული სახლის ქვაზე.

— სერგეი სადღა? — იკითხა კლიმმა. ჩვეულებად ჰქონდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს იმიტომ კი არ მოიკითხავდა ზოლმე მეგობარს, იმი იყო და რაიმე არ მოსვლოდესო, არამედ, თითქოს მოენატრაო.

— ბოლოს ხიდზე დავინახე, თქვა გვიმი.

— ჩემს გვერდით იყო, ცეცხლს რომ ვაქრობდით, — თქვა ოსიპმა.

— წავიდეთ, მოვძებნოთ, — თქვა კლიმმა. — ცოცხალი უნდა იყოს.

„ცოცხალი უნდა იყოს, — გაიფიქრეს მეგობრებმა. — მშობლიურ ქალაქში როგორ დაიდუპებოდა!“ — ეს აზრი სარწმუნოდ ეჩვენებოდათ.

წავიდნენ სერგეის მოსაძებნად და იპოვეს კიდევ რომელიღაც სახლის ნანგრევებში. მიწაზე იწვა, თავი ცივ ნაცარზე ეღო და ხელები შავი ქვებისათვის მოეხვია.

ცოცხალი იყო. მხრები უცახცახებდა.

სერგეი ტიროდა.

ომის განმავლობაში მეგობრებს ბევრჯერ უნახავთ როგორ ტიროდნენ შეილდაკარგული დედები და უღედოდ დარჩენილი ბავშვები, მაგრამ პირველად ხედავდნენ, როგორ ტიროდა ჯარისკაცი.

მეგობრები შეჩერდნენ. ასე არასოდეს არ შეწუხებულან.

„რა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ? — ფიქრობდნენ ისინი. — მან იმაზე მეტი დაკარგა, რის დაკარგვაც ადამიანს შეუძლია“... იდგნენ, უყურებდნენ და არ იცოდნენ, რა ეთქვათ.

მერე სერგეისთან მისი ყველაზე ახლო მეგობარი კლიმი მივიდა. მხრებზე ხელი მოხვია და უთხრა:

— აბა, წამოდი, სერგეი, გვაჩვენე შენი ქალაქი.

ისე თქვა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო და მებრძოლებმა უცებ შვებით ამოისუნთქეს, გაეღიმათ, რადგან ახალგაზრდები იყვნენ, ეს-ეს არის გაიმარჯვეს და სურდათ მეგობარსაც გაღიმებოდა.

სერგეი წამოდგა და მეგობრებმა შეხედეს — სახე დამწვარი ჰქონდა, თვალები კვამლისა და ცრემლისაგან დაწითლებოდა.

— რაღა, გიჩვენოთ, — თქვა სერგეიმ, — აი, სულ ეს არის ჩემი ქალაქი და ნაცრის გროვას ფეხი წაჰკრა.

— შესანიშნავი ქალაქია! — თქვა კლიმმა სრულიად სერიოზულად.

სერგეი უცებ გახელდა, მუშტიც შეკრა, მეგობრისათვის რომელიღაც ტყა, მაგრამ უმაღლვე შებრუნდა.

კლიმმა კი ჯიქურ გაიმეორა:

— შესანიშნავი ქალაქია! იმითაა მეგობრებო შესანიშნავი, რომ იგი ჩვენ დავიბრუნეთ და მის თავზე ჩვენი დროშა აღმართული.

მაღალ ანძაზე წითელი დროშა ფრიალებდა.

სერგეიმ შეხედა კლიმს და ყველა მეგობარს, გარს რომ შემოხვეოდნენ და გამარჯვების შეგნებამ სახე გაუბადრა.

მაშინ კლიმმა თქვა:

— გამიგონია ლეგენდა საოცარ ფრინველზე — ფენიქსზე, რომელიც იწვოდა და მერე საკუთარი ფერფლიდან აღდგებოდა ხოლმე, რა მშვენიერი, რა ბრძნული ლეგენდაა. და აი ახლა მომაფიქრდა, რაკი ხალხმა ასეთი ლეგენდა მოიგონა, მაშასადამე, ცხოვრებაში გამოადგებოდა და გამოვიყენებთ კიდეც... ახლა ჩვენ ვზივართ მტრის ხელით დანგრეული და დამწვარი ქალაქის ქვებზე. შეხედეთ ამ ქვებს — ხომ საშინელი სანახავია! იმიტომ, რომ ბარბაროსების ხელი შეეხო. ამ ქვებს ჩვენი სისხლი აჩნიათ და ეს მათ ძვირფას ფერად ქვებად გარდაქმნის. ამ ქვებისაგან ახალ ქალაქს ავაშენებთ. იგი წინანდელზე ბევრად უკეთესი იქნება... მე უკვე ვხედავ განახლებულ ქალაქს — გუმბათებიან და სვეტებიან თეთრ სასახლეებს, ვხედავ, როგორ არხევს ქარი ალისფერ აღძებს და როგორ ელვარებს მზეზე შადრევნების ვერცხლისფერი ჭავლი... და მესმის მზიარული მუსიკა და ბედნიერი ადამიანების სიცილი... აი, შეხედეთ, როგორ აღმართულა მარმარილოთი და ფოლადით ნაგები გრანდიოზული შენობა... ეს გამარჯვების სასახლეა და მის კედლებზე ოქროს ასოებით აღბეჭდილია ჩვენი სახელი... აი სამშობლოსათვის თავდადებული გმირებისადმი მიძღვნილი დიდებული ძეგლი... იგი აგებულია ჭურვებისა და ქვემეხების ლითონისაგან და მის კვარცხლბეკზე აწყვია ცოცხალი ყვავილები, ყოველ დილით რომ მოაქვთ ქალიშვილებს, რომლებიც ჩვენს მომლოდინე გოგონებს გვანან.

— აი, ჩრდილიანი პარკი და ტბა, — თქვა ოსიპმა. — გაგანია სიცხეში ჩრდილი იჩრდილე და ისაუბრე მომავალზე. რა მაღალი ნეკერჩხლებია ამ პარკში!

— არა, — თქვა გივიმ, — ეს ნეკერჩხლები კი არა, აკაცებიან... აკაციის სუნი მცემს და მაგონდება ის სიმღერა, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღის წინათ რომ მიმღერა ერთმა გოგონამ.

— აი, თეატრი, — თქვა კლიმმა, — შეხე რა ხალხს მოუყრია თავი შესასვლელში! იქნებ „ჰამლეტი“ გადის, ან სპექტაკლი ჩვენებრ უბრალო ადამიანებზე. ესეც ხომ საინტერესოა...

— აი, საპარაშუტო კომპიც, — თქვა სერგეიმ. — ოღონდ იგი ახლა

უფრო ლამაზი და მაღალია. აქედან გადმოხტომას ყველა როდი შეძლებს, ჩვენ ეს არ გავვიჭირდება, მეგობრებო და დაე, გოგონებმა იცინონ, თუ პაერში ფეხები გაჩანხული მექნება.

— აი, ხომ ზედავთ, რა მშვენიერია ეს ქალაქი! — თქვა კლიმმა, — წავიდეთ, უფრო ახლოდან ვნახოთ. სერგეი გვიამბობს, როგორი იყო და ერთად ვიფიქროთ, — როგორი იქნება.

და წავიდნენ ქალაქში სახეტიანლოდ.

სერგეი იგონებდა ქუჩებისა და სახლების სახელებს, მაგრამ ყველას როგორ გაიხსენებდა.

მაშინ მეგობრები ახალ სახელებს იგონებდნენ და ახალ სახლებს აშენებდნენ.

— აქ სკოლა იყო, რომელშიც სამასი ბავშვი სწავლობდა, — თქვა სერგეიმ.

— ჩვენ კი ავაშენებთ სკოლას ექვსასი ბავშვისათვის. — თქვა კლიმმა.

— აქ საავადმყოფო იყო, — თქვა სერგეიმ.

— ჩვენ აქ ჯანმრთელობის სასახლეს ავაშენებთ, — თქვა ოსიპმა.

— აი, აქ კი სპორტული მოედანი იყო, — თქვა სერგეიმ.

— ჩვენ აქ სტადიონს ავაშენებთ, — თქვა გვიმი.

— ეს პუშკინის ქუჩა იყო, — თქვა სერგეიმ, — აი იქ პუშკინის ძეგლი იდგა.

— ეს ქუჩა უნდა გავაფართოოთ, — თქვა კლიმმა. — და ნეკერჩხლებით დავამშვენოთ. აქ პუშკინის პროსპექტი იქნება. პუშკინის ძეგლს კი პუშკინის მოედანზე დავდგამთ.

— ეს ადგილი ზედგამოჭრილია სამშობიარო სახლისათვის, — ღიმილით თქვა გვიმი. — ბევრი სამშობიარო სახლი დაგეგმირდება, რადგან მოსახლეობა თანდათან გაიზრდება.

— ბაღები დაგვაიწყდა, — თქვა ოსიპმა. — სულ სახლები და სახლები. ადამიანს ხომ ბაღებიც უნდა, რათა ნაჯაფარმა დაისვენოს, შეზღვეს გოგონებს და ვარსკვლავებს უყუროს.

— ბაღებსაც გავაშენებთ, ტბაც იქნება, ქალიშვილებიც და ვარსკვლავებიც, — თქვა კლიმმა.

ასე დადიოდნენ ქალაქის ნანგრევებში მებრძოლი-ზურთმომღვრები და სადაც გაივლიდნენ, ნორჩი ბაღები იწყებდა ამოსვლას.

— როგორა თქვი, რა ჰქვია იმ ფრინველს, რომ იფერფლება და თვისივე ფერფლიდან აღსდგება? — ჰკითხა სერგეიმ.

— ფენიქსი, — უპასუხა კლიმმა, — ეს ლეგენდა ძველი ეგვიპტედან მოდის.

სერგეი დაფიქრდა და თქვა:

— როცა ჩვენი საუკუნე წარსულს ჩაბარდება, იქნებ მომავალმა თაობამ ბებმა შეთხზან ლეგენდა თვალწარმტაც ფერფლიდან აღმდგარ ქალაქებზე. იმ ქალაქთა შორის ჩემს ქალაქსაც მოიხსენებენ.

— ომი რომ დამთავრდება, — თქვა გვიომ, — ჩვენც ჩამოვალთ და ქალაქის აღდგენაში დაგეხმარებით. ისეთ სახლებს ავაშენებთ, მანამდე რომ არავის აუშენებია, და იმ სახლებს ვედარავინ დაანგრევს!

— სულ ესაა ჩემი ქალაქი, — თქვა სერგეიმ, — რომ იყო იმაზე პატარა.


— ნუ გეფიქრება, იმოდენა იქნება, — თქვა კლიმმა, — დილით რომ გამოხვალ, მზის ჩასვლამდე ვერ დაივლი.

ქალაქიდან გასვლამდე ცოტა ხნით შეიცადეს. სერგეიმ თქვა:

— ჩემი ქუჩა მაინც ვერ ვნახე.

— აი, შენი ქუჩა, — თქვა კლიმმა და მიუთითა გზაზე, დასავლეთისაკენ რომ მიემართებოდა.

ქალაქს გასცდნენ და თვალწინ გადაეშალათ მწვანედ აბიბინებული ტრიალი ველი და მზით განათებული გზა. ისინი გაუყვნენ ამ გზას და თან მიჰყვებოდნენ მომავლის ფიქრები. მათი გზა შორი და მძიმედ გასავლელი იყო, მაგრამ მიდიოდნენ ჩქარი ნაბიჯით, რადგან ბევრი ისეთივე მშობლიური და საყვარელი ქალაქი ელოდათ, როგორც სერგეის ქალაქი იყო და იქ მოკალათებული მტერი უნდა დაეჩოქებინათ და დაემხოთ.



პირველი ხელფასი

პირველ ხელფასთან საგზურის ფულიც მომცეს. სულ სამასი მანეთი. აჰ! ჩემზე მდიდარი კაცი არ მეგულება. ახლა ერთადერთი საზრუნავი მაქვს — ისეთი რამე ვიყიდო, მუდამ მოსაგონებლად მექნეს.

ხალხის ნაკადს შევეერიე. უნივერმალს ზოგი თვის ბოლო დღის ხათრით ეტანება — გვემისთვის გამოითანენ საქონელსო, ზოგი ჩვულებრივად რამე-რუმეებს იძენს, ზოგიც მხოლოდ თოვლჭყაპს აფარებს თავს. ვილაცას, ალბათ, პირველი ხელფასიც უთრთოლებს გულს ჩემსავით.

პარფიუმერიაში დიდი ამბავია. ფრანგული სუნამო იყიდება. ლოყებ-ლაქლავა, სქელი გამყიდველი ქალი ტკიცინა ასიანებს და ორმოცდაათიანებს შესაშური სიმარდით ისვრის ოდნავ ღია უჯრაში.

„ღელას ვაჩუქებ. ერთს კი იტყვის, ბევრი მიგიციაო, მაგრამ დღეს ზომ პირველი ხელფასია!“

რიგს ვიკავებ... როდის, როდის გამყიდველი მართმევს ხუთ ვაცრეცილ ხუთმანეთიანს და „კლიმას“ მაძლევს. ვგრძნობ, რომ ისიც და რიგში მდგომნიც ცნობისმოყვარეობითა და ერთგვარი დაცინვითაც კი მათვალთურობენ.

„ერთი თქვენიც!“ — ჩემს ცხოვრებაში პირველად მომიარა სურვილმა ამ უზრუნველ და მაძლარ სიფათებს მივაფურთხო.

დაცინვის ობიექტი მე უნდა ვიყო, სამი საათი ერთი „კლიმასთვის“ სასჯელს რომ ვიზდიდი მათ გვერდით, თუ ის ხალხი, ერთბაშად ხუთასი მანეთის სუნამოს რომ იყიდის.

გუნება გამიფუჭდა. სხვა სექციებში ხეტიალისას ვილაც-ვილაცები მესალმებიან, ვილაც-ვილაცებს მექანიკურად ვუბრუნებ პასუხს.

ახლა მამის საყვედურსაც ვერ ავცდები, მაგრამ გაეახარებ კი. ორი წელია, საათი აღარ აქვს. არადა, რა ქნას, მტერიო, მოყვარეო, სტუმარიო, სინდის-ნამუსიო, ამდენხანს მეც სტუდენტი, შინ სამი პატარა ბავშვი და დედაც მათ გამო უმუშევარი. ეჰ!..

საიუველირო განყოფილებისკენ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მივდივარ, თორემ სადღა მაქვს ორას ორმოცი მანეთი. მაგრამ მინდა, ისე მაინც დავხედო იმ ბოშურ საყურეს, ასე რომ მომწონს. არა, არავის ეგონოს, თითქოს ძვირფას ნივთებზე ვვიფლებოდე. უბრალოდ, მეგობრები მიჩვენებდნენ, მეყიდნა. წარმოუდგენლად მოგიხდებო, მაქეზებდნენ. მე ზომ კანის ფერით, თეთრი კბილებით, თვალებითა თუ მუქი შავი თმებით საოცრად მამგვანებდნენ ბოშას. რუმინეთში კი, სადაც ვასულ

ზაფხულს პრაქტიკაზე ვიყავით, იქაურებმა „გრუზინსკაია ციგანკა“ შე-
მარქვეს. მე ეს ამბავი ძალიან მართობდა და მომწონდა კიდევ.

— იქით გადამატარეთ, თუ შეიძლება — მივმართე ჩემს წინ განივრად
გაჩანჩულ მამაკაცს, რომელიც ჩაციებით ჩაჩერებოდა ვიტრინას.

— გამარჯობა, ზეინაბ! — მკლავზე ხელი მომიჭირა და თანამზრახვე-
ლივით გამიღიმა კაცმა.

ახლალა შევხედე ყურადღებით.

— გავიმარჯოთ! — ცივად გავეპასუსხე და ხელი უცერემონიოდ გავა-
შვებინე.

„ბიჭოს, ჩემი სახელიც ცოდნია!“ წამსვე დედა გამახსენდა, აფორია-
ქებული რომ შემხვდა სახლის წინ ამ ორი კვირის უკან: — მაგ კაცმა თუ
როდისმე გავიჩეროს მანქანა, არამც და არამც აღარ ჩაუჯდებ, სახლამდე
ფეხით წამოსვლა გერჩიოს, ის კი არა და, ხმა არ გასცე, არც მიესალმო...

ჯერ გამეცინა. მერე დედა დავამშვიდე, ახლოსაც ვერ გამეკარ-
ება-მეთქი. ისე კი მეწყინა ამ კაცის აუვი. მთელ ჩვენს ქუჩაზე მასავით
კოხტად და გემოვნებით ვერავინ იცვამდა, თვითონ ზრდილობის განსახიე-
რება იყო, მოლისფერ „ოცდაოთხსაც“ მოხდენილად დაატარებდა, სიჭარ-
მაგეს მიტანებული ეს „მოხდენილი დარდიმანდი“. (როგორც მშაკაცები
მოიხსენიებდნენ თურმე) მაინც „სასურველ სასიძოდ“ ითვლებოდა და თავ-
დაპირველად მისი ყურადღება მესიამოვნა კიდევ.

მერე და მერე, ყური რომ წავკარი მის „საგმირო“ საქმეებს, ჩემს
თავზე გავბრაზდი, რომ ვამტკიცებდი მუდამ, ლამაზ სხეულში ლამაზი
სულია-მეთქი ყოველთვის. იმიტომაც მივესალმე ცივად.

— თქვენთან ერთი პატარა სათხოვარი მაქვს, — ჩემი განწყობილება
თითქოს არც შეენიშნოს კაცს.

— ჩემთან სათხოვარი?! — ტუნებაბზუებულმა გაცემით ავათვალ-
ჩავათვალღერე: ყავისფერი ქურქი, ყელზე დაუდევრად მოგდებული მოღუ-
რი თეთრი ყელსახვევი, შარვალი — სუპერი, ფეხსაცმელი — ადიდასი, ერ-
თი სიტყვით, თავიდან ბოლომდე ფირმაა.

ხელკავი უბოდიშოდ გამიკეთა და ხალხისაგან გამაცალკევა. თან ერთი
ქალი გამოგვყვა, ადრე რომ არასოდეს შემენიშნა მასთან და რომელიც
საზღვარგარეთული კოსმეტიკის საუცხოო რეკლამას წარმოადგენდა, ისიც,
რალა თქმა უნდა, საგანგებოდ მორთული.

— ზეინაბ! — ჩურჩულით მომმართა კაცმა და თან აქეთ-იქით ქურდუ-
ლად მიმოიხედა — იქ, ვიტრინაში, ცხრაათას ორას-მანეთიანი ბეჭედი
დევს, მგონია, დიდი არაფერი იქნება, შენს სახელზე რომ გამოაწერიან
ჩეკი, ვითომ შენთვის იყიდე.

— ცხრაათას ორასი! ეს ახალ ფულზე?! — ხელი უნებურად საფეთქ-
ლებთან მივიჭირე და ლამის შევყვირე.

— რაღა დროს ძველ ფულზე ლაპარაკია! — ბოღმა ვერ შეიკავა ქალმა. შევატყვე, მაინც რაღაცით პატარა გამოვჩნდი მის თვალშიც კი...
— თქვენ რომ იყიდოთ, გვარიშვილობა შევირცხვებათ? არა? — მომიწინააღმდეგებოდა, მწარე მეთქვა ქალისთვის.

— ზეინაბ! — შემრიგებლური ტონი ჰქონდა კაცს. — ჩვენ გუშინ ვიყიდეთ, ახლა რომ კიდევ მივიღეთ, შეიძლება... ხომ იცი, რა დროა, არადა, ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობენ, ფული იცვლებაო. ხმები ყოველთვის კი არ მართლდება, მაგრამ ჭკვიანი გოგო ხარ და მიხვდები, თანაც ყველას როდი ეხერხება ენაზე კბილის დაჭერა.

— აა! გასაგებია, მაგრამ, საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც მე უნდა დაგეხმაროთ, ნუთუ იმიტომ, ერთჯერ მანქანით რომ მიმიყვანეთ სახლამდე? — ისე კარგად გავითამაშე გულბურყვილო გოგონას როლი, თვითონვე გამიკვირდა.

— რა კარგი კლიენტია! — ცეცხლისფრად შეღებელი ტუჩები მოწრუპა ქალმა, შერე ხელიდან ლაიკის ხელთათმანი წაიძრო, ლაიკისვე ჩანთა გახსნა და ასიანების შეკვრა უცხო თვალთაგან მოფარებულად გამოიწვინა:

— დაიჭი, აქ ათი ათასი მანეთია, დარჩენილი რვაასი შენი ფეშქაში იყოს.

ვიგრძენი, როგორ მომწონდა სისხლი საფეთქლებთან. თავით კედელს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე. რვაასი მანეთი! მამარქმის თითქმის ერთი წლის ხელფასი...

„ცაგია, გოგ, ჩამოფასებულში ჩვენი ბიჭების ზომა ისეთი კაი ჩექმები ყოფილა სუ იაფად. აგერას ქალებს უყიდათ!“

— „ბენა, ქეთუშა, ჩამოფასებულში კაი რა იქნება, შე ქალო, ფეხებს გადააღლიტამს ბოვშეებს!“

— რა გემართება, ცუდად ხომ არა ხარ, ზეინაბ! — ნიკაპზე მამაკაცის თითები ვიგრძენი.

ზიზლით მოვიცილე.

— კაცუნა ხარ შენ, საცოდავო, მათხოვარი, მაგრამ მე მაინც ვერ შევიწყალებ, ისევ შენისთანა მონაზე ვინმე! — კბილებში გამოვცერი და გასასვლელისაკენ მთვრალივით წავბარბაცდი.

სუფთა ჰაერზე თავბრუსხვევამ გადამიარა...

— „გამოიხუთმბათა, გოგ, აწი კაი ამინდები წავა!“ — შემომესმა ხალისიანი ხმა, ახლალა შევამჩნიე, ამინდი შეცვლილიყო, გაზაფხულივით ჩახჩახა დღე იდგა. მზე დაუზოგავად ალღობდა პირველ თოვლს.

ჭადრის ხეზე შერჩენილი ფიფქები ჩაშოვაროვე და შუბლზე მოვიხვი...

ღერი მსაგე

ბონდო მუშლაგე

მტრედი

მიწას ამკობდეს სურნელი,
შრიალი — მწვანე ტყის.
მტრედი — სიკეთის მსურველი,
ბავშვის ხელებზე ზის.
და ლოცავს ყველა კუთხეში
ღელას, აკვანს და ჩვილს.
მტრედი — სიცოცხლის ნუგეში,
მტრედი — ალერსი მზის.
უყვარს ღამაში ღღის ბოლო,
შუქი — უღრუბლო ცის.
მტრედი — მშვიდობის სიმბოლო.
ბავშვის ხელებზე ზის.

კავკასური კვანძიანი

მთებო

თოვლიან მთებს,
გოლიათებს
ვიხსენებ და
შორით ვეჭრფი,
აბა, სხვა რა
გაბადია
ამ დალოცვილ
მთების მეტი?
უცნაურად შემეყვარდა
ცად აჭრილი
თეთრი შხარა,
სხვა სიმდიდრე
ქე არ მინდა,
ჩემთვის მარტო
მთებიც კმარა.

სათიბუი

სიხარულით ყვება ანა:
ამამ მინდურად წამიყვანა,
მითხრა, ცქერით ვერ გაძლები,
სათიბია იმისთანა.
მართლაც, ქარში ტალღებივით
ღელავდა და შრიალებდა,
ცელს იქნევედა მამა მარჯვედ,
მწვანე ზღვაში ტრიალებდა.
საღამოთი, რომ დავეტოვე,
დამენანა, დამწყდა გული...
ნაირფერი ყვავილების
წამოვიღე თაიგული.

თამარ უივზილაშვილი

ცელქი ვრუწუნა

მეზობლებთან საუბარში
თაგმა დაიწრუწუნა:
ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს
ჩემი ცელქი წრუწუნა.
მეშინია, არსად შეხვდეს
ის ვერაგი ფისო,
ბრჭყალებში თუ მოიმწყვდია,
მერე ნახვამდისო!
დამეხმარეთ, მეზობლებო,
ამიტეხეთ განგაში
და წრუწუნას დაუშალოთ
ქუჩა-ქუჩა თამაში.



ტატიანა ბოლსტაია

მამონტზე ნადირობა

ხომ ლამაზი სახელია ზოია? თითქოს ფუტკრებმა გაიზუზუნესო, თვითონაც ლამაზია, ტანადი და სხვა ყველაფერიც კარგი აქვს. დაწვრილებით? ინებეთ დაწვრილებით: კოხტა ფეხები, კარგი ტანი, სალუქი კანი, ცხვირი, თვალი — ყველაფერი კარგი აქვს. თმა — წაბლისფერი, რატომ ქერა არა? იმიტომ, რომ ყველა ხომ ბედნიერ ვარსკვლავზე არ დაიბადება.

როცა ვლადიმერმა ზოია გაიცნო, გაოცდა, ყოველ შემთხვევაში, სასიამოვნო გაკვირვებამ მოიცვა.

— ო! — თქვა ვლადიმერმა.

აი, ასე თქვა და სურვილი გაუჩნდა ხშირ-ხშირად ენახა ზოია, მაგრამ არა ყოველთვის. და ამან, ცოტა არ იყოს, დაამწუხრა ზოია.

მის ერთოთახიან ბინაში ვლადიმერი თავის ნივთებიდან მხოლოდ კბილის ჯაგრისს ინახავდა — ნივთს უთუოდ ინტიმურს, მაგრამ არც იმდენად, რომ მამაკაცი ოჯახზე მიეჯავჭვა. ზოიას უნდოდა მისი პერანგები, კალსონები, წინდები შესჩვეოდა სახლს, შესთვისებოდა კარადის უჯრებს, უწესრიგოდ ყოფილიყო გადაკიდებული სკამზე, რომ ყოველწამს ხელი წამოეგლო რომელიმე სვიტრისათვის და დაეღობო „ლოტოსში“. მერე გაეშრო.

არა და არა, არავითარ კვალს არ ტოვებდა. ვლადიმერი ყველა ნივთს თავის კომუნალურ ბინაში ინახავდა. სამართებელი რაა, იმასაც კი! თუმცა რას იპარსავდა წვერა? ორი წვერი ჰქონდა: ერთი სქელი, უფრო მუქი, შუაში კი, თითქოს სხვა, უფრო პატარა, მოჟალო, წვრილ კონად იზრდებოდა ნიკაპზე. საოცარი იყო, როცა ჭამდა ან იცინოდა, ეს მეორე წვერი აღმა-დაღმა დახტოდა. ვლადიმერი ტანად მომცრო იყო, ზოიაზე ნახევარი თავით დაბალი, ცოტა მოველური გარეგნობისა, გაბანჯვკლული, ძალზე მკვირცხლი იყო.

ინჟინერი გახლდათ.

— ინჟინერი ხართ? — ნახად და დაბნეულად ჰკითხა ზოიამ პირველი შეხვედრისას, როცა რესტორანში იხსდნენ და ზოია, ნახევარ-მილი მეტრზე გადებული პირით, შოკოლადის სოუსში ამოვლებულ პროფიტროლებს გემოს უსინჯავდა, თან თავი ისე ეკვირა, თითქოს, რაღაცნაირი ინტელექტუალური მიზეზების გამო, არც ისე გემრიელიაო.

— დღ-ი-ახ, — თქვა ვლადიმერმა ისე, რომ ზოიას ნიკაპისათვის თვალი არ მოუშორებია.

— სამეცნიერო-კვლევითში მუშაობთ?

— დღ-ი-ახ.

— თუ საწარმოში?

— დღ-ი-ახ.

მიდი ახლა და გაუგე, როცა ზოიას ასე მიშტერებია.

ინჟინერსაც არა უშავს. მართალია, უკეთესი იქნებოდა, ქირურგი ყოფილიყო. ზოია საავადმყოფოში მუშაობდა, ცნობათა ბიუროში, თეთრ ხალათს იცვამდა და ამით თითქოს ამ საოცარ სამედიცინო სამყაროს ეკუთვნოდა, თეთრსა და გახანძებულს, სადაც შპრიცები და შპატელებია, ავტოკლავები, შავბეჭედღსმული უზეში სუფთა თეთრეულის დასტებია და კიდევ ვარდები, დარდები, შოკოლადის კამფეტები, და თეთრი ცივი საკაცე, გამალებით რომ მიქრავს დერეფანში და რომელსაც ფრენით მიჰყვება პატარა ღამწუხრებული ანგელოზი, მაგრამ რომ ჩაუკრავს თავის ჩიტის მკერდში განაწამები, განთავისუფლებული, თოჯინასავით შეფუთული სული.

ამ სამყაროს მეუფე კი ქირურგი გახლავთ, და შეუძლებელია, შეუძრწუნებლად უცქირო, როცა კამერჰერების დახმარებით ფართო მანტიითა და მწვანე თასმებიანი გვირგვინით მოსილი დგას, მედიდურად აღმართული უძვირფასესი ხელებით, წმინდა მეფური მისიის შესრულებისათვის გამზადებული, რომ ალასრულოს უზენაესი სამართალი, ემპეროს, მოჰყვეთოს, დასაჯოს და იხსნას, და მოელვარე მახვილით მიანიჭოს სიცოცხლე... განა მეფე არ არის? და ზოიას ძალიან უნდოდა ქირურგის მკლავებში მოქცეულიყო, მაგრამ ინჟინერსაც არა უშავს.

ძალიან კარგი დრო გაატარეს იმ დღეს რესტორანში. თუმცა ვლადიმერმა არ იცოდა, რა მოჰყვებოდა მათ გაცნობას, მაინც დიდ გულუხვობას იჩენდა. ეს მერე დაიწყო წუწურაქობა, საქმიანად ათვალეირებდა მენიუს, თავისთვის მხოლოდ ხორციან კერძს იღებდა, იაფფასიანს და რესტორანში დიდხანს არ ყოვნიდებოდა. ამაოდ იჯდა ზოია მინახებული გამომეტყველებით, ამაოდ იღებდა გულვრილ სახეს, ოდნავ დამცინავს, ნაწილობრივ კიდევ ჩაფიქრებულს, — ეგონა რთული სულიერი განცდის ნატიფი სევდისმავარი ან ფაქიზი მოგონების წამიერი ჩრდილები გადამივლისო, ისე იჯდა, თითქოს შორეთს გაჰყურებდა, ნახად ეყრდნობოდა მაგიდას მკლავებით და ოდნავ გამოზურცულ ქვედა ტუჩიდან თამბაქოს ლამაზ რგოლებს

უშვებდა მოხატული თაღებისაკენ. კეთილ ფერიას თამაშობდა. მაგრამ ვლადიმერი ფეხს არ უწყობდა. ინტერესით ჭამდა, სევდის ნახაზიც არ ეტყობოდა, სულმოუთქმელად სვამდა, ნება-ნება კი არ ეწეოდა, — სწრაფად ახრჩოლებდა და ნამწვს გაყვითლებული თითებით სრესდა საფერფლეში. ანვარიშს ჩაჰკირკიტებდა, საშინლად უკვირდა და მაშინვე ნახულობდა შეცდომას. ხიზილალას არასოდეს არ უკვეთდა: ამას მხოლოდ პრინცესები და ქურდები მიირთმევენო. ზოიას გული მოსდიოდა: განა პრინცესა არ იყო, თუმცაღა შეუტნობელი? შემდეგ კი საერთოდ აღარ დადიოდნენ რესტორანში, სახლში ისხდნენ ან ზოია მარტო იჯდა მოწყვნილი.

ზაფხულში ღიდი სურვილი ჰქონდა კავკასიას სწვეოდა. იქ ხმაურია, არის ღვინო და ღამით წივილ-კივილით ბანაობა, არის უამრავი საინტერესო მამაკაცი და ზოიას დანახვაზე ყველანი იტყოდნენ — „ო“ — და კბილებს ვააელებდნენ.

ამის მაგვირად ვლადიმერმა ბაიღარა მოათრია ბინაში, ორი ამხანაგი მოიყვანა, ისეთივე, როგორიც თვითონ იყო, უჯრედებიან, რაღაც სუნით გაჟღენთილ კოვბოურებში გამოწყობილნი. ისინი დაოთხილნი ფორთხავდნენ, აწყობდნენ. და ისევ შლიდნენ, რაღაც საკერებლებს ადებდნენ, ბაიღარის საზიზღარ ნაწილებს წყლით სავსე ტაშტში უშვებდნენ. გაჰყვიროდნენ: „გასდის, არ გასდის!“

ზოია კი იჯდა ტაბტზე, ეჭვიანობდა, სივიწროვით უკმაყოფილო და ყოველ წამს ფეხებს წევდა იმისათვის, რომ ვლადიმერი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაცოცებულიყო.

მერე იძულებული გახდა ვლადიმერსა და მის მეგობრებს თან გაჰყოლოდა ამ საზიზღარ ლაშქრობაში, ჩრდილოეთში. და საშინლად გაიყინა და გაიწუწა, ვლადიმერს კი ძაღლის ზინზლის სუნი ასდიოდა. ნიჩბებს სწრაფად უსვამდნენ და ტალღებზე სტუნვით მიქროდნენ ჩრდილოეთის მოღუშულ, ტყვიისფრად აბურცულ ტბაზე. ზოია პირდაპირ საზიზღარი ბაიღარის ძირზე იჯდა გამხვართული ფეხებით, რომლებიც ძალზე დამოკლებულიყვნენ. სუსტნი ჩანდნენ სპორტულ შარვალში, და გრძნობდა, რომ ცხვირი გაუწითლდა და თმები გაწუწული აქვს, და წყლის შხეფები საღებავს უდღაბნის წამწამებზე. წინ კი ორი კვირის წამება ელოდა ტენიან კარავში, ფიჭვითა და წითელი მოცვით დაბურღულ უსახელო კლდეზე. სულ უტზოდ გრძნობდა თავს ამ ხაღისიან, სიცოცხლით სავსე ადამიანებს შორის, სადილზე ცერცვის კონცენტრატით გამოწვეულ მხიარულ ყვირილში.

მერე ზოიას რიგი მიდიოდა, ღრმა ვაყინულ ტბაში გაერეცხა ქონიანი ალუმინის თასები, რომლებსაც ჭუჭყი მაინც არ სცილდებოდა და თავიც ჭუჭყიანი ჰქონდა და ექექებოდა თავსაფრის ქვეშ.

ინჟინრებს ცოლები ახლათ და ზოიას არავინ უცქერდა განსაკუთრებული თვალთ და არ ამბობდა: „ო“ და ზოია თავს უსქესო შარველს მეგობრად გრძნობდა, და ეზიზღებოდა კოცონის გარშემო ხორხოცი, გიტარის ჩხარუნი, ქარიყლაპიას დაჭერით გამოწვეული მხიარული შეძახილები, ის იწვა კარავში სრულიად უბედური, ვეღარ იტანდა ორწვერა ვლადიმერს და უნდოდა ჩქარა გამხდარიყო მისი ცოლი. მაშინ უკვე შესაძლებელი გახდებოდა, კანონიერი ცოლის უფლებით კი აღარ დამახინჯდეს ამ ეგრედ წოდებულ ბუნებაში, არამედ სახლში დარჩეს და გერმანული რუშებით გაწყობილ თხელ სალუქ ხალათში გამოწყობილი იჯდეს დივანზე. პირდაპირ კი იდგეს ავეჯი, ზედ ფერადი ტელევიზორით, (დაე, ვლადიმერმა იყიდოს), ვარდისფერი სინათლე იუგოსლავიური ტორშერიდან, და რაიმე მსუბუქს სვამდეს და რაიმე კარგს ეწეოდეს (დაე, აჩუქონ ავადმყოფების ნათესავებმა), ელოდოს ვლადიმერის დაბრუნებას ბაიდარით მოგზაურობიდან, დაე, შეხვდეს ოდნავ უკმაყოფილო და ეჭვიანი: საინტერესოა, უჩემოდ იქ რას აკეთებდი? ვისთან ერთად იყავით? თევზი ჩამოიტანე? და შემდეგ, ასეც იყოს, აპატიებს ორი კვირით არყოფნას. მის არყოფნაში კი, შესაძლებელია, დარეკოს ნაცნობმა ქირურგმა და ეკურკუროს. ზოია კი, უხალისოდ და გამოძეტველებაშეცვლილი, გაჭიშკავს „არ ვიცი... ვნახოთ... თქვენ სერიოზულად ფიქრობთ?“ ან დაურეკავს მეგობარ ქალს: „და შენ რა ქენი?... მან რა... შენ?“ ოჰ, ღმერთო ჩემო, ქალაქი! კაშკაში, და საღამო, და სველი ასფალტი, და წითელი ნეონის შუქი გუბეში ქუსლების ქვემოთ.

აქ კი მიმედ ეხეთქება კლდეს ტალღები, ყრუდ წივის ქარი ზეების წვეროებში, კოცონი თავის მუღმივ ფერხულს უვლის და დამე გაეპარება ზურგიდან, და ჭყვიპინებენ კარვებში ინჟინრების უსწო, დათხუპნილი ცოლები, ფუი, რა მოწყენილობაა?

ვლადიმერი სასობებაში მოდიოდა, აღრიანად დგებოდა, სანამ ტბა წყნარი და ნათელი იყო, ციცაბო მაღლობიდან ეშვებოდა, ფიჭვეს ეჭიდებოდა და ხელისგულები ფისით ესვრებოდა. ფეხებგაჩაჩხული იდგა გრანიტის ფილაქანზე, გამჭვირვალე მზიან წყალში რომ იმალებოდა, პირს იბანდა, ფრუტუნებდა, იხვივით ყვიტ-ყვიტებდა და ბედნიერი თვალებით შესცქეროდა ზურგსუკან მდგარ ზოიას — ნამძინარევს, შეუღლებავს, პირქუშად რომ იდგა და ხელში ჩამჩა ეჭირა. „არა, ოდესმე გაგიგონია ასეთი სიწყნარე? მოუსმინე, რა სიწყნარეა! ჰაერი? პირდაპირ სამოთხეა!“ „ფუი, რა საძაგელი იყო! ჩქარა, ცოლად გაჭყვევს, ჩქარა!“

შემოდგომაზე ზოიამ ვლადიმერს ჩუსტები უყიდა. უჯრედებიანი, შემოსასვლელში რომ ელოდნენ, პირდაფჩენილები: ფეხი გაუყარე, ვოვა! აქ შენს სახლში ხარ, წყნარ მისადგომთან! დარჩი ჩვენთან! საით მიგიწევს გული, სულელი!

თავისი ფოტო — წაბლისფერი თმები, მშვილდით მოზიდული წარბები, მკაცრი გამოხედვა — ვლადიმერს საფულეში ჩაუღო, ჩაძვრება თიანი სამგზავრო ბილეთისათვის, ან ხურდა ფულისათვის, დანახავს ასეთ ღამას და შეიცხადებს: ვაი, რა სულელი ვარ, რატომ ცოლად არ მოვიყვან, სანამ სხვა არ დამასწრებს? საღამოობით, მის მოლოდინში, ფანჯრის რაფაზე ვარდისფერ მრგვალფეხა ღამპას დგამდა — ოჯახური შუქურა ღამის წყვდიადში. ოჯახური კავშირის სიმყარისათვის, რომ გულზე მოჰფონებოდა; სიბნელეა სახლში, ბნელი ღამეა, მაგრამ ანთია შუქურა — ეს მისი სულის ვარსკვლავს არ სძინავს, მოლოდინში ქილებს თავს უხუფავს, ან პატარა სარეცხი წამოუწყია.

ფუმფულა იცოს ბალიშები, რბილი — ტიფტელები, ორჯერ რომ გაეჭარებინა ზოიას ხორცსაკვებ მანქანაში, ყველაფერი აქეთ ეძახდა თითქოს, ზოიაც ფუტკარივით ბზუოდა: ფეხს მოუჩქარე, ძვირფასო! ფეხს მოუჩქარე, შე უნამუსო!

გათხოვება უნდოდა, სანამ ოცდახუთი არ მოუკაკუნებდა, — მერე უკვე მორჩა, ახალგაზრდობა უკან დარჩება, დარბაზიდან გაგაბრძანებენ და შენს ადგილას სხვები მოცვივდებიან: სიცოცხლით სავსენი, კულულებიანები.

ღილით ყავას სვამდნენ. ვლადიმერი კითხულობდა ჟურნალს: „ნაევები და იანტეპი“. ღეჭავდა, ნამცეცები ორივე წვერში ეჩხირებოდა, ზოია მტრულად დუძდა, შუბლზე უმზერდა, და ტელეპატიურ ფლუიდებს უგზავნიდა: „შემიერთე, შემიერთე!“. საღამოს ისევ რაღაცას კითხულობდა, ზოია კი ფანჯარაში იცქირებოდა და მოუთმენლად ელოდა, როდის დადგებოდა ძილის დრო. ვლადიმერი მოუსვენრად კითხულობდა, ეგზნებოდა, თავს იქეჩავდა, ფეხს იქნევდა, ხითხითებდა და დროდადრო წამოიყვირებდა ხოლმე: „არა, შენ მოუსმინე“.. სიცილით წყვეტდა დაწყებულ სათქმელს, ზოიას თითს ატაკებდა და უკითხავდა მოწონებულ ადგილს. ზოია მყავვედ იღიმებოდა ან ცივად შესცქეროდა, დაჟინებით, არაფერს პასუხობდა, და ვლადიმერი უხერხულად ატრიალებდა თავს, ფხიზლობდა და ბუტბუტებდა: „ყოჩაღ, კაცო“, თან სიამაყის გამო ცდილობდა ძალით შეენარჩუნებინა სახეზე უღიმღამო ღიმილი.

სინარულის ჩაშხამება კი კარგად იცოდა. არა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცხოვრებაც ამას ჰქვია: დროზე დაგვიღია, დალაგებული, მაცივარი დროზეა გამორთული ყინულის გასაღნობად. კბილის ჯაგრისი აქვს თავისი, სახლის ფაჩუნები, აჭმევვენ აქ და ასმევვენ. ქიმწმენდაშია რაიმე წასაღები — კი, გენაცვალე, ჩემი თავი შემოგვევლოს! რაღა გინდა ამაზე მეტი, საძაგელი, რატომ არ მთხოულობ, მართო ხასიათის გაფუჭება რომ იცი! აბა, ზუსტად ვიცოდე, რას აბირებ, მაშინ ნახავდი, რასაც გიზამდი. დაგემშვიდობები და კარგად იყავი, კუ-კუ! მოკითხვა დელაშენს! მაგრამ



როგორ გაივოს მისი აზრები? პირდაპირ შეკითხვას ზოია მანც მოელოდა, საუკუნოებრივმა გამოცდილებამ უშველა. ერთი მარცხიანი გასროლა და, საკმარისია, ჩათვალე — გაგექცა ნდავლი, უკანმოუხედავად გარბის, მარტო ბული ასდის და ფეხის ქუსლები ბრწყინავს. არა, უნდა მიიტყუოს.

ის კი, საზიზღარი, მიეჩვია, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, სულ გაშინაურდა, „კომუნალურიდან“ თავისი ნივთები გადმოიტანა — პერანგები, პიჯაკები, მისი წინდები ახლა ყველგან ეყარა. მოვა და პირდაპირ — ფაჩუჩებში ჩაყოფს ფეხს, ხელებს იფშენეტს: „დღეს რა გვაქვს ვახშმად?“ გვაქვსო — შეაჩჩინეთ. აი, ასე ალაპარაკდა.

— ხორცი, — კბილებში ცრიდა ზოია.

— ხორცი? შშ-ეს-ს-ანაშ-შ-ნავია! შშ-ეს-ს-ანიშნავია! რით ვართ ასე უკმაყოფილონი!

ან ოცნებას წამოიწყებდა.

— გინდა მანქანა ვიყიდოთ? ვისეირნებთ — და — პერი, საითაც გულს გაუხარდება.

აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი! თითქოს არსადაც არ აპირებდა წასვლას! და სიმართლე რომ ითქვას, არ აპირებდა? მაშინ მიდი და ცოლად წამიყვანე, რაღა! უგარანტიოდ სიყვარული ზოიას არ უნდოდა.

ზოია მახეს უკებდა: ორმოს ამოთხრის, ტოტებით დაფარავს და ხელს ჰკრავს... უცებ, უკე ჩაცმული და შეღებილი, უარს ამბობდა სტუმრად წასვლაზე, ტახტზე წვებოდა და დამწუხრებული შეჰყურებდა ჰერს. რა ამბავია? არ შეუძლია... რატომ?... იმიტომ... არა, რა მოხდა? თავს ცუდად გრძნობს? რა მოხდა? ის მოხდა, რომ არ შეუძლია, ვერ წამოვა, არ უნდა თავი სასაცილოდ გაიხადოს, ყველას თითის საჩვენებელი გახდეს: საინტერესოა ვინ მობრძანდა? ყველა ცოლებითა... სისულელეა, ამბობდა ვლადიმერი, იქ ცოლები, უკეთეს შემთხვევაში, ერთი მესამედია, და ისიც სხვისი... ბოლოს და ბოლოს, აქამდე დადიოდა — და არაფერი? აქამდე დადიოდა და მორჩა, ახლა კი არა, აი, არ შეუძლია, სუსტია, ვარდივითაა, თუ ცუდად მოეპყარა, ჭკნება.

— საინტერესოა, როდის იყო, ცუდად გეპყრობოდა და ა. შ. და ა. შ. და ისევ გვერდს უვლიდა შენიღბულ ორმოს.

ერთხელ ვლადიმერმა რომელიღაც მხატვართან წაიყვანა: ამბობენ, ძალიან საინტერესო პიროვნებააო. ზოიამ წარმოიდგინა ასეთი ბოზონდი-ხელოვნებამცოდნეთა ჯგუფები: ქალები—ძველი ბებრუხანები, ყველანი ფორუზში, კისრები კი ინდაურებივით აქეთ, მამაკაცები—ელეგანტურები, უბის ჯიბეში ფერადი ცხვირსახოცები, კარგი სუნი ასდით. ვილაც კეთილშობილი მოხუცი მონოკლით გზას იკვლევს ხალხში. მხატვარი — ზვერდის პერანგიანი, ფერმკრთალი, ხელში — პალიტრით. და უცებ შემოდის ზოია. ყველანი — „ო!“ მხატვარი ფერს კარგავს. „ოქვენ უნდა მიპოზიოროთ“.

კეთილშობილი მოსტუცი შეჰყურებს დარდიანი თავდაზნაურული გამოქვეყნებით: მისი დრო წავიდა, ზოიას სურნელება მისნაირებს აღარ სწევას. ზოიას პორტრეტი — შიშველი ნატურა — მოსკოვში მიაქვთ. მანუში გამოფენაა. მილიცია ხალხის ბრბოს ძლივს აკავეს. საზღვარგარეთ ვერნისაჟი. პორტრეტი დაჯავშნულია. უშვებენ მხოლოდ ორ-ორს. სირენების ღმუილი. ყველანი აეკარით მარჯვენა მხარეს. შემოდის პრეზიდენტი. ის გაცოცხლებულია. სად არის ორიგინალი? ვინ არის ეს ქალიშვილი?

— ფრთხილად, აქ ფეხი არ მოიტეხო, — თქვა ვლადიმერმა. სარდაფში ჩადიოდნენ. გასურებულ მიღებზე ძენძი ეპორწიალებოდა. სახელოსნოში თბილა. მხატვარი ჭრიჭინასა ჰგავს, დაგლეჯილ ჯვალში გამოწყობილა, მძიმე სურათებს დაათრევს. დახატულია უცნაური რამ: დიდი კვერცხი, საიდანაც უამრავი პატარა კაცუნა მოძვრება, ღრუბლებში ლივლივებს ვიღაც ჯარისკაცის ჩექმებსა და ხატულა ხალათში გამოწყობილი, ხელში დანა უჭირავს და ყველაფერ ამას ერთად ჰქვია — „კონკორდანსი“ — ან, აი, კიდევ — ვაშლი, იქიდან კი სათვალისანი ჭიაყელა მოძვრება პორტფელით. ან ყრუ კლდისანი ადგილი, შვიტა; ფანჩუჩებისანი მამონტი. ვიღაც, სულ ციცქნა, ისარს უმიზნებს, გვერდზე გამოქვაბული ჩანს, იქ ელექტრონათურა ჰკიდია ზონარზე, ტელევიზორი ანათებს, გაჰქურის ალი კააფობს, სადღუარაიც კი მონდომებით დაუხსატავთ, მაგიდაზე შვიტების თაიგული ძევს. ნახატს ჰქვია „მამონტზე ნადირობა“. საინტერესოა. „რა ვითხრა, ძალიან თამამად დაგიხსატავს, — თქვა ვლადიმერმა — ძალიან თამამად, იღეა რა არის?“

— „იღეა?“ — კიდევ უხარია და კიდევ უკვირს მხატვარს. — მაწყენინო, გინდა, თუ რა არის! რა ახლის შემომტანნი მნახე! იღეებისაგან, ძმარა. რაც ძალი და ღონე გაქვს, უნდა გაიქცე, თან უკანმოუხედავად! „არა მაინც, მაინც რაც უნდა იყოს...“ აქ კამათი წამოიწყეს, ხელების ქნევა, მხატვარი მკლავებით კვეთდა დასუთულ ჰაერს, პატარა მორყეულ მაგიდაზე დანჯღრეულ კერამიკულ ჭიქებს აწყობდა. სვამდნენ უგემურს, აყოლებდნენ რაღაცას, გუშინწინდელს, მასპინძელი შეუმჩნეველი პროფესიული მშერიტ დაცოცხვდა ზოიას სხეულზე.

ზოიას ეს სულ არ ეხებოდა — თითქოს სულაც გამქრალიყო სადღაც ვლადიმერი. გაწითლდა. წვერები გაებურძგლა, ორივენი რაღაცას ვაჰყვიროდნენ, ხმარობდნენ სიტყვას „აბსურდს“ და მის მავარს. ერთი ჯოტოს იმოწმებდა, მეორე — მოისენკოს იხსენიებდა. ზოია სულ გადაავიწყდათ. თავი ასტიკვდა, ყურებში გუგუნი დაეწყო, ბუმ, ბუმ, ბუმ, ფანჯრის მიღმა, წყვილადში, წვიმას აპირებდა, დამტვერილი ნათურა, ჭერქვეშ სადღაც მიცურავდა მოლურჯო კვამლის ფენებში, უხეშ თეთრ თაროებზე ჯგროდოდა. დაჩხვლელი დოქები, რომლებიც დიდი ხანია ობობას ქსელით დაფარულიყვნენ. ზოია აქ არ იყო, საერთოდ აღარ არსებობდა. გარემო


ჩაახშო. არაფრის გაკეთება აღარ უნდოდა და ვლადიმერი თვითონ წმენდა და მტვერსასრუტით, თვითონ ბერტყავდა ფეხსაწმენდ ტილოს, თვითონ მოუხუფა თავი ზამთრისათვის გამზადებულ ბადრიჯნის ხიზილალსაც.

ბუმ, ბუმ, ბუმ — განუწყვეტილი გუგუნებდა თავში და შუბლშეკრული მტრედი ცეცხლოვანი რგოლით ისევ ჩნდებოდა წყვდიადიდან. ზოია წვებოდა ტახტზე გამართული და მიუწვდომელი. თავზე პლედს იხურავდა, ხელები თეძოების გასწვრივ ეწყო. უსაზღვრო სევდა — ასე დაარქმევდნენ მის ხის ქანდაკებას შუასაუკუნეების ოსტატები იმ ალბომიდან, თაროზე რომ დევს გვერდულად. უსაზღვრო სევდა—აი ასე. ო, ისინი კი გამოაქანდაკებდნენ, როგორც საჭიროა, მის სულს, მის ტკივილს, მისი პლედის ყველა ნაკვეთს. გამოაქანდაკებდნენ და მიაბამდნენ თავბრუდამხვევი მაქმანის ტაძრის სულ კინკრიხოში და მოგვეცემდნენ გადიდებულ ფოტოს: „ზოია. დეტალი. ადრეული გოტიკა“. ლურჯი გამჭვირვალე ცეცხლი ათობდა შალის გამოქვაბულს, სუნთქვა ჭირდა. ინჟინერი თითის წვერებზე გადიოდა ოთახიდან საით? — წეროსავით კიოდა ზოია და ცოლიანი მტრედი ჩაიცილებდა: „მე ისე... ხელის დასაბანად... შენ დაისვენე“, შეშინებული ჩურჩულებდა მტარვალი.

„ჯერ ვითომდა ხელის დასაბანად, მერე ვითომ სამზარეულოში, იქვე კი შემოსასვლელი კარია, უკარნახებდა მტრედი — ჰოპ — და გავიდა“... და მართლაც იყო. ტახტზე წამოწოლილმა ესროლა ორწვერას თოკის ყულფი და ჩამოაცვა. მერე მოქაჩა და მიაყურადა. მეორე ბოლოში შრიალებდა, ოხრავდა და ბრაგუნებდა რაღაც. არასდროს არ მოსწონდა ეს ადამიანი მაინცდამაინც. მოსწონდა კი არა და, სიმართლე რომ ითქვას, ყოველთვის აუტანელი იყო მისთვის. პატარა, ძლიერი, მძიმე, სწრაფი, ბანჯგელიანი, უგრძნობი პირუტყვი.

კიდევ ცოტა ხანს იცოდვილა — იწკმუტუნა პირუტყვმა, წუხდა, სანამ ბოლოს არ დადუმდა — დიდი გამყინვარების ნეტარი, ღრმა ღუმელით.

თარგმანა ქეთიო კვინტრაკმა



ო ბ ე ლ ის კ ი

დედის ხელები

იქ, სადაც მეფობს დუმილი
 მკაცრი
 და ყორღანია
 დონეცკის ველად,
 დვას ობელისკი
 ხიშტივით ბასრი,
 ცას ებჯინება
 და მზეში ელავს.
 ცივ გრანიტს
 ისევ ფრთხილად ვეხები,
 როგორც პირველად,
 დიდი ხნის წინათ...
 როცა აისი წითლად
 შეღებავს
 ბალახებს, —
 ცვარი სისხლივით ბზინავს.
 და ვამბობ:
 ჩემი ბედის ვარსკვლავი,
 მჯერა,
 იბრწყინებს ყველგან მანამდე,
 სანამ მამხნევებს,
 სანამ ანათებს
 ეს ობელისკი
 შუქურასავით.

წვიმა რომ მცემდა
 განუწყვეტელი
 და მერყეოდ
 ფეხებქვეშ ფუძე,
 გამხსენებია
 დედის კეთილი
 ხელები —
 წვიმა შემწყდარა უცებ.
 როცა მციოდა
 და ვახველებდი —
 იმ მკაცრი ზამთრის
 ჭირდა ატანა,
 მოსიყვარულე
 დედის ხელები
 მკერდში მიკრავდა,
 როგორც პატარას.
 მათ ჯერაც ახსოვთ
 მიწა აყალო,
 გაჭრილ სამარის
 დარდი და სევდა.
 მაინც მგონია:
 მთელი სამყარო
 კეთილ ხელებში
 უჭირავს დედას.

თარგმნა სუტა ბაბუაშვილი.



ღამით ნაცვალაქე

დიმიტრი პრისტავი

დ. ერისთავს, როგორც ბელეტრისტს, ყველაზე მეტი სახელი მოუხვეჭა მოთხრობამ „ვისი ბრალია“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1895 წლის „მოამბეში“. დასახელებულ ნაწარმოებში ავტორი გვიხატავს თავადაზნაურთა კლასის ეკონომიკური და ზნეობრივი დაკნინების პროცესს. მოთხრობაში წარმოდგენილია სოციალური წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფლად სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პროცესში. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება თავადაზნაურთა კლასის უსაქმურობა, სიმეაცრე, ავზორცობა და გაუტანლობა.

ქვიანელი გლეხი დათიკა გორდელაძე, შრომისა და გარჯის წყალობით ჩინებულად დასახლებულიყო. მის ეზოს ამშვენებდა ახლადაშენებული თეთრაივნიანი კოშკი თლასახლი, ბეღელი, ნალია და ისლით დახურული სამზარეულო. დილიდან საღამომდე არ ისვენებდა ოჯახის თავაკაცი. „ზაფხულობით ყანაში მუშაობდა, გამალებული ტრიალებდა შიგ გულგაღედილი, თავ-წვივ შიშველი, შემოდგომაზე კი, მორჩებოდა თუ არა ოფლის ღვრით მოწეული ჭირნახულის შენახვას, მიდიოდა ბათუმში ან ფოთში ფულის საშოგრად და ბრუნდებოდა შინ მხოლოდ საახალწლოდ“.

დათიკას ამ კარგ თვისებებს ისიც ემატებოდა, რომ იგი იყო უღარესად გულწრფელი და მოსიყვარულე გულის პატრონი, მაგრამ საოცრად ფიცხი და უსამართლობის წინააღმდეგ გაბედული მებრძოლი: „არავის არ დაერიდებოდა, არც ბოქაულ-მამასახლისს და არც მეზობლებს. თვალეზაბრიალებული, წარბშეკრული სიმართლეს ყველას პირში მიახლიდა“.

თუ საჭირო იყო, დათიკა თავისი მძლავრი მუშტის ძალასაც აგრძნობინებდა. მან სიკვდილის პირად მიიყვანა ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც თავისი ხარბი, განგებ საწყალი ქვრივი დედაკაცის ყანაში მიუშვა და თვითონ მსხლის ჭამით თავი შეიქცია.

ამგვარადვე მოექცა დათიკა გორდელაძე მამასახლისს, რომელმაც ზარმაც გლენს ქრთამი გამოართვა, საბეგარო სამუშაოდან გაათავისუფლა და მის მაგივრად უკანონოდ სამუშაოზე სხვა გაგზავნა. ასეთი სიფიცხისათვის დათიკას მეზობლებმა „თოფის წაბალი“ შეარქვეს. მაგრამ, მიუხედავად სიფიცხისა, დათიკა გორდელაძე ყველას უყვარდა, მას ყველა პატივს სცემდა. ერთხელ ქვიანელებმა მისი მამასახლისად არჩევაც კი მოინდომეს, მაგრამ დათიკამ სასტიკი უარი განაცხადა. აი, რას ეუბნება იგი დედას აღნიშნულის თაობაზე: „მე რომ მამასახლისად დავდგე, ოჯახს ვინ უბატრონოს? ახლაც მიჭირს საქმე, თვარა მაშინ რაღა იქნება! ათასი ბეგარა და გაღასახადი გვაწევს კისერზე. ავი „ფომ-



ტის“ ფულო, აგი — სკოლისო. აგი მწერლისო და რა ვიცი კილო რამდენი სხვაი! ახლა თქვენი რჩენა, სტუმარი, მტერი, მოყვარე!..

— ეი, მარა აი რაფერაა ნენა, რომ ჩვენი მამასახლისი სამსახურსაც კი ასრულებს და ოჯახიც კარგადაა? — ჰკითხა თამარმა.

— ოჯახი იმიზა კარგად, რომ იმან და მისმა მწერალმა მთელი სოფელი გაატყვეს, იმისთანა მოსახლე არაა ჩვენში, რომ ქრთამი არ აადლიტოს. მე შენ გეტყვი, შერცხვება რაიმეს, თვალში რომ შეაფურთხოს, ღვთის წყალობას ვეტყვის. რაც კაცი იმისთანა საწყალს და უპატრონო ქვრივს, ჩვენი მართა რომაა, ქრთამს გამოართმევს, იმას არც სვინდისი აქვს, არც ღმერთი სწამს... იგი ყველაფერს სიაცვს იქს, არაფერს არ ითაკილებს... ეჰ, რა უნდა ვთქვა იმ კაცზე, რომელიც ერთის „მენდალის“ მიღების გულგობიზა, ბოქაულს თავის ღვიძლ გოგოსაც კი ურიგებს... თუ იმსახურებ, პატიოსნად უნდა იმსახურო, სირცხვილი არ ჰქამო, სოფელს ჰირში და ლხინში წაადგე, სადღა გექნება მაშინ დრო, ოჯახს თვალყური უგდო!“.

დათია გორდელაძეს შრომისა და სიცოცხლის ხალისს უთაყეცებს მუყაითი, ქმარ-შვილის მოყვარული, ლამაზი და კეთილი მეუღლე ნინო, რომელიც ქალიშვილობაში ბევრ სოფლის ახალგაზრდას უძგერებდა გულს, მაგრამ ნინომ დათიკა აიჩრია. მათ ერთმანეთს სიყვარული შეპყვიცეს და ცხოვრების ჰუანის ზიდვა გადაწყვიტეს. მეზობლები და მოკეთენი ნინოს ქებაში იყვნენ.

მოთხრობაში დათიკა გორდელაძის პატიოსან და შრომისმოყვარე ოჯახს უპირისპირდება აზნაური ნესტორ უქმიაშვილი, რომელსაც ცხოვრების საფუძვლად ფუქსავატური ცხოვრება გაუხდია და ძმაბიჭებთან ერთად სოფელს ხორცმეტად მოჰკიდებია.

„ნესტორ უქმიაშვილი... იყო წარმომადგენელი იმ ახალგაზრდობისა, რომელიც უზვად ღვარძლივით ამოსკდა ამ ბოლო დროს ჩვენის უკუღმართის ცხოვრების ნიადაგიდან. ყველგან, საითყენაც კი მიიხედავთ, სოფელში, დაბაში თუ ქალაქში, ყველგან შეხვდებით ამ ახალგაზრდა ძალ-ღონით სავსე, მაგრამ ცხოვრებისათვის გამოუსადეგარს, გზა-ღაბნეულ შვილებს, უაზროდ, უმიზნოდ დათარეშობენ ისინი ცხოვრების მოედანზე, სულით დაცემულნი, გონებადასშულნი, გულგაფატრულნი და სინდისმიძინებულნი დაფარვაშობენ და ამყობენ თავიანთის კეთილშობილის შთამომავლობით“. — წერს ავტორი.

მამის სიკვდილიდან ერთი კვირა არ იყო გასული, რომ ნესტორმა ველარ მოითმინა მგლოვიარედ ყოფნა, მიმინოს ეყენების ძღარუნი გაიგონა და მისკენ გაექანა.

მაზლის, პავლე უქმიაშვილის რჩევით დედა ნესტორს ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარებს და ქუთაისის ოლქის მზრუნველის განკარგულებით პანსიონატშიც ჩარიცხავს, მაგრამ უსაქმობას დაჩვეულმა ნესტორმა სწავლა სასტიკად შეიძულა. პანსიონატი მიატოვა და ქვიანში ამოყო თავი. ნესტორმა ჩაიცვა შალის ნაცრისფერი ჩოხა, სირმით გაწყობილი მესტები, დიკიდა უშველებელი ხანჯალი, დაიხურა თეთრი გრძელბეწვიანი ფაფახი და გასწია თავისი მეგობრის; გაკოტრებული აზნაურის ფარნა მაყაშვილისაკენ, რომლის მუღმივი სამყოფი ადგილი იყო სოფლის წურბლის გაბრიელ როხაძის ღუქანი.

დ. ერისთავი რეალურად წარმოგვიდგენს როხაძის ღუქანს, აქ შეგროვილი უსაქმური აზნაურის ყოფას, ფულის მოგროვების მიზნით გადაბმულ ნარდის თამაშს, ქვიფსა და ყოველდღიურ აყალ-მაყალს.

ახლა ვნახოთ, როგორ ხვდებან ნესტორი და ფარნა ერთმანეთს.

„აბა, ნესტორჩან, ჰა? გიმნაზიას კიი კიი წრიხები მიაყარე და სდურთე სახლში?“

— სწორედ, და არც წვაალ აწი. იმის ფესვი აღარ იყოს! — დაბალის ხმით უბასუხა ნესტორმა.

— კას ჰკუასაც იზამ, მე და ჩემმა ღმერთმა! რა „ჩვენი ქულის“ კაცების საქმეა სტა-

ვლა? ის ხელობა უნდა დავიჩემოთ, რაც ჩვენ შეგვეფერება! წამოდი ჩემთან! ამ სიტყვებით ნესტორის ხელი კისერზე გადახვია და დუქანისაკენ გაიტაცა“.

სოფლად დაბრუნებულმა ნესტორ უქმიაშვილმა, რომელმაც ფარნა მაცაშვილის მსგავსად ნადირობა, ღვინო და ქალები ვაიხადა მიზნად, თვალი დაადგა დათიკა გორდელაძის ლამაზ ცოლს ნინოს და დღე და ღამე მის დაუფლებაზე ოცნებობდა.

„შენი ნაყმების ცოლია და იქნება, რავარც ბატონს, ხათრი დაგდვას, მარა ავი ვახსოვდეს, გაბღღული უნდა იყოს, იერიშით უნდა მიხვიდე და ციხეს მაშინ აიღებ!“ — დარბია ფარნამ ნესტორი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ნინოზე ფიქრი.

„რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი იქნება! — მტკიცედ გადაწყვიტა უქმიაშვილმა და დასახული მიზნის შესასრულებლად იგი დათიკას ოჯახს ნათლიად მოეკიდა, მას საშუალება მიეცა ხშირად ევლრ დათიკას ოჯახში. ოჯახის წევრები ნესტორის მოსვლას „ღვთის წყალობად“ მიიჩნევდნენ. ქმარშვილისა და ოჯახის მოყვარული ნინო ნესტორს დებულობდა როგორც „ნათესავს, ნათლიას, ოჯახის მოკეთეს, რომლისათვის იგი ვალდებული იყო პატივი ეცა“.

ნესტორი ბევრს ცდილობდა „ნინოს აღერსიანსა და შავ თვალებში, თეთრსა და ლამაზ სახეზე“ ამოეკითხა ის, რაც მის პირუტყველ გრძნობას ესაქიროებოდა, მაგრამ ამაოდ. ქალს „ვარდისფერ კოკობ ტუჩებთან მუდამ ზრდილობიანი, ტკბილი სიტყვა-პასუხი სწყდებოდა“. ამიტომ ნესტორმა ნინოს თავისი გრძნობები წერილით გაუმხილანინო სასტიკად გააბრაზა ნესტორის საქციელმა: „უსეინდისო!“ — იმეორებდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც ლოყები ჯავრისა და სირცხვილისაგან ცეცხლივით ანთებოდა, ხელები თავისთავად ეკუმშებოდნენ და თვალები მრისხანედ უელავდნენ.

„რავა იფიქრა ავი საშინელი, იმ ღვთის პირიდან ვადავარდნილმა, რავა? მირონი აღარ სწამს იმ ურჯულოს მაინც, მირონი? მაგიც რომ არ იყოს, მე, მე დათიკას ვუღალატებდი! დათიკას? ქვეყანაზე რომ მისი ფასი არაფერი მყავს!“.

გათავებდებულმა ნესტორმა დრო იხელთა, ნინოს გზაში გადაუდგა და ყელზე აკოცა. თავზარდაცემულ ქალს უნდოდა ქმრისათვის ეთქვა ყველაფერი, მაგრამ ღელამთილმა, რომელმაც იცოდა შვილის ფიცხი ხასიათი, რძლის წინაშე მუხლი მოიხარა და შეეცვდრა, რომ დათიკასათვის არაფერი ეთქვა.

დ. ერისთავი მკითხველის ყურადღებას კიდევ ძაბავს. ნესტორ უქმიაშვილი ნინოს ტყის პირად, ძროხის ძეხნის დროს, შეასწრებს და ნაშუსს ახდის. ბევრი ეხვეწა, ევედრა ნინო გამხეცებულ ნესტორს „ნუ მღუპავ... ნუ ჩადგები ჩემი ქმარ-შვილის ცოდვაში“, მაგრამ ამაოდ.

თავმოყვარე დათიკა გორდელაძის ნასროლი ტყვია სწორედ მაშინ გაუგმირავს გულს ნესტორ უქმიაშვილს, როდესაც იგი როხაძის დუქანში თავის ქმაბიკებს ჩადენილ „სამამირო საქმეებს“ უყვებოდა.

დ. ერისთავის მოთხრობის „ვისი ბრალიას“ შინაარსზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ მწერლის შემოქმედებაში იგი ყველაზე მთავარ ადგილს იჭერს. ვკითხულობთ მოთხრობას და თვალწინ გვიდგას ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა გმირები — ქრისტინე, იასონ უქმაძე, სიმონა, დავით დროიძე, მოსე მწერალი და სხვები. „ვისი ბრალიაში“ დახატული მედუქნე გაბრიელ როხაძე, სოფლის წურბელა, იმავე გზით მდიდრდება, როგორც დავით დროიძე გამდიდრდა. დ. ერისთავი ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების დიდ გავლენას განიცდის.

მოთხრობაში ასევე საყურადღებო ტიპია სოფლის მწერალი არსენ მელაძე, რომელსაც „მამასახლის-ნაცვლიდან დაწყებული, სამმართველო-სასამართლომდე“ ხელში ჰყავს ჩაქერილი და სოფლის ყრილობას თავის ჭკუაზე ატრიალებს. არსენ მელაძე გაბრიელ

ეროვნული
საბჭოების
საგარეო
კავშირების
მინისტრის
სამსახურის
სამსახური

როსხაძის ახლო მეგობარია, რადგან გაბრიელი ყოველ ბნელ საქმეს „ნეუსტოიკებსა“ და ყალბ თამასუქებს მელაძის მეშვეობით ადგენს.

როგორც ვხედავთ, დ. ერისთავი მშვენივრად იცნობდა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრებას, რომელშიაც მან ბევრი ახალი და საინტერესო ტიპი შენიშნა. იოსებ გრიშაშვილის სიტყვებით, „გურიაში დაბადებულ ბელეტრისტთა შორის... დ. ერისთავი გამოირჩევა ახალი პერსონაჟების გამოყვანით. იგი თითქმის ყოველ მოთხრობაში მწვავედ აშუქებს სოციალური უკუღმართობის ამბებს“. (ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ. გვ. 375).

დ. ერისთავი ლექსებისა და პიესების ავტორიც იყო, მაგრამ, დაიკარგა გადაწერილი და დასაბეჭდად გამოზადებული მისი ორი პიესა, ასეთივე ბედი ეწია ახალგაზრდობის-დროინდელ ლექსებსა და მოთხრობებს.

აღნიშნულის გამო 1964 წელს გაზეთ „ლენინის დროშაში“ საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა ტიტე დლოტმა: „1918 წლის 9 აპრილს ქ. ოზურგეთი თურქეთის ჯარის ნაწილებმა დაიპყრეს. ეს შემოჭრა ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ქალაქ-სასაფლაო ვერ მოასწრო გასვლა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა აგრეთვე დიმიტრი ერისთავიც.“

როცა ქალაქში რბევა და ძარცვა დაიწყო; დ. ერისთავმა გარნიზონის უფროსს მიმართა თხოვნით, რომ საჭირო ზომები მიეღო მოთარეშეთა წინააღმდეგ.

ნაწილობრივ მაინც გასჭრა ამ ღონისძიებამ. სხვათა შორის დარბევას გადაურჩა ქალაქის აფთიაქი, რომელსაც სამხედრო კომენდანტის განკარგულებით ჯარისკაცები მიუყენეს მცველებად.

მტაცებლებმა პირველ დღესვე აიკლეს სამხედრო ჰოსპიტალი, დაიტაცეს თეოტრეული, სურათი, წამლები, შესახვევი მასალა, ქირურგიული ხელსაწყოები. ზოგი რამ იმ ქონებიდან, კერძოდ — ძვირფასი ქირურგიული ინსტრუმენტების რამდენიმე კომპლექტი დ. ერისთავმა შეისყიდა მტაცებლებისაგან და ქალაქის განთავისუფლების შემდეგ უსასყიდლოდ დაუბრუნა ჰოსპიტალს, რომლის მოწმე პირადად გახლდით, რადგან მანინ სამხედრო ფერშლად ვმუშაობდი ხსენებულ ჰოსპიტალში“.

მწერლის პირადი არქივიდან შემორჩა რამდენიმე ორიგინალური და თარგმნილი ლექსი, გულწრფელი განცდებითაა დაწერილი ლექსი „ჩემი სოფელი“, სადაც ავტორი წარმოგვიდგენს თავისი სოფლის — გორა-ბერეკოულის მომხიბვლელ პეიზაჟს.

ლამაზ სანახავს წარმოადგენს ჩემი სოფელი,
მწვანით, ყვავილით შემკულია მისი ტყე-ვენი,
სამხრეთით დასცქერს თოვლიანი აჭარის მთები,
ფიჭვით, ნაძვნარით ხავსე არის მისი კალთები.
ძირს გაშლილ ველზე რბის გუმბათი გუბაზოული
შოუსვენარი, შფოთიანი, ქაფად ქცეული...

ბუნებასთან დაკავშირებული განწყობილება ნაზ ლირიკულ ფერებშია გამოხატული ლექსში „შაშვი“, რომელშიაც პოეტი წარმოგვიდგენს გაზაფხულის მომხიბვლელ სურათს, ამწვანებულ და აყვავებულ მთა-ბარს და შაშვის დამატკობებელ გალობას. ლექსის ყოველ სტროფში კარგად მოჩანს ავტორის სულიერი დამოკიდებულება აწმყოსთან, დანადგლიანებულ-დასევდიანებული პოეტი მგალობელ ფრინველს ასე მიმართავს:

იმღერე ჩიტო, მშვენიერო, უცნაურს მანგვ,
ნეტავ ვიცოდე ლაპარაკობ შენ რა საგანზე?

და ვის მიუძღვნი ნაღვლიანსა შენსა გალობას,
ვინ გყავს საქებრად, სააღერსოდ, გთხოვთ, ამის თხორობას?



სევდით შეპყრობილ პოეტს მგალობელი შაშვი სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება, რადგან ქვეყნად მტრობა, შური და ჩაგვრა გამეფებულა. პოეტს თვალწინ წარმოუდგება ძველი დიდების — დავით აღმაშენებლის, თამარისა და სულემნათი შოთას დრო, როცა მისი სამშობლო ქვეყნის კილით-კიდემდე ძლევამოსილი იყო.

ეგებ წარსულსა, დიდებულსა დროს შენატროდე!
მშობელი ქვეყნის ძვირფას შვილთა მოიგონებდე,
დავითს, თამარსა, შოთას უკვდავს ქებით აპოზებდე,
დღეს დამცირებულს მათ სამეფოს ღმერთს ავედრებდე.

უკუღმართ სოციალურ წყობას ვერ გაუტენია პოეტის სული, მას ღრმად სწამს მომავალი, ხალხის თავისუფლება:

ან თუ დასტირი ჩვენს ცხოვრებას, წამხდარს, დაცემულს,
გაუტანლობას, შურს, შტრობას დღეს გამეფებულს?
ეგებ ვედრიდე ღმერთს ხალხისა გამოფხიზლებას
და სიყვარულის ურთერთ შორის მუნ დამყარებას.
ვინ იცის რაებს არ ტიტინებ ჩიტო ღამაშო!
უფიფელ ნისკარტავ, ტან გიშერო, მარღო და ნაშო,
იმდრე ჩიტო, აბა, მოდის კიდეც ზაფხული,
გაინვარდე ველ-მინდორსა, დაატბე გული.

გარდა მოტანილი ლექსებისა, დ. ერისთავის პოეტური შემოქმედებიდან შეიძლება დავასახელოთ „გილოცავ დაბადების დღეს“, „ილია კუპავაძე“, „კენიანა ნინო ორბელიანს“, „აკაკი წერეთელს“, „მოგონება“, რომელთაგან ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსი „აკაკი წერეთელს“. ლექსები დაწერილია 1881-1887 წლებში, შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისში და მხატვრული თვალსაზრისით არც თუ ისე ძლიერია.

დ. ერისთავს კალამი თარგმანშიც უცდია, უთარგმნია პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ჟუკოვსკის, პლეშჩევსა და მინაევის ლექსები, რუსი პოეტების ნაწარმოებებიდან გადმოკეთებული აქვს ორი რომანისი და რამდენიმე ლირიკული ლექსი.

ქ. მახარაძის მუზეუმში ნახეს დ. ერისთავის „შემოდგომის ჰანგები“. ჩვენ მთლიანად მოგვაქვს ეს ნაწარმოები, რომელშიაც მწერლის მხატვრული შესაძლებლობა და ოპტიმიზმი მოჩანს.

„ჩამავალი მზის ნაწი სხივები რაღაც სევდიანი, დაფიქრებულის ღიმილით ხალხს გამოხატოვრად უძღვნიან სოფელს... ჩაყვითლებული ფოთოლი ხეზე ოქროსფრად ბრწყინავს მზის უკანასკნელ შემოსხედაზე. ცქმუტავს, კანკალებს, შესაბრალობად შემოდგომის ცივი ნიავის შემობერვაზე და ღონეშიზლით ტოტებს შორდება და ტრიალითა ტოლ-ამხანაგათა ლეშთა გროვას შეუერთდება. კვდება ისიცა, როგორც სხეები ღებვა, იხრწნება, სიკვდილი ხარობს, ზეიმსა იხდის, რომ გაიშარჯვა.

შესდექ, ნუ ჩქარობ სიცოცხლის მტერო, შენს გახრწნილ და მყარად სარეცელზედ დახე, რა სწრაფად იწრდება თესლი, იკეთებს ძირებს მძლავრს, გადახლართულს, რომ გამოახრჩოს საზიზღარი ბრქვალები შენი... რომ სიკვდილისა სარეცლიდან სიცოცხლემ მძლავრად გაინვარდოს.

არც მე მაშინებს შენი მუქარა, შენი უკბილო ღრქვა-სიცილი, სული უკვდავი მარად იცოცხლენს, დაისადგურებს სამარადისოდ შთამომავალის გონება-გულში, ვით მოგონება

კეთილ საქმეთა, კეთილ ზრახვათა... ჩემი არსების უხრწნელი წილი დაისადგურებს ჩემსა საფლავზე აღმოცენებულ კოკორ-ვარდებში... და ამ ვარდებსა ნობათად მოსწყვეტს ურმაი მიჯნური და უძღვნის სატრფოს, რომ მისი სურნელით დასტკბეს, დაცაბნდეს... სიცოცხლის თესლმა კვლავ შვას სიცოცხლედ დაუსაბამო“.

დ. ერისთავის მოთხრობები, თავისი დროის მიხედვით, თემატიკურად აქტუალურია. ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი ალ. ხახანაშვილი დ. ერისთავის შემოქმედების შესახებ წერდა: „ყველა ეს მოთხრობები, თუმცა ცოტა მკრთალად და ჩაუღრმავებლობით, გვისურათებენ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ და ზნეობრივ მდგომარეობას!“.

დ. ერისთავის ყველა მოთხრობასა და ეტიუდს სიმართლისა და ჰუმანიზმის ბეჭედი აზის. ავტორმა ამაღლებული, გასპეტაკებული გრძნობითა და ისტორიული სიმართლით დახატა ჩვენი ქვეყნის რევოლუციამდელი სინამდვილე და ბურჟუაზიული ყოფის მანკიერებანი.

დ. ერისთავის მთელი შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მშრომელი ხალხის სიყვარულით იყო გამთბარი. მკაცრი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის პირობებში დ. ერისთავმა ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობა იცისრა და თავისი დაუღალავი შრომით ეს მოვალეობა დირსეულადაც შეასრულა.



ალექსანდრე გოგორონიძე

დიდი და მძიმე პალი

ილიას მრავალფეროვან მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზნეობისა და ზნეობრივი აღზრდის იდეას, რომელშიც ნათლად წარმოჩნდება თვით ამ ბუნებრივად აღამიანის მორალური კრედიტი.

ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი მრწამსი, ცხადია, მის მსოფლმხედველობაზეა აგებული. ილიას აღამიანის დანიშნულებად მიიჩნია უცეთესი მერმისისათვის ბრძოლა, მოქმედება, საქმიანობა. ამის გარეშე აღამიანი ცხოვრების ტალღას ვერ გაუმკლავდება: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს ამ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ამ ტალღამ. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამ სვლაში შემოიბერტყავს ხოლმე დროების მტკერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავისი ჭკუის სხივებით გზასა“. (ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ. ტ. 3, გვ. 57).

ეს სიტყვები მთლიანად ვრცელდება მათ ავტორზე. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა, რაც დრო გავა, დავრწმუნდებით, რომ ილია გენიოსი იყო. დიას, ეს ასეა. იგი ჩვეულებრივ მოკვდავზე უფრო შორს იხედებოდა, უფრო ღრმად წვდებოდა, უფრო სწორად წყვეტდა ჩვენი ერის საჭირობოროტო საკითხებს. ამიტომ იყო მას „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ უწოდებდნენ. იგი ჭეშმარიტად ბელადი იყო ქართველი ხალხისა.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სჯეროდა მშრომელი ხალხისა, მისი შინაგანი პოტენციური ძალისა და შესაძლებლობისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებდა მას. მწერალმა იცოდა, რომ ისტორიას ხალხი ქმნის. ილია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჩვენი ერის ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ხალხი ჩრდილშია მოქცეული. იგი თავის კალამს ხალხის ამოქმედების, გააქტიურებისაკენ მიმართავდა. ილიას ზნეობრივი მრწამსით, ნამდვილი ზნეობა მოქმედებაში, ქმნალობაშია და არა უსაქმურობაში. ეს კარგად არის გამოხატული მოთხრობაში „კაცია აღამიანი?!“

ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ სოფელი (ე. ი. ქვეყანა) ტაძარი კი არ არის, რომელიც უნდა ღოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა შრომობდეს და ირგებოდეს. აღამიანი, რომელიც ბოროტებას არ სჩადის, მაგრამ არც ებრძვის მას, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება — ასეთია ილიას ზნეობრივი კრედიტი.

დაუშთავრებელ მოთხრობაში „მარგალიტი ლექსში“ ილია გმობს „უქმობას, ფართი-ფურობას, ქარაფშუტობასა და ყველაზე მეტად მავნებელს — სხვისით ცხოვრებას“. აქ ილია ცდილობს ფსიქოლოგიური ახსნა მისცეს ასეთ დამოკიდებულებას შრომისადმი.

იგი წერს: „შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბობას კი კაცის ბუნება ეტანება“. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრნობათა ბრძოლაში მხრივ იბრძვის შრომის სიძულვილი, მეორეს მხრე სიამოვნების სიძულვილი. ასეთი რთული ზნეობრივი პრობლემა წამოჭრა ილიამ. ამ დებულებას მწერალი უპირისპირება მეორეს: „არა, შრომა — ცხოვრებაა. მაგრამ ამ თუხის მეორე მხარე გაუჩნდა, იგი ამტკიცებს, რომ „შრომა კაცის ბუნებას სძულს. ეს სიძულვილი ისეთი ძლიერია, რომ ...კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ელეჭხა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესავსებად“. თითქმის ჯადოსნური წრე შეიკრაო, მაგრამ ილია პოულობს გამოსავალს: ...ადამიანს უყვარს სიამოვნება, წერს იგი, მისთვის იბრძვის, შრომასაც ამიტომ კისრულობს. „მაგრამ ეს სიამოვნება“ უნდა კაცობრიული იყოს, აზრითა და ზნეობით სავსე“. ნაგულისხმევია უმაღლესი სიამოვნება, როგორც „ზრუნვა მოყვასისათვის, მოქმედება სხვისი კეთილდღეობისათვის, შველა ქვეყნიერების ფეხის წინ წადგამაში“ და არა პირადი განცხრობა. აი ილიას ზნეობრივი კრედი.

ამასთან შრომაც არის და შრომაც. ილიას მიაჩნია, რომ შრომა ადამიანს უნდა აღადგინებოდეს, რაიმე კეთილ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: „მხოლოდ მაშინ კაცი შეიკვებება შრომასა და ბუნებით სიძულვილს მოსპობს, როცა იგი მიიღწევიანებს ხოლმე დიდ სავანადინა. საქმე სავანია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უდიდესი სიამოვნება“. ე. ი. შრომას უნდა ჰქონდეს, ილიას აზრით, ნათელი მიზანი, იგი საზოგადოებისათვის სასარგებლო უნდა იყოს. „ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნებოდა“. თუ შრომას სანატრელი სავანი გააჩნია, მაშინ ის ხალისიანია, ადამიანს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. „თუ ადამიანს მიეცა დიდის კაცობრივის სავანის მოპოვების სურვილი, ეს უკანასკნელი შრომას შეაყვარებს, როგორადაც არ უნდა სძულდეს. ისტორიაში გამოჩენილი ადამიანები იმიტომ იღვწოდენ ასე საოცრად, იმიტომ ლევდენ თავიანთ ძალ-ღონეს შრომასა და ჯაფაში, რომ მათ ეს კაცობრიული სავანი (მამასადაქე მიზანი) ჰქონდათ“. ილია თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის იდეებს ქადაგებს და მას სჯერა, რომ „შრომის სუფევა მოვა“ („აწრდილი“). ილიამ დიდი მხატვრული ოსტატობით დაგვიხატა მშრომელი ადამიანის იდეალი ოთარაანთ ქვრივის სახით. იგი იყო მწვენი, გამრჩე, გაუტეხელი, უაღრესად ადამიანური, კაცთმოყვარე და ვამეითხავი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მისი პირდაპირი, „პილიბილმოყრილი მადლი“ შეიძლება უკიდურესობამდე მიდიოდეს, მაგრამ ამით ის საქმეს ზიანს როდი აყენებდა. „ტკბილი სიტყვა რა არისო — იტყოდა ხოლმე: ამ გამწარებულ წუთისოფელში ტკბილი რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა. თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოფხანს. გულის ფხანა რაღა დარღუბაღა, ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულსა და ფხანაც საჭირო არ იქნება... თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოგგვარის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუტე, ისე გაგთვლავს, როგორც დიდოფელი ლეკი ნაბადსა“.

ილიას უდიდესი დამსახურებაა, რომ ზნეობრივი პრობლემების განხილვის დროს გვერდი არ აუარა ზნეობრივი გრძნობის სათუთ მხარეებსაც. აი, თუნდაც ოთარაანთ ქვრივის გიორგი — მართალი, პირდაპირი, შეუპოვარი, სუსტის ქომაგი. არის სხვა გრძნობა — სიყვარული, რომელსაც გაუტეხელი და შეუპოვარი ახალგაზრდა ვერ გაუმკლავდა.

ადამიანი უნდა ამაღლდეს თავისთავზე, შეიგნოს თავისი დანიშნულება, სრულყოფს თავისი თავი. ამ მორალიდან გამომდინარე ფაქტებს ილია ჰკავშირებს მხატვრულ ქმნილებებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა. ოთარაანთ ქვრივს ძალიან უყვარდა თავისი შვილი, უყვარდა როგორც ნამდვილ დედას, მაგრამ ეს სიყვარული მას არასოდეს

გაუქმდებოდა შვილისათვის. არასოდეს, — ამბობს ილია — არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი ტუქსავდაო. გორგოლა რომელიც სხვისაგან თავზე ფრინველსაც არ ვადაიდრენდა და ფეხქვეშ ჭინჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა. „მართალიაო და იმიტომაო, — იტყოდა ხალხე თავისთვის გიორგი — ბრალი ჩემია და ტუქსავც ჩემზედ ახიაო“.

ასე ჩამოყალიბდა გიორგის ხასიათი, მაგრამ ეს თავისთავად არ მომხდარა. ილია გვაჩვენებს, რომ ვადამწყვეტი როლი გიორგის ზნეობრივ ფორმირებაში შეასრულა აღზრდამ, დედის მავალითმა. მწერალს მიაჩნია, რომ იმაზე დიდი საქმე არა უნდა იყოს რა, ვიდრე მომავალი თაობის აღზრდა. 1882 წელს „ივერიის“ შინაურ მიმოხილვაში, როცა ახასიათებს ახალ თაობას, აღნიშნავს, „მისკენ მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება“ და მას „ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ე. ი. ჩვენი მომავალი“. მას ადამიანის სრულყოფის არსებით ნიშნად მიაჩნდა ინტელექტისა და ზნეობის შერწყმა: „სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, წერს რვი, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაც“.

საგულისხმოა ილიას აზრი იმის შესახებ, რომ საქმარისი არ არის კაცი მეცნიერი იყოს და სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაიკაცობის შემძლეობაც ჰქონდეს. „ეს კაიკაცობა და კაიკაცობის შემძლეობაც მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“.

ჩაუფიქრებელი ამ უკანასკნელ დებულებას. იგი მრავლისმეტყველია. როგორც გ. თავზიშვილი აღნიშნავს, ილია ჰვაკვაძე ადამიანის სწავლა-განათლებაში ზნეობრივ აღზრდასაც გულისხმობს.

ცხადია, სრულქმნილობა ადამიანისა მაშინაა, თუ ზნეობა და გონების განვითარება შერწყმულია, მაგრამ განა ერთ სიბრტყეზე აყენებს ილია ამ ცნებებს? — არა. იგი აშკარა უპირატესობას აკუთვნებს ზნეობას. ამიტომ ამბობს, რომ კაიკაცობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანსო. უდავოა, ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებაში განათლებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იგი ვადამწყვეტი მანც არ არის, მთავარი ცხოვრებაა. ილიას მიაჩნდა, რომ ზნეობრივი განვითარება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელითი მუშაობით (მისი სიტყვებით — წვრთნით) გონებრივი განათლება კი — სწავლით. „წვრთნა სხვაა და სწავლა სხვა, — წერს ილია. — ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა, წვრთნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“.

რას გულისხმობს ილია „ზნე-ხასიათში?“ იგი ამ ცნებაში კონკრეტულ შინაარსს დებს, კერძოდ: „ქვეყნის სასარგებლო ღონე-ხერხს, შრომის სურვილს, შეუდრეკელობას ყოველივე სიძნელეთა წინაშე, უშიშრობას, მტკიცე ნებისყოფას, ჰუმანურ კაცთმოყვარეობას და სამართლიანობის გრძობას“. ილიას განმარტებით, „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილება და ყოველივე ეს სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თითოეული ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხლებელი“... ილია ჰვაკვაძე მხოლოდ ქვეყნის სასარგებლო „ზნეობრივ თვისებათა“ შენახვასა და პატივისცემას მოითხოვს, ხოლო როცა „ცხადი, უცოდლო, უტყუარი საბუთი გვექნება, რომ „ადამიანი მაკუთვნილებას სხვის საწინააღმდეგო ხმარობს, — მაშინ საზოგადოებას შეუძლია მისი დარღვევა და ამაში არაფერი ანტი-მორალური არ იქნება“.

როგორც ვხედავთ, ილია მორალის გაგებასა და დანიშნულების საკითხში საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამოდის და ცალკე ინდივიდის პირად ეთიკას საზოგადოებ-

რევი ეთიკის თვალსაზრისით ხსნის. იგი საზოგადოებრივი მორალისადმი პირადის შეთავსებას, დამორჩილებას მოითხოვს.

ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი შეხედულებების ერთ საუბრანლო წერილში მოქცევა ყოვლად შეუძლებელია. აქ მხოლოდ მოკლედ შეეჩერდებით ილიას რჩევა-დარიგებაზე იმის შესახებ, თუ ახალგაზრდობაში როგორ უნდა მოეწყოს ზნეობის ჩანერგვა.

მწერალი ზნეობრივ აღზრდაში გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა კარგი ქცევის მაგალითს; ეს მაგალითი, პირველ ყოვლისა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს აღმზრდელმა, მასწავლებელმა, მშობელმა. შრომაში „პედაგოგის საფუძვლები“ ილიას მოტანილი აქვს მასწავლებლის ზნეობრივი ქცევის, ტაქტის საუბრანლო მაგალითი: ახალგაზრდა კაცმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დანიშნეს მასწავლებლად... აი, ის პირველად შევიდა მოწაფეებთან და დაიწყო გაკვეთილი. მიბრუნდა დაფისკენ და რაღაცას წერს. ამ დროს რომელიმე მოწაფემ დაღეპილი ქაღალდი მოახვედრა დაფას. მასწავლებელი მაშინვე არ გამოეხმაურა ამ უღიერ საქციელს. დაამთავრა დაფაზე წერა და შემდეგი სიტყვებით მიმართა მოწაფეებს: „მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს შეურაცხყოფაში. რა საჭიროა, დეე განიკითხოს ის იმისავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის შეურაცხყოფელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი... სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოცვლა საპედაგოგო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმოყოფედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკიდურესის ცელქობის მომქმედი. დამნაშავეის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ, — იქნება გულში მისი ჯავრი ჩავიყოლო და ჯავრმა ცოტა თუ ბევრად იმაზე უკეთილ ამყარებისა“.

მასწავლებლის ამ სიტყვების შემდეგ, როგორც ილია გადმოგვცემს, მოწაფეებში ჩოჩქოლი ატყდა. ერთი მოწაფე ადგა და თავისი ამხანაგების სახელით მასწავლებელს მიმართა: „ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაბატოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთი ჩვენგანისა“. ამის შემდეგ მასწავლებელი, რომელმაც მართლაც აბატია მოსწავლეებს, ყველა მოწაფისათვის საყვარელი შეიქმნა. ილია დაასკვნის: „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირობა გრამატიკისა“.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულება, მისი ზნეობრივი მრწამსი, მასწავლებლის წამყვანი როლი ბავშვის გაადამიანებაში კარგად არის ნაჩვენები დაუმთავრებელ მოთხრობაში „უცნაური ამბავი“. აქ ის აზრია გატარებული, რომ მასწავლებლობა „ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედი, რასაც ერთი მიჰმადლებს (შემოქმედი) მეორემ (აღმზრდელმა — ა. გ.) უნდა წვრთნას და ჰზარდოს... დიდი ვაბედვა კი უნდა რომ ეს საქმე კაცმა თავს იდოს“. ეს ჭეშმარიტება ყველამ ღრმად უნდა შეითვისოს, ვინც აპირებს მასწავლებლობას, ან მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე.

„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, აგრძელებს ილია, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ... ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა-სწავლებაში“. მასწავლებელი მოვალეა ყოველმხრივ ღრმად შეისწავლოს ბავშვი, ნახოს მასთან საერთო ენა. ეს პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე უნდა შესძლოს მასწავლებელმა, ავტორიტეტი მან იმთავითვე უნდა მოიხვეჭოს,

ეჭვი არ არის, დიდი მწერლისა მოახლოებული იუბილე კვლავ გააღვიძებს ანტერესს ილიას რჩევა-დარიგებებისადმი აღზრდისა და სწავლების, მომავალი თაობის ზნეობრივი წრთობის საკითხებზე.

ივოლდა ზიჰინაძე-გვენცაძე

სხალთის ეკლესიის მოხატულობა

აჭარა... მრავალჭირნახული ქართული მიწა, რომელმაც დღევანდლობამდე მოიტანა ქართველი კაცის მარჯვენით შექმნილი კულტურის მრავალი ძეგლი-ციხეები, ხიდები, ეკლესიები, რელიეფური კვეთის ნიმუშები, ჰედური ხელოვნების ძეგლები.

შუა საუკუნეების აჭარის სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს ხიზანისა და გონიოს ციხეების დღესაც ამაყად ამართული სილუეტები, სხალთისა და ვერნების ეკლესიების ნანგრევები, დანდალოსა და ცხმორისის დღესაც მოქმედი ხიდები.

დღეისათვის სხალთის ეკლესია შუა საუკუნეების აჭარის საკულტო ნაგებობებიდან ყველაზე უფრო კარგად შემონახული ძეგლია.

ისტორიულად აჭარასა და არტანს შორის უმოკლესი გზა მდინარე სხალთის ხეობაზე გადიოდა. არქეოლოგიური ძეგლებით დასტურდება, რომ სხალთის წყლის ხეობა დაწინაურებული ყოფილა XI-XIV საუკუნეებში, ამ გზის პირას მდებარე სხალთა, საგარაუღოა, დიდი და ძლიერი სოფელი იქნებოდა. უფრო გვიან XIX საუკუნეში, სხალთის ძველი სოფლის ნანგრევების ადგილას შემორჩენილი იყო მხოლოდ ეკლესია და შერიფ ხიმშიაშვილის (ზემო აჭარის გამგებლის) სასახლე.

სხალთის ეკლესია მოხსენებულია გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაშის, პ. უვაროვას, თ. კლიუგის შრომებში, იგი შეტანილია ნ. სევეროვის ალბომში.

სხალთის ეკლესიის არქიტექტურის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს რ. მეფისაშვილს.

ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებების გამოვლენით, ეკლესიის შიდა სივრცისა და ფასადების შედარებითი მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზის მეშვეობით, ეკლესიის დეკორატიული შემკულობის თანმიმდევრული განხილვით, რ. მეფისაშვილი განსაზღვრავს სხალთის ეკლესიის აგების თარიღად XIII ს. შუა ხანებს.

მდინარე სხალთის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის ოდნავ მოვაკებულ ადგილას, თლილი ქვით ნაგები კარგა მოზრდილი ეკლესია დგას. დიდი ეკლესიის სამხრეთით ნანგრევებია, რომელიც, საგარაუღოა, მცირე ეკლესია იყო.

სხალთის ეკლესია დიდი ზომის დარბაზული ნაგებობაა, აღმოსავლეთის მხარეზე შეიღწახნაგოვანი შევრილი აფსიდით. სამხრეთით თაღოვანი კარიბჭეა, ხოლო დასავლეთის მხარეზე არსებული კარიბჭესაგან მხოლოდ კვალია შემორჩენილი. მცირე მინაშენი მდგარა ჩრდილოეთის მხარეზეც. სხალთის ეკლესიის კედლები მრავალ ადღგენათა კვალს ატარებს, მაგრამ ძველი ჩვენამდე ძირითადად თავდაპირველი სახითაა მოღწეული.

სხალთის ეკლესიის ფასადები რუხი-მონაცრისფრო ქვიშა-ქვის სუფთად გათლილი კვადრებითაა შემოსილი, ზოგიერთი ნაწილი — განსაკუთრებით სარკმლები, — მორთულია ჩუქურთმით. ინტერიერი, ისევე როგორც ფასადები, სუფთად გათლილი რუხი-

მონაცრისფრო ქვითაა მოპირკეთებული, ქვის დამუშავება ფაქიზი და ოსტატურად დასრულებულია მძალი ორქანობიანი სახურავით. აფსიდის გააჩნია დამოუკიდებელი უფრო დაბალი კონუსური გადახურვა; ასევე დამოუკიდებლად არის გადახურული მინამეხის სამხრეთის მხარეზე. ეკლესია აღმართულია ორსაფეხურიან პოსტამენტზე. კედლებს რთული პროფილირებული კარნიზი აგვირგვინებს.

სხალთის ეკლესიის ფასადების კომპოზიცია მარტვი და მკაფითა. ფასადების დიდი გლუვი სიბრტყეები მხოლოდ კარსარკმელების მოჩუქურთმებულ სპირეებითაა მორთული, რაც საზეიმო ხასიათს ანიჭებს მთელ ნაგებობას;

ფართო შიდა სივრცის აღქმაში მძალი პილასტრები, კამარის მძლავრ ენერგიულ საბრჯენ თაღებთან ერთად, ყველაზე აქტიურად მოქმედი ელემენტებია. ცხოველხატული ეფექტების შექმნას ხელს უწყობს კედლის ღრმა თაღოვანი ნიშებიც. ვანიერი და მძალი აფსიდა, გამოყოფილი დანარჩენი სივრცისაგან, კონქის ხაზგასმული სიმძლვე— მთელ სივრცეს სიმსუბუქესა და გრანდიოზულობას ანიჭებს.

ინტერიერი თანაბრად არის განათებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამსამი სარკმლით, ჩრდილოეთის ერთი და სამხრეთის კედლების ორი სარკმლით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ნიშებში გაჭრილი პატარა მრგვალი სარკმლები ხელს უწყობს შუქის თანაბარ განაწილებას მთელ სივრცეში.

სხალთის ეკლესიის ერთ მნიშვნელოვან კონსტრუქციულ თავისებურებას წარმოადგენს შეიღწახნაგოვანი შვერილი აფსიდა, რომელიც ართულვებს სწორკუთხა დარბაზის ფორმის და არსებითად ცვლის არქიტექტურული ფორმების პროპორციულ თანაფარდობას. ძველის გარეგანი სახის აღქმაში ეს წახანაგოვანი აფსიდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სხალთის ეკლესიის ინტერიერის გაფორმებისადმი ხუროთმოძღვრული მიდგომის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ოსტატი შიდა კედლების მოსაპირკეთებლად იყენებს თლილ ქვას, რითაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ინტერიერის თლილი ქვით შემოკობა ისევე მნიშვნელოვანია მასთვის, როგორც ფასადებისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თლილი ქვით კედლების მოპირკეთება, ისევე როგორც მთელი სივრცის აღნაგობა, მოწმობს, რომ სხალთის ეკლესია აგებულია კედლის მხატვრობისათვის საგანგებო ანგარიშის გაუწევლად. სხალთის ეკლესიის ინტერიერის კედლის მხატვრობით შორთვა თავიდანვე რომ არ იყო გათვალისწინებული, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: კედლის მხატვრობამ შემდგომში დაფარა ინტერიერში სხვადასხვა ადგილზე რელიეფური კვეთით დამუშავებული ადგილები.

სხალთის ეკლესიის მხატვრობის უმეტესი ნაწილი განადგურებული და საბოლოოდ დაღუპულია. აღარ არსებობს თვით ბათქაშიც კი, რომელზედაც მოხატულობა იყო. კედლის მხატვრობის ფრაგმენტები შემორჩენილია მხოლოდ თაღებში, აფსიდის ქვედა რეგისტრში, დასავლეთის კარის თაღში. სავარაუდოა, რომ კედლის მხატვრობა ამკობდა მთლიანად ინტერიერს, კარებისა და სარკმელების ნიშებსაც კი, ამაზე მიუთითებს ნიშებში შემორჩენილი ფერადოვანი ლაქები. მოხატულობა ამკობდა სამხრეთის კარიბჭესაც. ნ. უვაროვას მოგზაურობის დროს მოხატულობა, როგორც ჩანს, უკეთ იყო დაცული, რადგან მკვლევარი ჩამოთვლის ოცამდე კომპოზიციას, დღეისათვის კი დაბეჯითებით ათამდე კომპოზიციის გამოცნობა თუ შეიძლება.

იმის გამო, რომ სხალთის ეკლესიის მოხატულობა ფრაგმენტულია, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, ვარაუდიც კი გამოვთქვათ მისი იკონოგრაფიული და თეოლოგიური პროგრამის შესახებ, რამდენადმე შეგვიძლია მსჯელობა საერთო კომპოზიციური

აგების, ზოგიერთი სცენის იკონოგრაფიული რედაქციისა და სტილისტიკური თაობაზე.

შუა საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში აფსიდის მოხატულობა XIV საუკუნეშიც ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას მოხატულობის მთელ ანსამბლში და ორ ან სამ რეგისტრად მოხატულობის განაწილება აფსიდში მოხატულობას მონუმენტურ ხასიათს არ უქარგავდა. სხალთის ეკლესიის მოხატულობაში თუ კონქის მონატულობა კვლავ მონუმენტური ხასიათისაა, სამაგიეროდ, აფსიდის კედლის სიბრტყე დაქუცმაცებულია სარკმელების ირგვლივ რვა მცირე სცენის განლაგებით და ჩარჩოებში წმინდანთა ცალკეულ ფიგურათა გამოსახვით. აფსიდის ქვედა რეგისტრების მოხატულობაში ხაზგასმულია მისი დეკორატიული ხასიათი.

სხალთის ეკლესიის თაღებში მოხატულობა განლაგებულია პატარა-პატარა სცენების სახით 3-4 რეგისტრად. რეგისტრების ზომები იცვლება თაღის მოხაზულობის შესაბამისად. დიდი ჩარჩოთი შემოფარგლული სცენის ქვეშ მოთავსებულია ვიწრო წვარძელე-ბული კვადრები; არ არის რეგისტრების გამყოფი ერთიანი ჰორიზონტალური ხაზი, რაც ქმნის გარკვეულ დინამიურობას და მთელი მოხატულობის „ხალიჩისებურ“ ვაზრებას. მოხატულობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცალკეულ ფიგურათა გამოსახვას — მოციქულები აფსიდში, წინასწარმეტყველები პილასტრებზე, რომლებიც სპეციალური ჩარჩოთი არიან შემოსაზღვრული და თავისი მნიშვნელობით ფიგურულ კომპოზიციებს უტოლდებიან, ყოველივე ეს, მრავალფეროვანი რთული სახის სცენებთან ერთად, ქმნის მოხატულობის დაქუცმაცებულობას და უფრო უსვამს ხაზს მის დეკორატიულ ხასიათს.

სხალთის მოხატულობაში იკარგება მკაცრი ერთიანობა და მონუმენტურობა წინა პერიოდის მოხატულობებთან შედარებით, სწორედ ეს მომენტები პასუხობენ XIV საუკუნის ახალი პალეოლოგიური ხანის სტილისტიკურ ცვლილებებს.

ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამმიჯნავ ელემენტად სხალთის მოხატულობაში მიღებულია მოყავისფრო-წითელი ფერის მონარჩოების ვიწრო ზოლი. სწორედ ამ ზოლითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი რეგისტრები, თითოეული სცენა, ცალკეული ფიგურული გამოსახულება.

მიუხედავად იმისა, რომ სხალთის ეკლესიის ფერწერა ასე ცუდად არის დაცული, მაინც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხალთის მოხატულობაში განსაკუთრებით გამომახველი და შთამბეჭდავი იყო მისი ნათელი კოლორიტი. მოხატულობის კოლორიტი ავებულრა ოქრას, ყვითელის, მოყავისფრო-წითელის, მონაცრისფრო-ლურჯის, ცისფერის, იასამნისფერის, ვარდისფერისა და თეთრი ტონებისაგან. ფონები მონაცრისფრო-ლურჯია. ფერთა უღერადობა, იქ სადაც მათ არ შეხებია ჭვარტლი, განსაკუთრებით მუდერია და სუფთა, თუმცა ცივი. მოხატულობაში განსაკუთრებით ჭარბობს ყვითელი და ნაცრისფერი ტონები. ფერბლოვანი ლაქის დამუშავება დამატებითი ტონით და თეთრას დიდი ლაქებით გარკვეულად ფერთა სადაფისებურ ციმციმს ქმნის, რაც დამახასიათებელია პალეოლოგიური ეპოქის ფერწერისათვის (გელათის დავით ნარინის ეკლესიის მეკდერის სორის წმ. გიორგის, უბისის და სხვ. მოხატულობანი).

კონქის კომპოზიციის იდეურ და მხატვრულ ღერძს წარმოადგენდა ტახტზე მჯდომარე ქრისტეს გრანდიოზული ფიგურა, ჯვრული შარავანდით, განზე გაწეული მაკურთხებელი მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. მუდერი წითელი ჰიმნათიონი და ლურჯი ჭიტონი ძირითად ფერადოვან აქცენტს ქმნიდა და გამოჰყოფდა მას მოხატულობის მთელ ანსამბლში. ანგელოზთა ფიგურები ქრისტეს ორივე მხარეზე დდეს ოდნავ განირჩევიან. ასევე ფრაგმენტულადაა დაცული ტეტრამორფის გამოსახულება მარცხენა მხარეზე.

შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ ფერწერაში ფართო გავრცელებას იღებს

საქურთხეველის პროგრამა „დიდება უფლისა“, რომელიც ორ ძირითად ვარიანტად წარმოადგენილი: ქრისტე ანგელოზებით და „ვედრება“. ამ ტიპისადმი უპირატესობის მინიჭება საერთოდ დამახასიათებელია აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისათვის, განსხვავებით ბიზანტიურისაგან, სადაც ინტერიერის დეკორატიულ სისტემაში ღვთისმშობელს განეკუთვნებოდა ადგილი საქურთხეველს კონქში.

სხალთის მოხატულობაში იდეა „დიდება უფლისა“ გამოხატავს პოულობს ქრისტეს გამოსახვაში ანგელოზებით, ისე, როგორც მიღებული იყო ტოპ-კლარჯეთის (ოთხთა ეკლესია X ს. ბოლოს, იზხანი, ოშკი, ხახული, ტბეთი — XI ს. დასაწყისი) და სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლები (ნესგუნი, ჩუბაიანი, X-XI ს. მიჯნა), გარეჯის გამოქვაბული ეკლესიების მოხატულობაში (დოდო, საბერებები — IX-X სს). ადრეულ ძეგლებში ქრისტე ოვალურ დიდებაში იყო გამოსახული, სხალთაში იგი არ ირკვევა და შეიძლება არც იყო მოცემული.

კონქის მოხატულობა, რა თქმა უნდა, მაშინვე იპყრობდა ეკლესიაში შემსვლელის ყურადღებას თავისი მონუმენტურა კომპოზიციით და ფერადოვანი გამით. სხალთის მხატვარი უდიდეს გამოსახულებას აღწევს კონქის კომპოზიციის მხატვრულ გააზრებაში, ხაზს უსვამს მას, როგორც შინაარსით მთავარს, მოხატულობის ანსამბლში; ქრისტეს გრანდიოზული ფიგურა წარმოადგენდა არა მარტო აფსიდის, არამედ მთელი ეკლესიის მოხატულობის აზრობრივ მხატვრულ დომინანტს. ქრისტე მოცემულია როგორც სამყაროს მეუფე, ტახტზე მჯდომარე, ორივე მხარეზე საზეიმო სამოსელში გამოწყობილი ანგელოზებით, რომლებიც მის ამაღლას შეადგენენ.

საქურთხეველის კონქი ქვედა რეგისტრისაგან გამოყოფილია ორნამენტული ზოლით, რომელიც ოთხფოთლიანი ყვავილის მოტივით არის შევსებული.

საქურთხეველის სარკმლების ირგვლივ ორ რეგისტრად განლაგებული ყოფილა სახარების სცენები, რომელთა ცული დაცულობა არ იძლევა სიუჟეტების განსაზღვრის საშუალებას (რეა სცენა) სარკმლების ქვეშ მათავსებულ რეგისტრს ქმნის ლურჯ ფონზე 3/4 ბრუნით მიმართულნი ცენტრისაკენ წმინდანთა მოციქულთა ფიგურები მღვდელმთავრების სამოსელში. ორ მათგანთან გაირჩევა ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. სულ ქვემოთ აფსიდს შემოუყვება დეკორატიული ფარდა, რომელიც საფიქრებელია, რომ მთელი მოხატულობის სულ ქვედა რეგისტრს შეადგენდა და იატაკიდან გამოყოფდა მოხატულობას, როგორც ეს დამახასიათებელი იყო XIV ს. ქართული და ბიზანტიური კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის.

სამხრეთით კედლის თაღში ყველაზე უკეთ დაცულია „იერუსალიმს შესვლის“ კომპოზიცია, რომლის იკონოგრაფიული სქემა ჩვეულებრივია XIV ს. ძეგლებისათვის. ამ ხანაში ეს კომპოზიცია ატარებს ჩვეულებრივად მრავალფიგურიან სახეს: (ხალხის ჯგუფი, რომელიც გამოდის იერუსალიმის კარიბჭიდან ქრისტეს შესახვედრად, მოთამაშე ბავშვები, მოციქულები). სიუჟეტის დაზიანების გამო, არ ჩანს, იყო თუ არა ბავშვთა გამოსახულებანი, ხოლო ერი მრავალრიცხოვანი ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი კომპოზიციის მარცხენა ნაწილში, ჯორზე ამხედრებული ქრისტე შემოდის მარჯვნიდან. მოქმედება მიმდინარეობს იერუსალიმის რთულ არქიტექტურულ ფონზე.

დასავლეთის კედელი სულ ერთიანად შემქვარტლულია. აქ მოცემული უნდა ყოფილიყო „ღღე განკითხვის“ უზარმაზარი და რთული კომპოზიცია, შემორჩენილია დეკორატიული ზეგნის, ყვავილებისა და ცხოველთა გამოსახულებანი.

დასავლეთის კარის თაღში ცენტრში მოცემულია ქრისტეს მეგრადამე გამოსახულება, მაღლა აწეული მაკურთხებელი მარჯვნივ, ჯვრული შარავანდელით. 3/4 ბრუნით მისკენ მიმართულია მთელი სიმაღლით გამოსახული მარცხნიდან ღვთისმშობელი და მარჯვნიდან — იოანე ნათლისმცემელი მავედრებულ პოზაში. ღვთისმშობელს მოსაეს

ლვინისფერი მათფორიუმი და მომწვანო აგურისფერი სტოლა (რამდენადაც შეიძლება კვარტლის სქელი ფენის ქვეშ გაირკვეს). იონანეს გარედან მომწვანე ჰიმატიონი, ლვინისფერი ქიტონი აცვია. კარის თაღის დანარჩენი სივრცე სულ ერთიანად შეკვებულია თრნამენტით, რომელიც შედგება სამკუთხედებისაგან, შათში ჩაწერილი სამფურცლიანი ყვავილებით შავ ფონზე.

„ვედრების“ ამ კომპოზიციის არაჩვეულებრივი შეთანხმება კარის თაღის არქიტექტურულ თავისებურებებთან, კომპოზიციის გაწონასწორებული, ცენტრული აგება, მისი კოლორიტის დახვეწილი ხასიათი, ამ კომპოზიციას სხალთის მოხატულობის ერთერთ მნიშვნელოვან სიუჟეტად აქცევს;

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთის თაღში ფრაგმენტულადაა დაცული „ქრისტეს შობის“ დიდი და რთული კომპოზიცია „მწყემსთა თაყვანისცემითა“ და „მოგზაური მოგვებით“. ამ სცენაში განსაკუთრებული გამომსახველობითა და დინამიურობით ხასიათდება მოგზაური მოგვების ამხედრებული ფიგურები. ქართული და ბიზანტიური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო „შობისა“ და „მოგვთა თაყვანისცემის“ თემების შერწყმა ერთ კომპოზიციაში. „მოგვთა თაყვანისცემის“ თემა ჩვეულებრივია ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის, რაც შეეხება მოგვთა მოგზაურობას, იგი მხოლოდ გამოჩაყლისს სახით გვხვდება — სორის — XIV ს-ის I ნახევარი (რაჭა), გელათის წმ. გიორგის — XVI ს. ეკლესიათა მოხატულობებში.

ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ თაღში დაცულია „მირქმის“ (?) კომპოზიცია ღვთისმშობლის გამოსახულებით ცენტრში და ფიგურებით ორივე მხარეზე. ეს კომპოზიცია გვაოცებს კოლორიტის განსაკუთრებული შეგრძნებით; ნახად და სუფთად ჟღერს ღვთისმშობლის ცისფერი სტოლა და ღვინისფერი მათფორიუმი, გვერდით მდგომი ფიგურების იასამნისფერი და ცისფერი სამოსლები. ამ კომპოზიციის ქვეშ მოთავსებულია „ნათლისღება“. კარგად ირკვევა სამი ანგელოზის ფიგურა და ქრისტეს ფეხები გაწეული ქუსლებით.

ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მალში თაღის შუა რეგისტრში მოთავსებულია „ლაზარეს აღდგინების“ კომპოზიცია. ეს მთელ მოხატულობაში ყველაზე უფრო კარგად დაცული სცენაა, რომელთანაც ასომთავრული წარწერებიც კი იკითხება: ლა (ზარეს) აღდ (გინება). „ლაზარეს აღდგინება“ ხალხმრავალი კომპოზიციაა რთული არქიტექტურული და მთიანი პეიზაჟის ფონზე. მარცხნიდან შემოდის ქრისტე, რომელსაც მოჰყვება ოთხი მოციქული; ქრისტეს ფეხებთან მოთავსებულია მართას ცისფერ სამოსელიანი და მარიამის მოყავისფრო-წითელ სამოსელიანი ფიგურები. მარჯვენა კუთხეში ჩანს მსახური სარკოფაგის სახურავით. მის ზემოთ მთების იქედან იცქირებიან იუდეველები. თვათ სარკოფაგი ლაზარეს გამოსახულებით არ ირკვევა. ქრისტეს ცისფერი და იასამნისფერი სამოსელი, მოციქულთა სხვადასხვა ფერის სამოსლები ლამაზ ფერადოვან გამას ქმნიან. „ლაზარეს აღდგინების“ კომპოზიციის ამგვარი იკონოგრაფიული სქემა დამახასიათებელია XIV ს. ხელოვნებისათვის. მოციქულთა და იუდეველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ამ კომპოზიციაში სწორედ პალეოლოგთა ხელოვნებაში ჩნდება. უბირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია სივრცობრივი მომენტი: მთებს შუა მოჩანან იუდეველები, ხოლო წინა პლანზე ქრისტე, მოციქულები და ლაზარეს დები. ასეთი გაბედული მხატვრული ძიებანი დამახასიათებელია პალეოლოგიური ხელოვნების ძეგლებისათვის (ლიხნე, უბისი, ბედიი, ზარზმა, საფარის მონასტრის წმ. საბას, წალენჯიხის, კახრიე-ჯამეს, სოპოჩანის, უჩიას, გრაჩანიცას და სხვ. მოხატულობებისათვის).

პილიასტრებზე, როგორც ჩანს, მთელი სიმაღლით გამოსახული იყო წინასწარმეტყველთა ფიგურები. ფრაგმენტულად მხოლოდ დაცულია სამხრეთი კედლის დასავლეთის პილიასტრზე ოთხი წინასწარმეტყველის ფიგურა, ორნამენტულ მოჩარჩოებაში, თითოე-

ული, რომლებიც კარგადაა შეთანხმებული პილიასტრის ვიწრო მონაკვეთთან.

ორნამენტული მოტივები, რომლებიც დაცულია კარისა და სარკმლის ნიშნებში, ცნობილია XIII-XIV საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ფერწერის ძეგლებში.

ამრიგად, სხალთის ეკლესიის მოხატულობის კომპოზიციების იკონოგრაფიული სქემები ძირითადად ტრადიციულია და დამახასიათებელია XIII-XIV საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის. ამავე დროს, მას კვებავს რთული იკონოგრაფიული რედაქციები, რომლებიც მხოლოდ პალეოლოგიური ხანის ხელოვნებაში ჩნდება.

XIV საუკუნის ფერწერაში ფართო ვაგრცელებას პოულობს ახალი მიმდინარეობა, რომელიც „პალეოლოგიური აღორძინების“ სახელით არის ცნობილი. ხელოვნებაში წარმოიშვა ახალი სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კომპოზიციური აგების თავისუფლება და დინამიურობა, მეტი ფერწერულობა, სივრცობრივი ამოცანებისადმი ინტერესი; გამდიდრდა იკონოგრაფია, ფიგურები ზომებში მცირდება და უფრო პროპორციული და ელევანტური ხდება, ხშირად გამოსახება თამამ და თავისუფალ მოძრაობაში; რთულდება არქიტექტურული პეიზაჟი, მხატვრის პალიტრა მდიდრდება, კოლორიტი უფრო ნათდება. XI-XII საუკუნეებში მიღებული მხატვრობის მკაცრად მონუმენტურ არქიტექტურულ ფორმებთან ორგანულ შესაბამისობაში მყოფი აგებისაგან განსხვავებით, XIV საუკუნეში კედლის სიბრტყისადმი სრულიად ახალი მიდგომა ჩნდება. თუ ადრე რეგისტრები არ არღვევენ კედლის მთლიანობას და ყოველთვის ექვემდებარებიან არქიტექტურულ კომპოზიციას, XIII საუკუნის II ნახევარში ყალიბდება ახალი პრინციპები: დიდი კომპოზიციებისა და ფიგურების ნაცვლად, რომლებიც ჰარბობდნენ ადამიანის სიმადლეს, ჩნდება პატარა ზომის სცენები, რომლებიც მოგვაგონებენ დიდ ხატებს. რეგისტრები განლაგებულია თავისუფლად, ჩნდება პატარა-პატარა კომპოზიციები, პატარა კადრები, რომლებიც „ქადრაკულადაა“ განლაგებული მთავარი სცენების მიმართ. სწორედ ამ სტილისტიკურ სიახლეებს ავლენს სხალთის ეკლესიის მოხატულობა. იგი ჩანს კედლის სიბრტყის დაქუცმაცებაში, რეგისტრების არათანაბარ განაწილებაში, თავისუფალ და დინამიკურ კომპოზიციებში, ფიგურათა დახვეწილ პროპორციებში, ნათელ კოლორიტში და სხვ.

ამავე დროს, XIV საუკუნის პალეოლოგიურმა ფერწერამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო: XIV საუკუნის ათიან წლებში ადრე პალეოლოგიური სტილი შეიცვალა მოწიფული პალეოლოგიური ფერწერულ-დინამიური სტილით, რომელმაც იარსება დაახლოებით შუახანებამდე, ხოლო, აქედან მოყოლებული, განვითარებას იწყებს ხაზობრივ-გრაფიკული სტილი. სხალთის მოხატულობა სტილისტიკურად ავლენს სწორედ ამ ბოლო ეტაპს პალეოლოგიური ფერწერის განვითარებაში, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს მოხატულობის ცივ კოლორიტსა და კომპოზიციების და ფიგურების აგებაში.

თუ XIV ს. I ნახევრის ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში (ლიხნე, საფარის წმ. საბას, სორის) ფერების მკაფიო ელერადობას ერთიან გამაში აქცევს მოყავისფრო-წითელი და მონაცრისფრო-ლურჯი ტონები, რომლებიც ანელებენ ღია ფერების ელერადობას, სხალთის მოხატულობაში აშკარაა ყვითელის სიჭარბე, რითაც კოლორიტი ცივი და მკაცრი ხდება.

XIV ს. II ნახევრიდან იცვლება აგრეთვე კომპოზიციების საერთო ხასიათიც, რომელიც იძენს განსაკუთრებულ სიმკაცრეს და თავშეკავებულობას. ოდესღაც ხაზგასმული მოძრაობა, სწრაფი და მღელვარე, ადგილს უთმობს საზეიმო სიმშვიდეს, ფრთხილ მდგომარეობა კვლავ ხდება საყვარელი კომპოზიციური ხერხი („მიჩქმამი“ ღვთისმშობლის ფიგურა). პ. უვაროვამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ჯვარცმის“ კომპოზიციის კრისტეს ფიგურა მშვიდია, ყოველგვარი



ტანჯვა-წამების გამოხატვის გარეშე, მაშინ, როდესაც ადრეპალეოლოგიურ ხელოვნებაში ამ სცენისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო დიდი ეპოციურობა, ექსპრესია. სხალთის მოხატულობისათვის, ისე როგორც XIV ს. სხვა ძეგლებისათვის, დამახასიათებელია განვითარებული აეიზაჟური და არქატიქტურული ფოსები, რომლებიც ისეა გახლავებული, რომ შექმნას რეალური გარემოს ილუზია, რომელშიც ვითარდება მოქმედება. მათ განლაგებაში შეიგრძნობა სივრცობრივი საღრმია გადმოცემის ცდა.

პალეოლოგიური სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჩაის სახალთის ძეგტულობის შესრულების მანერაშიც.

დროის შეცვლილი მხატვრული მიდგომის თანახმად, სახალთის მოხატულობის ფიგურები გამოირჩევიან შედარებით მცირე ზომებით, ისინი დაგრძელებულია თავისი პროპორციებით, მათთვის დამახასიათებელია პატარა თავები, ნაზი კიდურები; ფიგურები მოძრაობენ თავისუფლად, მსუბუქად; მრავალი მათგანი გამოხატულია 3/4 ბრუნვაში, მაგრამ არის ფორნტალური, მშვიდად მდგარი ვივერებიც. ფიგურათა მოძრაობა ყოველთვის დინამურია. სახალთის მოხატულობის აშკარად გამოვლენილი დინამიზმა შეიძლება შევადაროთ ლხენს, სორის, უბისის, წალენჯიხის ფიგურებს. ფორმათა ნახატი რამდენადმე გაბერილია, სამოსელის ნაკვები ლაგდება უწყსრივად და ისე მკაცრად აღარ ემორჩილება ტანის ფორმას. მაგრამ ხაზი მაინც დინამიურია, თავისუფალი, მაგრამ არა ნერვიული და ტეხილი, როგორც ეს იყო დამახასიათებელი ადრე პალეოლოგიური ხანის ხელოვნების ძეგლებისათვის. ამ მოსახამების მსხვილი ნაკვები ფერწერულად ეშვება ძირს და ხაზს უსვამს მოხდენილ ტანად ფიგურებს. ქსოვილის ფერწერულ გადმოცემას ხელს უწყობს კოლორიტის არაჩვეულებრივი გრძნობაც.

ფიგურები მკვეთრად გამოირჩევიან ლურჯ-მონაცრისფრო ფონზე, ხშირად მათი კონტური ხაზგასმულია თეთრი თხელი ხაზით; გამოთეთრება მოცემულია ფართო ლაქების სახით, რის გამოც ფიგურები გარკვეულ რელიეფურობას, მოცულობრიობას იძენენ.

მოხატულობის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი სახეებია ქრისტე, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი „ვედრების“ კომპოზიციიდან, მოციქულები აფსიდის მოხატულობიდან, ღვთისმშობელი — „მირქმის“ კომპოზიციიდან. სახეები დაწერილია მუქ ზეთისხილის ფერზე. მოდელირება მოცემულია არა მშრალი შტრიხების მეშვეობით, არამედ დიდი ფერადოვანი ჩრდილებით, რომლებიც კარგად ეთანხმებიან ძირითად ტონს.

ღვთისმშობლის მვედრებელი პოზა („ვედრება“), სხეულის დაგრძელებული პროპორცია, დახვეწილია სახის ნაკვები, თავის მსუბუქი დახრილობა, მეტყველი გამოხედვა ღვთისმშობლის სახეს ინტიმურ ხასიათს ანიჭებს. დამახასიათებელია სახის დამუშავება — ოქროს ძირითადი ტონი, რომელზედაც დადებულია მსუბუქი მომწვანო ჩრდილები, რომლებიც თხლად ლაგდებიან ყელზე, ლოყებზე, ცხვირის ქვეშ, ნიკაპზე, ასეთი ფერწერული მონასმები სიმსუბუქესა და მოცულობრიობას ანიჭებენ ფორმას.

ამრიგად, სახალთის ეკლესიის მოხატულობა უკავშირდება პალეოლოგიური აღორძინების ხელოვნების ხანას და იგი XIV ს. II ნახევრის ძეგლია. ამ დროს საქართველო თათარ-მონღოლთა უღელს განიცდიდა, თუმცა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, სადაც მონღოლთა შემოსევები ნაკლები იყო, და რომლებიც უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბიზანტიასთან, სწორედ ამ ხანაში განსაკუთრებული ინტენსიურობით განვითარდა კედლის მხატვრობა. გავიხსენოთ სამცხე-საათაბაგოს და დასავლეთ საქართველოს კედლის მხატვრობის ძეგლები — ზარზმა, საფარა, კულე, საფარის წმ. მარინეს ეკლესია, ლიხნე, ბედია, ხობი, სორი, უბისა, წალენჯიხა და სხვ. ტერიტორიულად, ამ პერიოდში, აჭარა უშუალოდ იყო დაკავშირებული სამცხე-საათაბაგოსთან.

სამხრეთ საქართველოს გამოყოფით საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი წა-
მოეცალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნული მთლიანობის გრძნობა არასოდეს არ
შერყეულა და ეს მხარე (სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) მთელი თა-
ვისი კულტურით კვლავ ისევ ქართული დარჩა, როგორც აღრე იყო.

XIII საუკუნის II ნახევრიდან, XIV-XV საუკუნეებში, აქ აყვავდა ქართული ხე-
ლოვნება. უპირველეს ყოვლისა, გაიშალა დიდი სამშენებლო სამუშაოები: იგება ეკ-
ლესიები — ზარზმის, საფარის წმ. საბას, ჭულეს, ბაეთის, თისლის, წყორძის, გავეთის
და სხვ. ყალიბდება ციხესიმაგრეთა მთელი სისტემა, რომელიც იცავდა უმთავრეს მდი-
ნარეთა ხეობებსა და კომუნიკაციებს და მტკიცე სალტედ ერტყმოდა სამთავროს უმთა-
ვრეს ცენტრებს; ეკლესიათა კედლები მშვენივრება ფრესკული მხატვრობით — ზარზმის
(XIV ს. დასაწყისი), საფარის წმ. საბას (XIV ს. ნახევარი), ჭულეს (1381 წ.), საფარის
წმ. მარინეს ((XIV ს. II ნახ.), თისლის ((XIV ს.) მოხატულობანი. იქმნება ჭედურობი-
სა და მინიატურული ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშები.

ასეთი ინტენსიური მხატვრული ცხოვრება, როგორც ჩანს, ვრცელდება აჭარის ტერი-
ტორიაზე და ჯერ კიდევ XIII საუკუნის ნახევარში აგებული სხალთის შესანიშნავი ეკ-
ლესია უკვე XIV-ის II ნახევარში იშკობა კედლის მხატვრობით, რომელიც დროის მო-
თხოვნების შესაბამისად, როგორც ხალიჩა, ისე ფარავდა მთელ ინტერიერს.

ის, რომ სხალთის მოხატულობა შესრულებულია ქართველი ოსტატის მიერ, არავი-
თარ ეჭვს არ იწვევს: ერთის მხრივ იმიტომ, რომ თავისი სტილით მოხატულობა მჭიდ-
როდ უკავშირდება შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური კედლის მხატვრობის ვან-
ვითარებას და მეორეც, წარწერები წმინდანთა გამოსახულებებთან და სცენებთან შეს-
რულებულია ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობით. თუ სხალთის მოხატულო-
ბას შევადარებთ მისი ეპოქის სხვა ძეგლებთან, შეიძლება ვილაპარაკოთ სხალთის მხა-
ტვრის ბრწყინვალე ოსტატობასა და მის ინდივიდუალობაზე. ამავე დროს საფიქრებე-
ლია, რომ ასეთი დიდი ფერწერული ანსამბლი, როგორიც იყო სხალთის ეკლესიის ინ-
ტერიერის შემკულობა, შეიქმნა არა ერთი მხატვრის მიერ, არამედ რამდენიმე ოსტატის
ხელით

ამრიგად, სხალთის ეკლესია, რომელიც აიგო იმ დროს, როდესაც სხალთა, საფიქრე-
ბელია, უბუხსერისძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა! კედლის მხატვრობით შეამკო
მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია სამცხის ათაბაგების ხელში გადავიდა კედლის მხატ-
ვრობის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე — XIV ს. 60-70-იან წლებში.

სხალთის ეკლესიისა და მისი მხატვრული მორთულობის ისტორიული მნიშვნელო-
ბა ძალზე დიდია: იგი არის ერთადერთი მეტ-ნაკლებად დაცული და დღევანდლამდე პი-
რვანდელი სახით მოღწეული შუა საუკუნეების აჭარის საკულტო არქიტექტურის ძეგ-
ლი, ხოლო მისი კედლის მხატვრობა ერთადერთი ნიმუშია შუა საუკუნეების მონუმენ-
ტური კედლის მხატვრობისა აჭარაში. ამასთანავე, სხალთის კედლის მხატვრობა პალე-
ოლოგიური აღორძინების ხანის მნიშვნელოვანი ძეგლია. ახალი სტილის დამკვიდრების
პროცესი ქართულ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ორგანული იყო და მისი განვითარე-
ბის მთლიანი ჯაჭვის ერთ რგოლს სხალთის კედლის მხატვრობაც წარმოადგენს.



ნათელა ჭყონიას ლაზიუვი



იცნობთ ნათელა ჭყონიას? საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას ქალიშვილი გახლავთ. არაფერი იქნება მოულოდნელი, თუ ქართულ ანდაზას გავიხსენებთ, კვიცი გვარზე ხტისო. მომღერალთა ოჯახს კიდევ ერთი მომღერალი შეემატა, მაგრამ სანამ უშუალოდ ნათელაზე მოგაყვებოდეთ, ორიოდე სიტყვით დედამისის განვლილი შემოქმედებითი გზაც გავიხსენოთ.

ზემოთ მომღერალთა ოჯახი ვახსენეთ. მღეროდნენ ლამარა ჭყონიას ბაბუა, მამა, დედა, ძმები. ასეთ ოჯახში, — იგონებს ლამარა, — წარმოუდგენელი იყო არ გამღერა. სწორედ ქართული სიმღერის მომხიბლობამ განაპირობა ჩემი მომავალი არჩევანი. ბათუმში ცხოვრების დროს წარმატებით გამოვდიოდი სასკოლო ოლიმპიადებზე, სადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღმომაჩინეს კიდევ.

ჩვენი საყვარელი მომღერალი 1962-1968 წლებში წარმატებით გამოდიოდა კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, იგი უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, მრავალი პარტია აქვს შესრულებული წარმატებით. რამდენიმე გავიხსენოთ. ვიოლეტა ვერდის „ტრაეიატაში“, ტატიანა — ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“, პამინა — მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტაში“, ელზა — ვაგნერის „ლოენგრინში“, ჩიო-ჩიო-სანი — პუჩინის „ჩიო-ჩიოსანში“.

სხვე წამყვანი პარტიებზე აქვს შესრულებული ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სულ, ორივე თეატრში — 44. თითოეული მათგანი უყვარს ლამარას და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ თბილისში ბინაზე როცა ვწვდით, თქვენს ყურადღებას უპირველესად მიიქცევს პორტრეტები, რომლებზეც მისი გმირები არიან აღბეჭდილნი.

მომღერალთა ოჯახში ცხადია, შეიძლება სხვა გზას არ უნდა დადგომოდნენ. უფროსი ქალიშვილი ნათელა (ნატო) ბათუმში დაიბადა და სამუსიკო სასწავლებელში აქ სწავლობდა. მერე მცირე ხნით კიევიში გააგრძელა სწავლა და კვლავ ბათუმს დაუბრუნდა. იგი დიდ მადლობას უხდის აღმზრდელ პედაგოგებს დოდო ჯვარციანიშვილსა და მარია შურს, რომელთაც გაუკვალეს გზა მომღერალს.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნათელამ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში განაგრძო სწავლა. პარალელურად ორ ფაკულტეტზე — ვოკალურსა და საფორტეპიანოზე მკვლავ დაიწყო. ასეთი არჩევანი იმან განაპირობა, რომ ოჯახს სურდა ნათელა მრავალმხრივ განვითარებული მუსიკოსი გამოსულიყო. კონსერვატორიაში მისი მასწავლებელი პროფესორი გიორგი გოგიჩაძე იყო.

სტუდენტობის წლებში ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის პირველ კლარნეტისტ ანდრია გეჯაძეს დაუკავშირა თავისი ბედი. ოჯახში მალე პატარა ნიაც გაჩნდა. ოჯახი დიდ დროს ართმევდა, მაგრამ თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია. ცდილობდა ხელოვნებაში სხვების, თუნდაც დედის დაუხმარებლად გაეკვალა გზა. ნათელას შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემები აქვს — ხმა, არტისტიზმი, მომხიბლობა. სწორედ ამიტომაც თქვა თავის დროზე სახელოვანმა მომღერალმა, პროფესორმა ნოდარ ანდლულაძემ, გავა დრო და ნათელა თავის დედას აჯობებსო.

1985 წელს, კონსერვატორია რომ დაამთავრა, სტაჟიორად ჩარიცხეს ოპერის თეატრში.

ყველა მსახიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დებიუტს, მასზეა დამოკიდებული მომღერლის მომავალი. 1985 წლის იანვარში იგი პირველად წარსდგა მასურების წინაშე. რა თქმა უნდა, დელავდა პირველი გამოსვლის წინ, თუნდაც იმიტომ, რომ ოც-



დაშეიდი წლის წინათ ეთერის პარტია ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერ“ის დასრულების შემდეგ მისმა შესრულება..

დებიუტი წარმატებული გამოდგა. ყველა კმაყოფილი დარჩა. — მაყურებელი, დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, კონცერტმაისტერი ავთანდილ მაჭავაცაძე და, რა თქმა უნდა, დედა.

— სიმართლე გითხრათ, ამბობს ლ. ჭყონია, ნათელას ეთერი უფრო საინტერესო, მრავალმხრივი გამოვიდა, ვიდრე ჩემი. ამას ტრაბახით, როგორც დედა, არ ვამბობ. ჩემდა საბედნიეროდ, ამავე აზრს გამოთქვამენ სპეციალისტები. პრესაც დადებითად გამოეხმაურა ნათელას შესრულებულ პარტიას.

მომავლისათვის ახალგაზრდა მომღერალს საინტერესო გეგმები აქვს. სურს იმდროს მაროს პარტია ზ. ფალიაშვილის „დაისში“ (რომლითაც, სხვათა შორის, დაიწყო დედამისის გზა დიდ სცენაზე), ლეზღემონა, დონა ელვირა, ტოსკა, აიდა, ეს პარტიები ლამაზად არ უმღერია.

ერთი ძალიან დამახასიათებელი შტრიხი: ნათელა ცდილობს ყველა შესრულებულ პარტიაში რაღაც თავისეული ჩადოს, დიდი სურვილი აქვს — ოთდესაც საშუალება ექნება, თუნდაც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების დროს, იმღეროს ბათუმში, თავის მშობლიურ ქალაქში.

ჭყონიების ოჯახში კიდევ ერთი მომღერალი იზრდება — უმცროსი ქალიშვილი ეთერი. ამჟამად იგი კონსერვატორიის მე-3 კურსის სტუდენტია, ტოლ-მეგობრებში გამოჩნეული. გაივლის წლები, და ალბათ, ისიც სასახელოდ გააგრძელებს საოჯახო ტრადიციებს.

თეიმურაზ მორგოზია



პავლე ჯორბენაძე

პოეზიის რომანტიკული გაგება

წ ა რ ი ლ ი I

სამყაროს აღქმა ადამიანმა დაიწყო არა ანალიტიკური აზროვნებით, არამედ ემოციათა მეშვეობით. ბუნებასთან ბრძოლის პროცესში ადამიანის პირველი რეაქცია გარესამყაროზე გამოიხატებოდა მისი ემოციებით. თუ შეიძლება ითქვას, ფიგურალურად, ადამიანმა ჯერ სიმღერა და ცეკვა ისწავლა, შემდეგ კი ლაპარაკი. ხოლო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მან შექმნა სიმღერები, ლეგენდები, მითოსები, ერთი სიტყვით, მდიდარი იდეალური სამყარო, რომელიც დაასახლა კონკრეტულ-გარკნობითი სახეებით, რაც გარემომცველი სამყაროს უშუალო შეგრძნობაა.

მას შემდეგ, რაც ხელოვნების სინკრეტული მდგომარეობიდან გამოიყო პოეზია, როგორც დამოუკიდებელი დარგი და კლასიკური სახე მიიღო, იმის მოთხოვნილებაც წარმოიშვა, რომ გარკვეულიყო პოეზიის არსიც და შემოქმედი სუბიექტის — პოეტის ფუნქციაც. პლატონს (428-348 ძვ. წ.) განსაკუთრებით აინტერესებდა საკითხი იმის შესახებ, თუ რაოდენ სანდოა პოეზია როგორც სიბრძნე. მას მიაჩნდა, რომ იმთავითვე განხეთქილება დასახა ფილოსოფიასა და პოეზიას შორის. დაწყებული ადრეული თხზულებებიდან „სოკრატეს აპოლოგია“ და „იონი“, თვით „კანონებამდე“ იგი ამტკიცებდა, რომ პოეტები ისეთ საგნებს ეხებიან, რომლებსაც არ იცნობენო. პლატონი ამბობს, რომ თვით პოეტებს არ შეუძლიათ ახსნან ის, რაც მათ შეუთხზავთ: „ამრიგად, პოეტების შესახებაც მე გავიგე მოკლე დროში, რომ არა სიბრძნის წყალობით შეუძლიათ მათ შექმნან ის, რასაც ქმნიან, არამედ რაღაც ბუნებრივი უნარის წყალობით, თითქოს უგონობაში, მარჩიელებისა და წინასწარმეტყველების მსგავსად; აკი ისინიც აგრეთვე ლაპარაკობენ ბევრ კარგს, მაგრამ საგნებით არ იციან ის, რის შესახებაც ისინი ლაპარაკობენ“ („სოკრატეს აპოლოგია“ 21 B, ც).!

პლატონი უარყოფს შეხედულებას იმის შესახებ, რომ პოეტები არიან ბრძენნი და ჰქუის მასწავლებლები. პოეტი მას წარმოუდგენია დაანდამანტებულ რგოლად, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ანდამანტის ძალისგან, რომელშიც პლატონი გულისხმობს ღვთაებას. იგი პოეტის შესახებ ამბობს: „ყველა კარგი ეპიკური პოეტი თხზავს თავის მშვენიერ პოემებს არა ხელოვნების წყალობით, არამედ მხოლოდ შთაგონებისა და გატაცების მდგომარეობაში“ („იონი“, 534 a, ტ. I, გვ. 138). შემდეგ პლატონი ასე განაგრძობს: „პოეტი — ეს არის მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსება; და მას შეუძლია შექმნას მხოლოდ მაშინ, როცა ხდება შთაგონებული და გატაცებული და მეტად აღარ იქნება მასში გონება; ხოლო სანამ ადამიანს აქვს ეს ნიჭი, მას არ შეუძლია შექმნას და იწინასწარმეტყველოს. და აი პოეტები ქმნიან და ლაპარაკობენ ბევრს

მშვენიერს სხვადასხვა ნივთის შესახებ... არა ხელოვანების საშუალებით, არამედ ღვთა-
ებრივი განსაზღვრებით... აქი არა ცოდნისაგან ლაპარაკობენ ისინი ამას, არამედ ღვთა-
ებრივი ძალის წყალობით; მაგრამ იმის გამო ართმევს მათ ღმერთი გონებას და აქცევს
მათ თავის მსახურებად, ღვთაებრივ მათუწყებლებად და წინასწარმეტყველებად, რომ
ჩვენ, როცა ვუსმენთ მათ, ვიცოდეთ, რომ არა ისინი, გონებაწართმეულნი, ლაპარაკო-
ბენ ასე ძვირფას სიტყვებს, არამედ ლაპარაკობს თვით ღმერთი და მათი მეშვეობით
გააწვდის თავის ხმას! („იონი“, 534 B, C, ტ. I, გვ. 138-139). და პლატონი აკეთებს
დასკვნას: „ჩვენ არ უნდა გვეუქვებოდეს, რომ არა ადამიანის არიან ეს მშვენიერი ქმნი-
ლებანი და არა ადამიანებს ეკუთვნიან ისინი; ისინი ღვთაებრივი არიან და ეკუთვნიან
ღმერთებს, პოეტები კი სხვა არაფერი არიან, თუ არა ღმერთების ნების ამხსნებლები,
ზომლებიც გატაცებული არიან ყოველი იმ ღმერთით, რომელიც ფლობს მათ“ („იონი“,
534 e, ტ. I, გვ. 139).

პოეტების შემეცნებითი უძლურების, მათი მცდარობის მიზეზად პლატონს მიიჩნია
ის, რომ პოეზია არის მიმბაძველობა („კანონები“). მიმბაძვის პროცესი პლატონს წარმო-
დგენილი აქვს შემდეგი თანმიმდევრობით: „იდეებიდან“, ან „ფორმებიდან“ ფიზიკური
და პრაქტიკული რეალობისაკენ, ხოლო მესამე საფეხური, როგორც შედეგი, არის რე-
ალური საგნების ან ფაქტების ჩრდილები და არეკვლანი. რაც შეეხება „იდეას“, რო-
გორც ყოფიერების უმაღლეს სფეროს, სავანთა ყოველ სახეს, გვარს აქვს მხოლოდ
ერთი „იდეა“, რომელიც არის მუდმივი, რეალური და ჭეშმარიტი. მაგრამ დაბალი სა-
ფეხურებისაკენ „იდეის“ სვლისას ირღვევა ჭეშმარიტი და რეალური ერთიანობა. ამის
შედეგად „იდეა“ „იცივდება“, იფიტება ჭეშმარიტებისაგან და რჩება საგნის ჩრდილი,
ბუნდოვანი ანარეკლი. პირველ საფეხურთან დგანან ფილოსოფოსები, რომლებსაც თა-
ვიანთი სიბრძნით შეუძლიათ შეიმეცნონ და გაიზიარონ ჭეშმარიტი და რეალური ერ-
თიანობა. მეორე რივის საგნები საქმის ხალხის მიერ შექმნილი საგნებია (მაგალითად,
სწოლები, სკამები, გემები, ტანსაცმელი და ა. შ.), ამავე რივისა პრაქტიკული საქმიან-
ობა (ომების გაჩაღება, პოლიტიკის მართვა და კანონების დაცვა). მესამე საფეხური კი
უჭირავთ პოეტებსა და მხატვრებს, რომლებიც ქმნიან იმ საგნების სახეებს, რომლებიც
განეკუთვნიებიან მეორე საფეხურს. მაშასადამე, პოეტი და მხატვარი მიმბაძვის მიმბაძ-
ველები არიან. პლატონი ხელოვნებას ადარებს სარკეს, პოეტებისა და მხატვრების საქ-
მიანობას სარკის ტრიალს, რომლის მეშვეობით „მაშინვე გამოვივა მზეც, და ყველა-
ფერი, რაც ზეცაზეა, დედამიწაც, თვით შენც, და დანარჩენი ცოცხალი არსებანი, აგრე-
თვე საგნები, მცენარეები“ („სახელმწიფო“, წგ. X, 596 c, ტ. III, ნაწ. I, გვ. 423).
პოეტს (აგრეთვე მხატვარს) შეუძლია უაზროდ ატრიალოს სარკე, მისი მეშვეობით აჩვენოს
სავანთა მხოლოდ ზედაპირული სახე ისე, რომ არ ესმოდეს მისი არსი. მაშასადამე,
პლატონის აზრით, პოეზია ეხება არა არსს, არამედ სავანთა ჩრდილს, ანარეკლს, რასაც
არ შეუძლია მოგვეცეს ჭეშმარიტება და, შესაბამისად, პოეზიას არც შეიძლება ჰქონ-
დეს სიბრძნის, სიმართლის პრეტენზია.

ბუნებრივია, საჭირო გახდა პოეზიის დაცვა ისეთი დიდი ავტორიტეტისაგან, როგო-
რიცაა პლატონი. ეს მისია თავისთავზე აიღო პლატონის მოწაფემ არისტოტელემ (384-
322 ძვ. წ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „პოეზიის აპოლოგიას“ თავისი „პოეტი-
კით“, იგი იყო პოეზიის პირველი საფუძვლიანი დაცვა. თანაც საგულისხმოა, რომ პირ-
ველი კლასიკური პოეტიკის შემქმნელი იყო არა პოეტი, არამედ ფილოსოფოსი, ანტიკუ-
რი ეპოქის უდიდესი მოაზროვნე, რომლის მიერ გამოიმუშავებულ მხატვრულ-ესთეტი-
კურ პრინციპებს ეყრდნობიან შემდეგ თაობათა თეორეტიკოსებიც თვით XVII საუკუნე-
მდე — ბუალოს „პოეტურ ხელოვნებაზე“.

არისტოტელემ განავითარა პლატონისეული მიმბაძვის პრინციპის ტრადიციები, თავი-

სო მიმეზისის მოძღვრებით დაიცვა პოეზიის უფლებამოსილება, ასახოს რეალური სენა მდვილე და ჰქონდეს ქეშმარიტეის ღირებულება.



არისტოტელეს მიხედვით, ბუნება გოხიერი და სამართლიანია, ხოლო ადამიანი მისი ყველაზე უფრო სრულყოფილი ქმნილებაა. ბუნების ყიადში გამოზოდილი ადამიანი თავის საეციახოებაში უხებლიედ შიბაძავს ბუნებას, შესაბამისად, ქმნის ხელოვნებას: „ხელოვნება შიბაძავს ბუნებას“; („ფიზიკა“, 194 ა).² როგორც არისტოტელე ფიჭრობს, თვით ბუნებაშია სილაძაზე და პარძოხია, ხოლო ადამიანი თითქოს კიდევ ეჯიბრება ბუნებას შექმნას თავისი სილაძაზე და პარძოხია. ამოიგად, დედა-ბუნების კახოზოშიერე-ბათადმი შიბაძვით ადამიანი ქმნის ხელოვნებას, რომელიც, არისტოტელეს აზოით, დასრულებულ სახეს აძლევს იძას, რასაც დასაწყისი ძისცა ბუნებაძ.

არისტოტელესათვის ბუნება და ხელოვნება სამყაროს ორი მამოძრავებელი ძალაა. ხელოვნება ეთის ახალს, ოაც დაკავშიოებულია იძის წინასწარ შოფიჭრებასთან, რაც უნდა შეიქმნას, რამდენადაც „არ არსებობს არც ისეთი ხელოვნება, რომელიც არა იქნება მსჯელობის მოხაწილე“, „ყოველ ხელოვნებას საქმე აქვს წარმოქმნასთან, ხოლო იყო დახელოვნებული — ნიშნავს, გესმოდეს, როგორ წარმოიქმნება რაღაც იმ ნივთებს-საგანს, რომელთაც შეუძლიათ იყვენ და არ იყვენ და რომლას საწყისი შემოქმედშია, და არა შექმნადში“ („ნიკომაქეს ეთიკა“, 1140 ა, ტ. IV, გვ. 176-. ხელოვნება კიდევ ცდილობს აჯობოს ბუნებას. ღმერთი ბუნების შთავარი მამოძრავებელი ძალაა, თუმცა ხელოვნება თვით ადამიანის მიერაა შექმნილი, მაგრამ იგი არ ჩამორჩება ბუნებას. ფიდიოსის სიბრძნე არ უთმობს თავისი ღირსებით ფილოსოფიის სიბრძნეს და ღმერთებსაც კი შიბაძავს. არისტოტელესათვის ფიდიოსი „ბრძენი ქვისმთლელია“, ხოლო „სიბრძნეში“ გულისხმობს „ხელოვნების სათნობას, [ე. ი. სრულყოფილებას]“ („ნიკომაქეს ეთიკა“, 1141 ა, ტ. IV, გვ. 178).

როცა არისტოტელე ლაპარაკობს ხელოვნების „სიბრძნეზე“, მას მხედველობაში აქვს მისი „ქეშმარიტება“, „სიმართლე“, მაგრამ პოეზიაზე მსჯელობის დროს იგი ერთ-მანეთისაგან განასხვავებს ისტორიკოსის ემპირიულ სიმართლეს და პოეტის მხატვრულ სიმართლეს: „...პოეტის ამოცანაა ილაპარაკოს არა იძის შესახებ, რაც იყო, არამედ იძის შესახებ, რა შეიძლება ყოფილიყო, რომელიც იყო შესაძლებელი მოსალოდნელობის ან აუცილებლობის ძალით“. მაშასადამე, ისტორიკოსი და პოეტი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ „ერთი ლაპარაკობს იძის შესახებ, რაც იყო, მეორე კი იძის შესახებ, რაც შეიძლება ყოფილიყო“. არისტოტელეც აკეთებს საგულისხმო დასკვნას: „ამიტომაც პოეზია ისტორიაზე უფრო ფილოსოფიურია და უფრო სერიოზული, რადგანაც პოეზია უფრო მეტად ლაპარაკობს საერთოზე, ისტორია კი — ცალკეულზე“ („პოეტიკა“, 1451 ა, 1451 ბ, ტ. IV, გვ. 695).

ადრექრისტიანული ხელოვნება თანდათანობით ცილებოდა ანტიკური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს, ფილოსოფიაც მტრულად მოეპყრო ანტიკურ წარმართულ კულტურას, დაისახა ადამიანის მხატვრული საქმიანობის უარყოფის ტენდენცია, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ტერტულიანუსთან (160-220), რომელიც უკიდურესი შეურიგებლობით ჰგმობდა ხელოვნებას, ფერწერა და ქანდაკება მიაჩნდა კერბოთაყვანისმცემლობად. ხოლო ორიგენოსი (185-253) და კლემენს ალექსანდრინუსი (150-215), ეკლესიას სხვა მამებთან ერთად, ადამიანის მხატვრულ საქმიანობას უქვემდებარებდნენ მხოლოდ ქრისტიანულ იდეებს, მხატვრულ ნაწარმოებებს განიხილავდნენ როგორც ღმერთას გამოცხადებას, სული წმინდას გახსნას. განსაკუთრებით საგულისხმოა ნეოპლატონიკოს პლოტინუსის (204-270) მოსაზრება ხელოვნების შესახებ. პლოტინუსის აზრით, სხეულის სიმწირე ამახინჯებს სულის ღვთაებრივობას, ზნებორივი სრულყოფილება საპაროებს განთავისუფლებას ენებათღელვისაგან, რომელშიც ჩაფლულია სული. შესაბა-

მისად, ხელოვნება მოწოდებულია ებრძოდეს მატერიალურს, რომელშიც არ შეიძლება გამოსხვიდებოდეს სილამაზის ღვთაებრივი იდეა. ხელოვნების ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიზნობრივობა. ბუნებისადმი მიბაძვა, ხელოვანი უშუალოდ მიბაძვის გაკეთებულ ნაწარმოებს. მისი აზრით, ფილოსოფა შექმნა ზეცის ქანდაკება ხატურაზე უშუალოდ დაკვირვების გარეშე იდენის წარმოსახვით, ე. ი. გამოხატა ისეთი სახით, როგორც იგი არის. და მაინც როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ეკლესიის მამები მტრულად იყვნენ განწყობილი პოეზიისა და პოეტების მიმართ. პლატონივით ლაქტანციუსსაც (250-325) მიაჩნდა, რომ პოეტები საშიშინი არიან საზოგადოებისათვის. მათი ლექსების ტკბილი ელერის გამო აღამიანები ვეღარ ეზიარებიან ნეტარებას. განსაკუთრებით მწვავედ ესხმოდა თავს მუზეუს ბოციუსი (480-525), რომელიც მოუწოდებდა ფილოსოფიას დაეგმო მუზეები როგორც უხნო ასულები, რომლებიც უმასპინძლებიან აღამიანებს „ტკბილი საწამლაგით“. მხოლოდ შუა საუკუნეებიდან აღორძინებულ გარდამავალი ეპოქის ისეთმა დიდმა პოეტებმა, როგორც იყვნენ რუსთაველი და დანტე, აღადგინეს პოეზიის აპოლოგის არისტოტელესეული ტრადიცია, პირველმა პოეზიას უწოდა „სიბრძნის ერთი დარგი“, ხოლო მეორე პოეტს „ბრძენს“ ეძახოდა. რენესანსულმა ესთეტიკამ კი განაგრძო და განავითარა ეს ტენდენცია.

XVI საუკუნიდან ძალზე პოპულარული გახდა არისტოტელეს „პოეტიკა“, რომლის მიბაძვით შეიქმნა პოეზიისა და დრამის პრობლემებისადმი მიძღვნილი ისეთი ლიტერატურულ-თეორიული ტრაქტატები, როგორიცაა ჟანბატისტა ჩისტოს „პოეზიის ხელოვნების შესახებ“ (1551), ანტონიო მინტურნოს „პოეტის შესახებ“ (1559), სკალცაგერის „პოეტის შვიდი წიგნი“ (1561), ტრისინოს „პოეტიკა“ (1562), ფრანჩესკო პატრიცის „პოეტიკა“ (1586) და სხვ., რაც მეტყველებს იმაზე, რომ პოეზია გაბედულად შედიოდა თავის უფლებებში. ინტერესი პოეზიის პრობლემებისადმი იტალიიდან შემდეგ გავრცელდა მთელს ევროპაში. ამ მხრივ საგულისხმოა ინგლისელი მწერლისა და პოეტის ფილბ სიდნის ტრაქტატი „პოეზიის დაცვა“ (1581), რომელიც დაწერილია „პოეზიის აპოლოგის“ ჟანრის სახით. სიდნი იცავდა პოეზიას იმათგან, ვინც თავს ესხმოდა პოეზიას როგორც „ტყუილს“. იგი ამტკიცებდა, რომ პოეტი კი არ ტყუის, არამედ იყენებს გამოხატვის, რაც დიდ გასაქანს აძლევს მის წარმოსახვას. საგულისხმოა ისიც, რომ რომანტიკული პოეზიის ინგლისელმა აპოლოგებმა, ცნობილმა რომანტიკოსმა პოეტმა პერსი ბიში შელიმ პოეზიის თავის აპოლოგიას ასევე უწოდა „პოეზიის დაცვა“.

დაწყებული კლასიციზმიდან, კერძოდ, ბუალოს „პოეტიკიდან“, პოეზიის უფლებამოსილებაში უკვე ეჭვი არ შექონდათ, მაგრამ ყოველ მიმართულებას, ეს იქნებოდა მარინიზმი, ბაროკო, კლასიციზმი თუ სხვა, თავისებურად ესმოდა ბუნებისადმი მიბაძვა, სინამდვილის ასახვა და მხატვრული სიმართლე. სწორედ კლასიციზმის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების გადასინჯვით დაიწყო, საერთოდ, რომანტიზმის განვითარება, კერძოდ კი, პოეზიის ახლებური ინტერპრეტაცია. XVI-XVII საუკუნეების „პოეტიკებით“ ფაქტობრივად დასრულდა ძველი ნორმატიული პოეტიკა, ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების გართულებასთან დაკავშირებით დაისახა ტენდენცია „მეცნიერებისაგან პოეტური ხელოვნების შესახებ“ ხელოვნების ფილოსოფიისაკენ, რამაც განსაკუთრებით სრული ხასიათი მიიღო შლეგელისა და ჰეგელის ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შეიმჩნეოდა მისწრაფება ხელოვნების შესახებ ფილოსოფიური მეცნიერების შექმნისაკენ. მაგრამ ამის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დასაწყისში. ინგლისელი ფილოსოფოსი-განმანათლებელი იუმი, იტალიელი ფილოსოფოსი, ლიტერატურის თეორეტიკოსი და პოეტი ჯ. ვიკო, გერმანელი განმანათლებელი ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, ჰერდერი, დიდი პოეტი და მოაზროვნე გოეთე, ცნობილი



ფილოსოფოსები კანტი, შელინგი და ჰეგელი შეეცადნენ თანმიმდევრულად და დაეკავშირებიათ პოეზიის სპეციფიკური საკითხები ადამიანის ყოფიერების ზოგად, უფრო ფართო პრობლემებთან.

ცნობილია, რომ შემოქმედებითი ცნობიერების პროდუქტები მხოლოდ იდეალური, სულიერია. მაგრამ ცნობიერებას არ შეუძლია შექმნას ობიექტური სამყარო. შემეცნება არის სუბიექტის ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს კავშირთა, კანონზომიერებათა ასახვის აქტიური შემოქმედებითი პროცესი. მაგრამ ეს არ აძლევს მის უფლებას, რომ გაეაზვიადოთ სუბიექტის შემოქმედებითი უნარი, თუმცა მაქსიმალისტი რომანტიკოსები, რომელთაც ჰქონდათ სამყაროს, ბუნების და საკუთარი თავის სიღრმისეული შეცნობის დაუოკებელი სურვილი, ანგარიშს არ უწევდნენ გარემომცველი სამყაროს შემეცნების, ასახვის ადამიანური უნარის შეზღუდულობას. პირიქით. ადამიანის შემოქმედებით ძალას სამყაროს შექმნის უნარსაც კი მიაწერდნენ, თუნდაც ეს სამყარო იყო სულიერი. ამის საფუძველს კი მათ აძლევდა ქრისტიანული მსოფლგაგების რემინისცენციები და გერმანული იდეალისტური ფილოსოფია.

რომანტიკოსები მიიზიდა ფიხტეს მოძღვრებამ თავისი გაბედულებით, ემოციურობით. ფიხტემ უარპყო ჯანსაღი აზრის შესაძლებლობანი, დაარღვია ფილოსოფიური სისტემის აგების ტრადიციული ფორმები. მისი მოძღვრების ამოსავალი პუნქტი გახდა სუბიექტი — „მე“, თავისუფლება. სწორედ მათგან გამოჰყავდა „არამე“ — ბუნება. მსგავსი გადატრიალების მოხდენა დააპირეს რომანტიკოსებმა პოეზიის სფეროშიც.

თავის მეცნიერების მოძღვრებაში ფიხტეს წარმოდგენილი ჰყავს ადამიანი არა იმდენად როგორც ემპირიული, სასრული, არამედ როგორც გონისეული, უსასრულო, თავისთავის განმსაზღვრელი და არა როგორც გაპირობებული გარეგანი ნივთების მიერ, როგორც თავისუფალი თავის მოქმედებითობაში და არა როგორც ბუნებისეული: „ამიტომაც ყველა სასრული გონიერი არსების უკანასკნელი განსაზღვრება არის თავისთავთან აბოლუტური შეთანხმება“. ადამიანი მუდამ უნდა მიისწრაფოდეს ამ განსაზღვრების, ე. ი. თავისი უსასრულო შიშის განხორციელებისაკენ. ხოლო ადამიანის საბოლოო მიზანია, ფიხტეს აზრით, დაუქვემდებაროს თავისთავს ყოველივე არაგონიერი, დაეუფლოს მას თავისუფლად და საკუთარი კანონების შესაბამისად. მაგრამ ეს საბოლოო მიზანი სავსებით მიუღწეველია და უნდა დარჩეს სამარადისოდ მიუღწევლად, სანამ ადამიანი არ შეწყვეტს იყოს ადამიანი, ღმერთი რომ გახდეს. ფიხტე ფიქრობს, რომ, ადამიანი თავისი არსით არის თავისუფალი არსება: ადამიანი „უნდა იყოს ის, რაც იგი არის“. ფიხტეს ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი „მე“ ვარ „მე“, ე. ი. „მე“-ს თავისთავთან იდენტურობის პრინციპი ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს ადამიანის მოღვმის მისწრაფებათა სამარადისოდ მიუღწევადი მიზანი როგორც განხორციელების უსასრულო პროცესი. მაშასადამე, ლაპარაკია არა იმაზე, რაც არის, არამედ იმაზე, რაც უნდა იყოს. მთელი ყოფიერება წარმოდგენილია როგორც დინამიკა, რომელიც არის იმას განტომის პროცესი, რაც უნდა იყოს. ფიხტეს აზრით, „მე“-ს თავისთავთან იდენტურობის განხორციელებით ადამიანი გაუტოლდება ღმერთს. მაშასადამე, ადამიანის გზა მიზნისაკენ უსასრულოა. შესაბამისად, ადამიანის დანაშნულებაა არა მიზნის მიღწევა, არამედ მასთან სულ უფრო და უფრო მიახლოვება. მეცნიერის შესახებ ფიხტე ამბობს: „იგი ხედავს არა მხოლოდ აწმყოს, იგი ხედავს აგრეთვე მომავალსაც“ (გვ. 112). ფიხტესათვის მეცნიერი არის ჰემპარიტების მაცნე: „მე ჰემპარიტების ქურუმი ვარ, მე ვემსახურები მას, მე თავისთავზე ავიდე გავაკეთო მისთვის ყველაფერი, — კიდეც გავბედო, კიდეც ვიტანჯო“ (გვ. 114).

ფიხტეს აზრით, რეალობა შეიძლება შექმნას მხოლოდ არაცნობიერმა შემოქმედე-

ბამ. მაგრამ ეს არის აბსოლუტური სუბიექტის შემოქმედება, ფაქტობრივად, ფეოდალური რევი შემოქმედება. ხოლო მცირე პრაქტიკული „მე“-ს არასოდეს არ ძალუძს ასახოს რაც წარმოქმნილია თეორიული (აბსოლუტური) „მე“-ს მიერ. რამდენადაც გახდომის მარადიულ პროცესში „მე“ ვერასოდეს ვერ გაცვილებს თავის თავს, ვერ იქცევა ღმერთად, ამდენად მისი სწრაფვა მიზნისაკენ არის იდეალთან მიახლოვების იდეა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს აბსოლუტური ყოფიერება, შესაძლებელი რომ გახდეს მისკენ აბსოლუტური სწრაფვა. ასევე უნდა არსებობდეს ღმერთი, აღმანი რომ მისწრაფოდეს იდეალისაკენ, რომელიც მისთვის მიუღწეველია. ფიხტეს ამ მოსაზრებამ დიდი სამსახური გაუწია რომანტიკული პოეზიის ცნების ჩამოყალიბებას.

თავის „ხელოვნების ფილოსოფიაში“ შელინგი იმწმებს შილერის წერილს „ნაიფური და სანტიმენტალური პოეზიის შესახებ“, თუმცა შილერისაგან განსხვავებით მასთან უაღრესად აბსოლიტიზირებულია ხელოვნების ორი საწყისი—რეალური და იდეალური. შილერივით ნაიფურ პოეზიაში შელინგი გულისხმობს ანტიკურ, ხოლო სანტიმენტალურში თანამედროვე (რომანტიკულ) პოეზიას. შელინგი წერს: „ქრისტიანულმა რელიგიამ, ხოლო მასთან ერთად სულიერმა წყობამ, მიმართულმა ინტელექტუალურზე, რომელიც ვერ პოულობდა ძველ პოეზიაში ვერც სრულ დაკმაყოფილებას, ვერც განსახიერებების საშუალებებს, შექმნა თავისთვის საკუთარი პოეზია და საკუთარი ხელოვნება“.⁴ ანტიკური პოეზიის ობიექტურობისაგან განსხვავებით თანამედროვე პოეზიაში ძირითად ტენდენციად შელინგს მიაჩნდა სუბიექტურობა: „თანამედროვეობის ძირითადი ნიშანია უაღრესად სუბიექტური ინტერესი ბუნებისადმი ჭკრეტაში ან აზროვნებაში ყოველგვარი ობიექტურობის გარეშე, ხოლო ახალი სამყაროს აღმნიშვნები შორს არიან ბუნებისაგან, რამდენადაც ისინი მას გრძნობენ, მაგრამ ვერ ჭკრეტენ და არ ასახავენ“ (გვ. 52). როგორც ჩანს, შელინგი არ იცნობს XVII-XVIII საუკუნეების პეიზაჟურ ფერწერას, ბუნების კულტს სანტიმენტალურ ნაწარმოებში, ან უბრალოდ უგულვებელყოფს მათ. საქმარისა დავასახელოთ XVII საუკუნის მხატვრების ნიკოლა პუსენის, კლოდ ლორენის და სალვატორ როზას პეიზაჟური ფერწერა უნაჟაკ რუსოს „ახალი ელოზი“ და გოეთეს „ვერთერის ვნებანი“, რომელთაც სწორედ ახასიათებს „სუბიექტური ინტერესი“. საგულისხმოა, რომ სუბიექტ-ობიექტის იდენტურობაში შელინგი უპირატესობას ანიჭებს სუბიექტს: „მთელი განსხვავება ნაიფურ და სანტიმენტალურ პოეტს შორის, — წერს იგი, — შეიძლება დავიყვანოთ იმაზე, რომ პირველთან მოქმედებს მხოლოდ ობიექტი, მეორესთან გამოდის სუბიექტი როგორც სუბიექტი. პირველი თითქოს ვერც კი შეიცნობს თავის სუბიექტს, მეორე უცვლელად თან ახლავს მას თავისი ცნობიერებით და გვაგრძნობინებს ამ შეცნობილ დამოკიდებულებას“. თუ „პირველი გულცივი და უგრძნობოა თავის ობიექტთან ბუნების მსგავსად“, „მეორე, ასახავს რა ობიექტს, ამასთან ერთად თვით თავისთავსაც გადააქცევს მის ასახვად“ (გვ. 174). შელინგის აზრით, „სანტიმენტალური პოეტი მისწრაფის უსასრულობისაკენ, რომელიც, იმის გამო, რომ იგი შეუცნობელია ამ მიმართულებით, არასოდეს არ ხდება ჭკრეტის საგანი“ (გვ. 175).

შლეგელივით ჰეგელიც გამოდიოდა იდეალურ-რეალურის, შესაბამისად, ობიექტურ-სუბიექტურის პრინციპიდან, როცა გამოყოფდა რომანტიკულის სპეციფიკას. იგი წერდა: „საქმროა განვსხვავოთ ხელოვნების ორი მთავარი ფორმა, ორი სტილი: ანტიკური და თანამედროვე — პირველი ხასიათი პლასტიკური, ობიექტურია; მეორეს ხასიათი რომანტიკული, სუბიექტურია“.⁵ მაშასადამე, სუბიექტურ-ობიექტურის მიმართებაში ჰეგელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სწორედ სუბიექტურ მხარეს.

პოეზია ჰეგელს მიაჩნია სიბრძნის გამოვლინებად, ცოდნის წყაროდ. მისი აზრით, პოეზია იყო და არის ადამიანთა მოღვაწის ყველაზე გავრცელებული ჰუმანიტარული. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა არის მის ირგვლივ, რა ძალები მართავენ და განაგებენ მას: „მსგავს ცოდნას სწორედ იძლევა პოეზია თავისი პირველი სუბსტანციური ფორმით“ (ტ. III, გვ. 356), „პოეზია — ეს არის ჰეგელიანობის დასაბამიერი წარმოდგენა“ (ტ. III, გვ. 357).

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1. Платон. Сочинения в трех томах, т. I, М., 1968, с. 89.
2. Аристотель. Сочинения в четырех томах, т. III, М., 1981, с. 85.
3. Фихте И. Г. О назначении ученого, М., 1935, с. 63.
4. Шеллинг, Фридрих Вильгельм. Философия искусства, М., 1966, с. 50.
5. Гегель, Георг Вильгельм Фридрих. Эстетика, т. IV, М., 1973, с. 160.

გიორგი თავაგაიშვილი

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები გომრუხვათის ზღვისპირა ქვიშაწვინულეზე

საქართველოს ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხაზუთაიშვილი) ერთ-ერთ უახლეს აღმოჩენაზე, რომელიც ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვასის ქვიშა-წვინულეებზე აღბრუნების ხანის დიუნური სადგომის ნაშთის მიკვლევასთან არის დაკავშირებული.

ქვიშაწვინულეები (დიუნები) დამახასიათებელია მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის. ისინი უწყვეტ ზოლად, განსაკუთრებით დიდი თუ პატარა მდინარეების შესართავებთან ახლოს, გადაჭიმულია საქართველოს ზღვისპირეთში გონიოდან გაგრამდე; როგორც ვარაუდობენ, ქვიშაწვინულეების წარმოქმნა ძვ. წ. XXIII-XXII საუკუნეებში დაიწყო, რაც კონკრეტულ გეომორფოლოგიურ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯერ დაზვერვითი, ხოლო 60-იანი წლებიდან უკვე სისტემატური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, საქართველოს ქვიშაწვინულეებზე გამოვლენილია ადამიანის მოღვაწეობის კვალი, რომელიც ერთი კონკრეტული ეპოქით (ძვ. წ. IX-VI საუკ. I ნახევარი) თარიღდება და გარკვეული არქეო-

ლოგიური კულტურით ხასიათდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლები „დიუნური სადგომების“ სახელითაა ცნობილი.



მიუხედავად ქვიშაზვინულეზე დღემდე ჩატარებულა არქეოლოგიური სამუშაოებისა, ერთი მხრივ ძეგლის სირთულემ, ხოლო გარკვეულწილად გათხრითი სამუშაოების ნაკლებმა მასშტაბურობამ, მეცნიერთა შორის ცალკეულ საკითხთა გარშემო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შესაბამისად, წამოჭრილი პრობლემების დროულად გადაჭრის ანუ ცანამ არქეოლოგიური კვლევის გავრცელება ამ მიმართულებით არა მარტო საინტერესო, არამედ აუცილებელიც გახადა.

ჩვენი ექსპედიციის მიერ განხორციელებულმა სამუშაოებმა, ჯერჯერობით, ვერ გადაჭრა დიუნური სადგომების ხასიათთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა. ამაკვ დროს, იძლეულმა შედეგებმა საშუალება მოგვცა დავეზუსტებოთ ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელთა წარმოჩენა მიზანშეწონილად მიგაჩნია კვლევის დღევანდელ ეტაპზე.

1982 წელს ბობოყვათში, ბათუმ-ქობულეთის საავტომობილო გზის დასავლეთით, ზღვის ნაპირიდან 200-250 მ. დაშორებით, მიკვლევული იქნა შედარებით კარგად დაცული დიუნური სადგომის ნაშთი. სადგომს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით საზღვრავს მდ. დეხვას ძველი კალაპოტი. დასავლეთით ადრე სასაფლაო მდებარეობდა, რომელიც დღესდღეობით გაუქმებულია. სამხრეთით სადგომის გავრცელების საზღვარი ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის.

ვიზუალური დაკვირვებით დიუნის ძველი კონტურები დღესდღეობით არ აღიქმება. მხოლოდ ზღვის მიმართულებით გავლებული რამოდენიმე მეტრის სიღრმის თხრილის ჭრილში იკვეთება დიუნის სპეციფიკური კონფიგურაცია, მისთვის დამახასიათებელი ორმხრივი დაფერდებით. ზღვის მიმართულებით დაქანებული ფერდი დღევანდელ ჰორიზონტამდე შეკვებულია ზღვისავე დანატოვარი ქვიშაქვით; საწინააღმდეგო მიმართულების ფერდზე კი ფენები შემდეგი თანმიმდევრობითაა განლაგებული: 1. ქარის მოქმედებით წარმოქმნილი ზედა მკვრივი შავი ფენა, 2. ელინისტური ხანის მასალების შემცველი ყავისფერი ფენა, 3. სილნარი ფენა და 4. დიუნური მასალების შემცველი კულტურული ფენა.

ბობოყვათში, გათხრებისათვის შერჩეულ ფართობზე, მონუმენტური ნაგებობების კვალი არ არის აღმოჩენილი. ანალოგიური სურათია სხვა დიუნურ სადგომებზე. გარკვეულწილად ამ ფაქტორით არის განპირობებული თვით ტერმინის „დიუნური სადგომების“ დამკვიდრება სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც, თავის მხრივ, მიუნიშნებს დიუნებზე მიმდინარე არა უწყვეტ ცხოვრებაზე, არამედ ადამიანთა დროებით ან სეზონურ საქმიანობაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიუნებზე დროებით საცხოვრებლად „დაცხისებური“ ნაგებობანი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რომლის იატაკის კვალი შემორჩენილია ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე მოშავო ფერის მართკუთხედის ფორმის მოედნების სახით.¹

ბობოყვათის ქვიშაზვინულეზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, სხვადასხვა ტიპის კერამიკით არის წარმოდგენილი. აქედან მნიშვნელოვანი წილი მოდის კერამიკაზე, რომელიც მხოლოდ დიუნური სადგომებისათვისაა დამახასიათებელი. აღმოჩენილია აგრეთვე საყოფაცხოვრებო ჭურჭელთა ისეთი ნიმუშები, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოს წინაანტიკური ხანის საყოფაცხოვრებო კერამიკასთან.

დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელი კერამიკიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსხვილქვიშამინარევიანი თიხისაგან ხელით ნაქერწ და ზერელედ გამომწვარ ჭურჭლებს, რომლებიც ფორმით საკმაოდ მასიურ, კუთხეებმომრგვალებულ აბა-



ზანებს ჩამოვავენ და ასეთივე სახელით („აბაზანისმაგვარი“) მოიხსენიებიან არქეოლოგიური ლიტერატურაში.

„აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლები მოპოვებულია ყველა დიუნურ სადგომზე, თან დიდი რაოდენობით. დღეს უკვე ეპეს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ სწორედ ეს ჭურჭლები წარმოადგენს ქვიშაზვინულზე ადამიანთა საქმიანობის ძირითადი მოტივის განმსაზღვრელ კომპონენტს. მაგრამ, ჭერჯირობით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მათი ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს მეცნიერთა მიერ დიუნური სადგომების ხასიათის, შესაძლოა, ორიგინალურ, მაგრამ განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ამდენად „აბაზანისმაგვარ“ ჭურჭლებთან დაკავშირებული ყოველი, თუნდაც მცირე ნიუანსის დაზუსტება წარმოადგენს გარკვეულ წინაპირობას დიუნური სადგომების ხასიათის საბოლოოდ დადგენის გზაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ექსპედიციის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ შედეგად სწორედ „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების დამზადების პროცესის გამოკვლევა მიგვაჩნია. კერძოდ, დიუნური სადგომების მკვლევართა ადრე გამოთქმულ მოსაზრებას „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების უშუალოდ დიუნაზე დამზადების თაობაზე, ბობოყათის ქვიშაზვინულების გათხრებით რეალური დასაბუთება მოეძებნა.

შესწავლილ ფართობზე გამოვლინდა ოვალური ფორმის, მოწითალო ფერის მოედნები, რომლებიც ზღვის სანაპიროს გასწვრივ ერთ ზოლზეა განლაგებული. გაშენდის შედეგად მოედნებმა წარატელებული, ნახევარელიფსობურ ორმოების ფორმა მიიღო (ზომები საშუალოდ: $7 \times 3,5 \times 1,2$ მ.). ორმოებში ქვიშის წითელი ფერი აშკარად მიუნიშნებდა, რომ აქ მიმდინარე პროცესი ცეცხლის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც ორმოებისავე გვერდით მივაკვლიეთ მოხელილი თიხის საკმაროდ დიდ გუნდებსა და „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების ნაყარს (წუნი?), ცხადი გახდა, რომ ეს ორმოები თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით ღია ცეცხლზე „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების გამოწვისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ბუნებრივია, ასეთ პრიმიტიულ პირობებში გამოწვა უარყოფითად იმოქმედებდა ჭურჭლის ხარისხზე. მართლაც, „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლები დიუნაზე მიკვლეული სხვა ტიპის კერამიკისაგან განსხვავდება როგორც გამოქრწვის (მორგვის გარეშე), ასევე გამოწვის დაბალი დონით: ადვილად იფშვება, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის მათ დაუზიანებლად აღებას. გამოსაწვავი ორმოების სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ბაზალტის ქვისაგან ნაგები კერები, ზოლო ორმოების გასწვრივ დადასტურდა ზღვის ბრტყელი ქვებისაგან შედგენილი ბუდეები, რაც მიუნიშნებს, რომ აღნიშნული ორმოები ზემოდან მსუბუქად იყო გადახურული.

ბობოყათის დიუნის საყოფაცხოვრებო კერამიკა წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლებით. უმეტესი წილი მოდის კოთნების, დერგებისა და პითოსების მრავალსახოვნად ორნამენტირებულ ფრაგმენტებზე. სწორედ საყოფაცხოვრებო კერამიკა, შესატყვისი ანალოგების მოშველიებით, გვაძლევს საფუძველს ბობოყათის დიუნური სადგომის არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით შემოვსაზღვროთ.

ბობოყათის ქვიშაზვინულზე არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე, ადრე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი, რომ დიუნურ სადგომებზე დასაქმებულ ადამიანთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კულტმსახურებასა და მისთან დაკავშირებულ რიტუალებს.² უახლესმა აღმოჩენებმა ბობოყათში კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინო გახადა ეს პროცესი. კერძოდ, ექსპედიციის მიერ მიკვლეულია ოვალური ფორმის სამსხვერპლოები (ზომები საშუალოდ $2,4 \times 1,2 \times 0,35$ მ.). მსგავსი სამსხვერპლოები ბირველად აღმოჩნდა ფიჭვნარის დიუნის გათხრების დროს, მაგრამ იმდენად დარღვეული, რომ გართულებული იყო ნაგებობის სრულფასოვანა



აღქმა. რაც შეეხება ბობოყათის სამსხვერპლოებს, ისინი ნაკლებად დაზიანებულია და უფრო სადღუძვლიანი განზოგადების საშუალებას აძლევს.

სამსხვერპლოები ნაგებია მსხვილქვიშიმინარევიანი თიხისაგან ნაძერწი რქისებრშვე-რილიანი სადგრებისაგან და ქვიშაშია ჩაჭრილი. სადგრებისა და ზოგ შემთხვევაში ბაზა-ლტის ქვისაგან ამოყვანილი კედლებს ზემოდან, მთელ სიგრძეზე, რამოდენიმე ფენად აძებს „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების საკმაოდ მოზრდილი ნატეხები. დიუნური სადგო-მების შესწავლისას ეს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლები მიკვლეულია თუმცა მეორადი, მაგრამ, გარკვეული მოსა-ზრებით, უშუალოდ გამოყენების ადგილზე.

სამსხვერპლოებთან დაკავშირებული საკულტო ცერემონიალის არსის გაგებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ აღნიშნულ რქისებრშვერილიან სადგრებსა და კუთხეებმომრგვალებულ თიხის ფილებს. ეს უკანასკნელი აღმოჩენილია როგორც სამსხ-ვერპლოებთან, ასევე გამოსაწვავ ორმოებთან (ზოგ შემთხვევაში ერთმანეთზე დალაგე-ბული სახით). ფილებიცა და სადგრებიც შემკულია წერტილოვანი, ტალღისებური და გეომეტრიული ორნამენტით.

თიხის რქისებრი სადგრები სხვა ძეგლებზეც მრავლადაა აღმოჩენილი და ხარის სტილიზებულ გამოსახულებად არის მიჩნეული. თვით ხარი ქართულ წარმართულ ღვთა-ებთან პანთეონში ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოდ გვევლინება. ბობოყათში აღ-მოჩენილ ფილებს კი ზუსტი ანალოგები ჯერჯერობით არ ეძებნება, თუმცა მათთან გარ-კვეულ მსგავსებას იჩენს ელიზავეტსკოეს ნაქალაქარსა³ და კორინთოში⁴ აღმოჩენილი ფილები. ჩვენი აზრით, ბობოყათში აღმოჩენილი ფილები თავისი ფორმით, შემკულობი-თა და შინაარსით ქართველ და საერთოდ კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიაში კარგად ცნობილ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ერთ-ერთ ძირძველ და გა-ვრცელებულ კომპონენტს — სარიტუალო პურებსა თუ კვერებს უნდა ესადაგებოდნენ და შესაძლოა მათ თინის იმიტაციებს წარმოადგენდნენ. სარიტუალო პურების თიხის იმიტაციების ადრეული ნიმუშები ცნობილია ხრამის დიდი გორის, ყათნლიხევისა და მეწაბრის მასალებიდან.

როგორც ჩანს, დიუნურ სადგომებზე მოწყობილი საკულტო ცერემონიალება წარ-მართული ღვთაებების მიმართ ნაყოფიერებისა და სიუხვის მოთხოვნით იყო განპირობე-ბული.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რის სიუხვეს შესთხოვდნენ დიუნებზე მოსაქმე ადამიანები თავიანთ ღვთაებებს? ვასარკვევია აგრეთვე, რა გამოყენება ჰქონდა „აბაზანისმა-გვარ“ ჭურჭლებს? ადამიანთა მოღვაწეობის რომელ დარგს უკავშირდება ქვიშაზვინუ-ლებზე მიკვლეული ნაშთები?

დიუნური სადგომების ხასიათის და გარკვეულწილად „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების თაბაზე დღემდე გამოთქმული ყველა მოსაზრება მეტწილად ჰიპოთეტურია, მაგრამ არც რეალობას მოკლებული. მკვლევარები ერთხმად აღიარებენ დიუნური სადგომების უცი-ლობელ კავშირს ზღვასთან. მიუხედავად იმისა, რომ დიუნებზე მეთევზეობას მისდევდნენ, ეს დარგი არ უნდა ყოფილიყო წარმმართველი მათი ყოფისა (ბ. კუფტინი). არსებობს მო-საზრება, რომ „აბაზანისმაგვარ“ ჭურჭლებში დია ცეცხლზე ზღვის წყალს აორთქლებდნენ და, შესაბამისად, დიუნებზე მარილის მოპოვებით იყვნენ დაკავებული (ლ. სოლოვიოვი, ბ. კუფტინი, მ. თრაფში).⁵ „აბაზანისმაგვარი“ ჭურჭლების დეტალურმა ანალიზმა (მეორა-დი გამოწვის კვალის არსებობა) და დიუნების კონფიგურაციის შესწავლამ (როგორ უნდა მოეწყოთ ქვიშაზვინულებზე ზღვის წყლის დასაგუბებელი აუზები, თუ, მაგალითად, ფი-ქვნარის დიუნის ზედა ფენები 7-8 მეტრით მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან?) ეკვი-შეიტანა ამ მოსაზრების სისწორეში. გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, ქვიშაზვინუ-

ლებზე ყოფილიყო საერთო სატომო-საგვარეულო ადგილები, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს სრულდებოდა ხარის თუ სელის კულტთან ან ზღვის ღვთაებასთან დაკავშირებული საკულტო ცერემონიალი (ა. კახიძე)⁶ ქვიშაზინულეებზე რომ კულტმსახურებას კქონდა ადგილი, ამაში ბობოყვათის დიუნის გათხრებითაც დავერწმუნდით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში კულტმსახურებას ვიხილავთ როგორც დამატებით, თუმცა იმ დროს აუცილებელ პროცესს ძირითად საქმიანობაში სიუხვის უზრუნველსაყოფად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია სავარაუდო სატომო-საგვარეულო ადგილების ასეთი ინტენსივობით მიმოზნევა საცხოვრებლებისაგან დაშორებით, თითქმის მიფელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ზღვასთან, ისეთ სიახლოვეს, რომ მათ სისტემატურად ემუქრებოდა გადაარეცვის საფრთხე. ამავე დროს, „აბაზანისმაგვარი“ ქურჭლების სიმრავლე უფრო მათ სამეურნეო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, ვიდრე საკულტოზე (ა. რამიშვილი).

ერთ-ერთი ბოლო მოსაზრება, რომელიც დიუნური სადგომების ხასიათის თაობაზეა გამოქმეული, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ზღვიდან მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებას უკავშირდება (ნ. ხოშტარია, ა. რამიშვილი).⁷ ვარაუდი დაფუძნებულია ერთი მხრივ ფსევდო-არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.). ცნობაზე, ხოლო მეორე მხრივ ჩვენ რეგიონში გამოვლენილი, დიუნური სადგომების თანადროული, რკინის სადნობი ქურების ქიმიურ ანალიზზე, სადაც მდნად სწორედ მაგნეტიტია დადასტურებული. ჯერჯერობით ამ მოსაზრებასაც გააჩნია თავისა შეუსწავლელი მხარეები. რომ აღარაფერი ვთქვათ დიუნურ სადგომებზე მიმდინარე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვების პროცესის რეკონსტრუქციის ცდის საგრძნობ პირობითობაზე, გაურკვეველია საკითხი, თუ რატომ წყდება დიუნებზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება ძვ. წ. VI საუკ. 1-ლ ნახევარში, მაშინ, როდესაც წერილობით წყაროებში მოხსენიებული ხალიბები მოგვიანო პერიოდშიაც ძველებური რულუნებით მისდევნენ რკინის გამოღობის შრომატევად საქმეს. შესაძლოა ეს გარკვეულ ეკონომიურ ფაქტორს უკავშირდებოდეს, მაგრამ ავტორების მიერ ამ ასპექტში საკითხი ჯერჯერობით არ ყოფილა განხილული.

არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ქვიშაზინულეებზე გრძელდება. ვიმედოვნებთ, მომავალი კვლევა-ძიება საბოლოოდ ნათელს მოჰფენს ისტორიული კოლხეთის უძველეს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამ მეტად რთულ და საინტერესო საკითხს.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი :

1. А. Т. Рамишвили. Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулет) СА. I, 1978, стр. 138.
2. А. Т. Рамишвили. О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья. СА. 4. 1975.
3. Э. И. Соломоник. Кубанские керамические плитки. СА. 4. 1979.
4. Soul S. Weinberg. Corinthian relief ware. Pre-Hellenistic period. Hesperia, P. 109—115, pl. 25.
5. Л. Н. Соловьев. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. СА. XIV. 1950; Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. Тб. 1950, т. II; М. М. Трапш. Археологические раскопки в окрестностях Сухуми. Труды АБИЯЛИ, ХХІХ7.
- ⁶ ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.
7. Н. В. Хоштария. Археологические исследования Уреки. МАГК. I. Тб. 1950; А. Т. Рамишвили. Юго-Восточное Причерноморье в эпоху поздней бронзы и раннего железа (Автореферат) Тб. 1971.

გასულ ორ თვეში

სპრპო ორჯონიძის მიქაძეს

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოიყენილი მოღვაწის გრიგოლ (სერგო) ორჯონიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ემირიძემ.

მოსხენებით სერგო ორჯონიძის დაბადების 100 წლისთავის შესახებ გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნაშეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. კანძემ ილაპარაკა თემაზე „სერგო ორჯონიძე და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პ. ცქვიტარიას გამოსვლის თემა იყო „ს. ორჯონიძის როლი საბჭოთა კავშირის მძიმე მრწველობის განხეთარებაში“. „ს. ორჯონიძე და აჭარა“ — ამ საკითხზე დამსწრეთ მოუთხრო ბათუმის პედაგოგიკის დოცენტმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. სურგულაძემ. სესიაზე გამოვიდნენ აგრეთვე პარტიის ვეტერანი ა. ვაჩიშვილი და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარჯის საშუალო სკოლის პედაგოგი მ. ჭევაიძე.

„ჭოროხის“ განხილვა

თბილისში, საქართველოს მწერალთა კავშირში, კრიტიკისა და ლიტერატურათ-

მცოდნეობის სექციამ მოაწყო ჟურნალ „ჭოროხის“ 1983-1986 წლების ნომრების განხილვა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა რევაზ ინანიშვილმა.

ჟურნალი „ჭოროხი“, — თქვა რევაზ ინანიშვილმა, — აჭარაში მოღვაწე ქართველ მწერალთა ორგანო, პირველად ხდება საჯარო განხილვის საგანი და ეს არაა შემთხვევითი ფაქტი. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უფრო გააძლიეროს და ქმედითი გახადოს მუშაობა რენსუბლიკის რეგიონების სამწერლო ორგანიზაციებთან, მათ ბეჭდვით ორგანოებთან.

სიტყვით გამოვიდა ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია. მან დამსწრეთ გააცნო ჟურნალის შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობის პრინციპები.

მოსხენებით „ჭოროხის“ ლიტერატურული პროდუქციის შესახებ გამოვიდნენ მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციის ბიუროს თავმჯდომარე ჭუმბერ თითმერია (პროზა), კრიტიკოსი სოსო სიგუა (პოეზია), მწერალი ილია რურუა (პუბლიცისტიკა), კრიტიკოსი აკაკი მინდაიშვილი (კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა), მწერალი ჭემალ ქირია (მხატვრული თარგმანი).

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ციციშვილი, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მწერალთა აჭარის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ფრიდონ ხალვაში, მწერლები ნანა კანდელაკი, შალვა ფორჩხიძე, ნოდარ ჯაღალონია.

მომხსენებლებმა და მოკამათებმა დადებითი შეფასება მისცეს „ჭოროხის“ იდეურ-პოლიტიკურ და მხატვრულ დო-



ნეს, ამასთან ერთად მიუთითეს ნაკლოვანებებზე, რომელთა დასაძლევად რედაქციას გარკვეული მუშაობის ჩატარება ითუწევს.

ფოტოალბომი „ბზარბ“

შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა მოსკოვის განმცემლობა „პლანეტამ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომლებს და არა მარტო მათ. ყველა ისინი, ვისაც აინტერესებთ ჩვენი მხარის ისტორიული წარსული თუ მისი დღევანდელი მდგომარეობა, სიამოვნებით გადასიძიან მდიდრულად ილუსტრირებულ ფოტოალბომს „აჭარას“, რომელიც დანიაში დაიბეჭდა.

შემზარბიტი ხელოვანების ბეჭედი აზის რომან ოზეროვისა და ალექსანდრე მარკელოვის ფოტონამუშევრებს. ალბომში დაბეჭდილია აგრეთვე ბათუმელი ნიკოლოზ ანასტასიევის ფოტოები.

ალბომის შემდგენელია შოთა დავითაძე, შესავალი წერილი ეკუთვნის რუსთაველის პრემიის ლაურეატს ფრიდონ ხალვაშს, ალბომის კონსულტანტი და ისტორიული ნაწილის ავტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი დავით სახუტაიშვილი, ტექსტის ავტორია აჭარის ასსრ დამსახურებული ყურნალისტი ანზორ ზამბახიძე, ქართული ლექსები რუსულ ენაზე თარგმნა პოეტმა ევგენი ილინმა, მხატვარია დიმიტრი პეტროვი.

საიუბილეო სტამბოლები

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელს ანდრია ბალანჩივაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი თბილისის შემდეგ ღირსეულად აღინიშნა ბათუმშიც.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩამოსვლისთანავე კომპოზიტორი ეწვია ხელვაჩაურის, ქობულეთისა და შუახევის რაიონებს, შეხვდა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების ენთუზიასტებს, გაიცნო

ცალკეული კოლექტივების რეპერტუარს, დაათვალიერა მენავთობეთა კულტურის სახანდე, სამუსიკო სკოლები. ესაუბრა და ჩვენა-დარბიგებები მისცა მხატვრული კოლექტივების ხელმძღვანელებსა და სახანოებებს.

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გამართული საიუბილეო საღამო გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელით კომპოზიტორს მიესალმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე და წაიკითხა ბრძანებულება, რომ იგი დაჯილდოებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

იუბილარს მიესალმნენ %, ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი კომპოზიტორი ი. ბარდანაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში, ბათუმის სახალხო დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ბერიძე, აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ნ. საგინაძე, ბათუმის №4 სამუსიკო სკოლის პედაგოგი ნ. ორაგველიძე, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი დირიჟორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ნოღაიდელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ცინცაძე, აჭარის ასსრ სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ტ. დუგლაძე.

საღამოში მონაწილეობდნენ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქალთა ვოკალური ჯგუფი, ბათუმის სამუსიკო სკოლების პედაგოგ-მეცი-

ოლინეთა კოლექტივი, აჭარის მუსიკალური-კორეოგრაფიული საზოგადოების ვაჟთა ფოლკლორული და ვეტერან მოცეკვავეთა ჯგუფები.

დასასრულ სცენა დაეთმო აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. საღირიურო პულტთან დადგა ანდრია ბაქანივაძე და უღირიუროა თავის სიმონიურ სურათს „ზღვა“.

* * *

დავით ანდლულაძემ — ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა ბათუმში გაატარა ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები, აქედან გავიდა ხელოვნების ფართო ასპარეზზე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის დავით ანდლულაძის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო საღამო გაიმართა ბათუმელ მენავთობეთა კულტურის სახანძრში. თბილისელ მუსიკოსებთან ერთად აქ იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უზანის, რიგის, ტაშკენტისა და ერევნის კონსერვატორიების წარმომადგენლები, თეატრალური მოღვაწენი. შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ საპატიო სტუმრებს.

საღამო გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ლლონტმა.

ღირსეულ მამულიშვილზე, მის შემოქმედებზე ისაუბრა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აწულუკიძემ.

საღამო მიჰყავდა გამოჩენილი მომღერლის შვილს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნ. ანდლულაძეს.

საღამოზე ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა და ანაღლაზრდა ვოკალისტებმა იმდერეს არიები ფალიაშვილის, არაყიშვილის, ვერდის, დონიცეტის, დოლიძის, აგრეთვე სხვა კომპოზიტორების ოპერებიდან.

გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების კონფერენცია, რომელმაც მოისმინა და განიხილა განყოფილების პრეზიდიუმისა და სარევიზო კომისიის ანგარიში 1981-1986 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

მონხენებით გამოვიდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დრამატურგი ა. ხხაიძე და სარევიზო კომისიის თავმჯდომარე კ. ოქუაშვილი.

კამათში მონაწილეობდნენ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ლლონტი, თეატრის რეჟისორი მ. ლეზანიძე, მუსიკალური განყოფილების გამგე თ. შამილაძე, თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი რ. გელაძე და ლიტერატურული ნაწილის გამგე ვ. ლლონტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბიბილიევილი, კომპოზიტორი ი. ბარდნაშვილი, ბათუმის თეატრის მსახიობებია — საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ი. ცანავა, გ. გოგობერიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. საკანდელიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კობახიძე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ბ. მასარაძე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე.

მოეწყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის, სარევიზო კომისიისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობის დელეგატთა არჩევნები. საქართველოს თეატრალური საზოგა-

დღეების აჭარის განყოფილების პრეზი-
დიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს
ა. ჩხაიძე, ხოლო სარევიზიო კომისიის
თავმჯდომარედ — კ. ოქუაშვილი.

ჟურნალისტთა თათბირ-სემინარი

ბათუმში გაიმართა აჭარის ასს რესპუ-
ბლიკის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩო-
ხატაურის რაიონების მასობრივი ინფორ-
მაციის საშუალებათა მუშაკების თათბირ-
სემინარი.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ გაზეთ
„კომუნისტის“ რედაქტორის პირველი
მოადგილე დ. იოსელიანი, საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუ-
მლოებათა დაცვის მთავარი სამმართვე-
ლოს უფროსის მოადგილე გ. ნაჭყებია,
ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქ-
ტორი ლ. თალაკვაძე, თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიუ-
რი კვლევის ლაბორატორიის მეცნიერი
თანამშრომელი ნ. შენგელაია.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა
საქართველოს კრძმპარტიის აჭარის საო-
ლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

„საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა

გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“
მკითხველს მიაწოდა თანამედროვე ბულ-
გარელი მწერლის დიკო ფუჩიკიევის ფსი-
ქოლოგიური რომანი „ცივი სიშორე“,
იგი ეხება ადამიანის ბუნებისაგან მოწყ-
ვეტას, იმ ადამიანის სიმართლეს, რომე-
ლმაც ვერც ძველი, შარმონიული უოფა
დათმო და ვერც ახალ შარმონიას მოეს-
წრო.

რომანი თარგმნეს სტეფა ბიჭინაშვილ-
მა და თინა ცინკაშვილმა.

წიგნის რედაქტორია ა. შონია, მხატ-
ვრულად გააფორმა დ. ბერძენიშვილმა.

ცნობილი მეტიზონის, ფოლკლორის
ქემშარიტი უნთუზიასტის ედუკემ სურმა-
ნიძის (ქოჩახელას) ხსოვნას მიუძღვნა
წიგნი რევაზ გორგაძემ.

ავტორი მოგვითხრობს ქოჩახელას
მშობლიური კუთხის წარსულსა და დღე-
ვანდღეობაზე, წარმოაჩენს ეროვნული
სულიერი მარგალიტების მეხოტბეს ქოჩა-
ხელას.


წიგნის რედაქტორია ა. მსხალაძე, მხა-
ტვარი გ. ხოჯაშვილი.

**ბულგარული ბაზმთმეგის
ფურცლებზე**

ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა.
საოკრუგო კომიტეტის, საოკრუგო სახა-
ლხო საბჭოსა და დიდი სამამულო
ფრონტის საოკრუგო კომიტეტის ორგანო
„პირინსკოე დელოს“ ფურცლებზე
დაბეჭდილია ჩვენი თანაქალაქელი
მწერლის ვახტანგ ახვლედიანის ნო-
ველა „ივანა“. იგი რუსულიდან თარგ-
მნა ბულგარულმა მწერალმა და მთარგმ-
ნელმა დ. სტოიანოვმა.

როგორც მკითხველებისათვის ცნობი-
ლია, აღნიშნული ნაწარმოები მიმდინარე
წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკაია
აღუარისა“ ფურცლებზე ავტორისეული
თარგმანით.

ვ. ახვლედიანმა ნაწარმოები მიუძღვნა
ბულგარეთს, მის მძიმე წარსულს, ბედ-
ნიერ დღევანდლობას, ქართველი და
ბულგარელი ხალხების ურღვევ მეგობ-
რობას.





ყრილობის წელი, მშვიდობის წელი, № 1.

გზა მშვიდობისა, ნოდარ, № 3.

სიტყვა — ქრილობის დღეობას

გოგითი გულნარა — მხოლოდ პატი-
ოსანი შრომით, № 3.

დიახამი ლეილა — მთავარი საზომი
საქმეა, № 5.

ფუტკარაძე ნათელა — ახალ მოთხოვ-
ნათა შესაბამისად, № 4.

კ ო მ ე ჯ ი ბ

ანანაძე ალექსანდრე — წინ, რესპუბ-
ლიკავ, № 1.

დავითაძე ემენი — ლექსები, № 3.

ვარშანიძე მამია — ახალი წიგნიდან,
ლექსები, № 5.

თანდილაძე იაშა — მოგონებები ჰე-
ლიმიშზე, ლექსი, № 6.

თედორაძე დავითი — ლექსები, № 1.

თოთაძე ლადი — ლექსები, № 2, 6.

მეტრეველი ბორისი — ლექსები, № 1,
ფიქრები მთიბაეთა ქოხში, პოემის ნაწყ-
ვეტი, № 4.

მიქელაიშვილი მაია — ლექსები, № 4.

მუავია ქსენია — ლექსები, № 2.

სალუქვაძე გიორგი — რასაც სიცოც-
ხლე ჰქვია, ლექსი, № 5.

სეიდიშვილი ლადო — ლექსები, № 4.

სარგამარტოდ თქმული — დინარა კა-
სრაძის, გულნარა ზოლქვაძის, რუსუდან
შოვნაძის, ნინო საკანდელიძის, ნინო ქი-
ქავას, ნონა კეკელიძის, ანა გრძელიშვი-
ლის, ციცინო ზივზივაძის ლექსები, № 2.

ფოცხსვილი მორისი — ლექსები, № 5.

შაინიძე ყუყუნა — ლექსები, № 3.

ჩახავა ჭემალი — ლექსები, № 3.

ქათამაძე ჭემალი — სამშობლო, ხალ-
ხი, პატიოსნება, ლექსი, № 1. ლექსები,
№ 3, ძმობის სიმები, ლექსები, № 6.

ხაბაზი ამირანი — ლექსები, № 4.

ხაჯიშვილი ყუყუნა — ლექსები, № 2.

ხოშერიკი გიორგი — ლექსები, № 4.

ჭაყელი ჭემალი — ლირიკული რვეუ-
ლიდან, ლექსები, № 6.

პ რ ო ჯ ა

კახიძე ნათელა — მეოთხე შვილი, მო-
თხრობა, № 2.

მარღანიძე ლადო — ირაციონალური
ტრიანგულაცია, მოთხრობა № 3, ფერფ-
ლი და ნეკერჩხლები, მოთხრობა, № 6.

ოსფაიშვილი რევაზი — შენი ღუმე-
ლი ჩემი ვანაჩენია, რომანის ერთი თავი,
№ 5.

როყვა შოთა — ელესა, რომანის ფრა-
გმენტები, № 1, 2, 3, 4.

სარგამარტოდ თქმული — მადონა სი-
ხარულიძის, ნათია ჯანელიძის, მაია მე-
ხსის, ლიკა ქობულავას ჩანახატები, მინი-
ატურები.

უჩანეიშვილი მინდია — მინიატურე-
ბი, № 5.

ჩხაიძე ალექსანდრე — სიტყვა ეძლე-
ვა ყველას, მოთხრობა, № 1.

ხვედელიძე ბაბო — ათი წლის შემდეგ
გამხელილი სიყვარული, მოთხრობა,
№ 2, პირველი ხელფასი, მოთხრობა,
№ 6.

ხოფერია ჭემალი — გზები, რომანის
თავები, № 5, 6.

ჯიქიძე ჯანგული — წერტილი, მოთხ-
რობა, № 6.

ჯ მ ჯ ი ლ ი

ღერი ესაძის, კუჭური კვასტიანის, ბო-
ნდო მუმლაძის, თემურ შიმშილაშვილის
ლექსები — № 6.

უჩანეიშვილი მინდია — ია, მოთხრო-
ბა, № 2.

ბ ა ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ა მ ბ ი

გრინუკოვი ვლადიმერი — ლექსები,
თარგმნა ხუტა გაგუამ, № 6.

ესენინი სერგეი — ლექსები, თარგმნა
გიორგი სალუქვაძემ, № 3.

იაკოვლევ იური — ალიოშა, მოთხ-
რობა, თარგმნა ტიტე ხინთიბიძემ, № 4.

სიმენონი ურუ — მეგრე ლიეჟში, მოთხრობა, თარგმნა ირა აროშვიდემ, № 2, 5.

ტოლსტაია ტატიანა — მამონტზე ნადირობა, მოთხრობა, თარგმნა ქეთინო კვინტრაძემ, № 6.

ქემალი იაშარ — მემელი ჩემი შევარდენი, რომანის ერთი თავი, თარგმნა იბრაიმ გორაძემ, № 4.

ნ ა რ კ ვ ე ვ ე ი

თურქია ამირანი — სამხრეთის პარალელებზე, № 3, 4.

ხანსონია ალექსანდრე — შტრიხები პორტრეტისათვის, № 5.

ფუტკარაძე ოთარი — რვა ეპიზოდი მერგოლურის ცხოვრებიდან, № 5, 6.

ქორიძე შარლოტა — კვალი სხევმოსილი, № 2.

წ ი რ ი ლ ე ბ ე ი

ანანიძე ლევანი — ბავშვების საყვარელი პოეტი, № 4.

ბექურიშვილი იოსები — „აჭარა ავღღოტქინოთ კულტურულად, ეკონომიკურად“, № 6.

ბაბილიძეშვილი იური — განმავითარებელი სწავლების არსი, № 4.

ვორგოშაძე მურმანი — ახალი ტრადიციების დამკვიდრება-განვითარების ზოგიერთი საკითხი, № 1.

ებრალიძე გიორგი — მცირე განმარტება, № 3.

თავაშიაშვილი გიორგი — ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბოზოყვანის ზღვისპირა ქვიშა-ზვინულეებზე, № 6.

თურმანიძე ოთარი — ცხოვრების მხარდამხარ, № 1.

კომახიძე ზურაბი — „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, № 3.

მეგრელიძე იოსები — ექვთიმე თაყაიშვილი, № 2.

ნოდაიძელი ნანული — აქარული სამხარეულოს ტრადიციები და ლექსიკა, № 2.

რუგოშვილი არჩილი — ჯარია? არა —

ჯერია, № 4, რიტმული ვარიაცია არა, ვადაშვილის შეტდომა, № 5.

სიორიძე მალხაზი — ბათუმის საკითხი ტრაპიზონის კონფერენციაზე, № 2.

შიოშვილი თინა — ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები ქართულ ხალხურ პოეზიაში, № 2.

ქემაძე მამუკა — მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, № 1.

ჩხაიძე ლილი, კახიძე ამირანი — ახალი ცნობები აფსაროს-გონიოს შესახებ, № 2.

ჯავარიძე შოთა — ვ. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ, № 1.

ჯაყელი ჯემალი — „და გავისხნოთ მშვენიერი ქართული ლექსი“, № 3.

ჯორბენაძე პავლე — პოეზიის რომანტიკული გაგება, № 6.

ზ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ამაშუყელი ნუგზარი — ელდარ შენგელაია, № 3.

ბოლქვაძე ლამარა — სიმართლე მთავარია, № 5.

გოგაძე ენრიკო — მადლი ნიჭისა, № 4. ვარშანიძე მამია — ხმელი წიფელი, № 3.

მახარაძე მიხეილი — „ცისფერი მთების“ სიმღლე, № 1.

მეგრელიძე გუბაზი — რუსული საბჭოთა დრამატურგია ბათუმის თეატრის სცენაზე, № 1.

მორგოშია თეიმურაზი — ნათელა ჭყონიას დებიუტი, № 6.

შარაშიძე ლადო — „აჭარა ყოველთვის მსობლავდა“, № 4.

ჭიჭინაძე-გვეცაძე იზოლდა — სხალთის ეკლესიის მოხატულობა, № 6.

ს თ ო წ ლ ე დ ი, წ ა ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ალვანდიანი ანა — ტექნიკური პროგრესის გზით, № 5.

ბაჯელიძე ნანა — როცა შედეგებს ვაჯამებთ, № 1.

ბორიკი იური — სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, № 1.

მახარაძე გენადი — იმ მრისხანე დღე-
ებში, № 3.

მშვიდობაძე მიხეილი — მტრის ღრუ-
ბლიან ცაში, № 1.

ნიუარაძე შოთა — იმ დღეთა მოსა-
გონარი, № 4.

ცერცვაძე იასონი — სტალინგრად-
ში დაფერფლილი სიცოცხლე, № 1.

კვალნი ნათელი

ნაცვალაძე დავითი — დიმიტრი ერის-
თავი, № 4, 5, 6.

ისტორიის ფურცლები

სურგულაძე კახაბერი — საბერძნეთის
არმიის ქართული ვოლონტიორები, № 3.

შერვაშიძე ამირანი — ვინ იყენენ კუ-
ტაისოვები? გენერალისიმუსი სუვორო-
ვი და გენერალი ბაგრატიონი, № 3.

მწერლის არქივიდან

ლორია პარმენი — როგორ იწერებო-
და „ჩაი“, № 5.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150
წლისთავისათვის

გობრონიძე ალექსანდრე — დიდი და
მძიმე ვალი, № 6.

შამელაშვილი რაფიელი — ილია კრი-
ტიკის რაობისა და დანიშნულების შე-
სახებ, № 5.

აბაშიძე სოსო — ლამაზი იმედი, № 2.
დუმბაძე ნელი — ეპოქის კვალა-
კვალ, № 2.

კახიძე ნოდარი, აჩუგბა თეიმურაზი —
წიგნი მოგვეთხრობს აჭარაში მცხოვრებ
აფხაზებზე, № 4.

კომახიძე მამია — „მე ასე ვფიქრობ“,
№ 4.

რურუა ილია — წიგნი, რომელიც
უნდა დაწერილიყო, № 3.

ფალავანდიშვილი თეიმურაზი — „სა-
ბჭოთა უჭარამ“ გამოსცა, № 1.

ქვლივიძე ცინული — „ვარსკვლავთ-
ცვენის“ ზნეობრივი მოტივი, № 2.

ქურდიე შოთა — საქმის კაცი, ანუ
ლევან ხიდაშელი როგორც ხასიათი,
№ 4, 5.

ხსოვნა გულისა

შარაშიძე ლადო — მცირე მოგონება,
№ 5.

მეღუჯა

დარჩია ვლადიმერი — განსაკუთრე-
ბით, № 5.

ჩხიკვაძე ზურაბი — დაკარგული
გვირგვინი, № 4.

გასულ ორ თვეში — № 1, 2, 3, 4,
5, 6.

გარეკანის 1-ლ გვერდზე-აკაკის ძეგლი ბათუმში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

6108/201



3360 40 333.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118**